HELLO!
GEORGIA
#001 • აგვისტო 2016 4.00₾

WORLD EXCLUSIVE
INTERVIEW AND PHOTOSHOOT

ვარსკვლავური ქორწილი

ევა ლონგორია

თეთრი და ბედნიერი დღის ექსკლუზიური დეტალები

მეგზური ვარსკვლავური დასვენებისთვის

ექსკლუზივი

საზაფხულო იდეა 500+

ევა და შორენა

ახალი ცხოვრება და პოზიტიური ცვლილებები

ISSUN 2449-2590
9 772449 259004

foundation.frederiqueconstant.com

Gwyneth Paltrow
supports DonorsChoose

live your passion

არტთაიმი ARTTIME

შენი შვეიცარიული საათი

www.arttime.ge

რედაქტორის წერილი

*ჟურნალი, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, ისტორიული მნიშვნელობისაა. საქართველოში პირველი პრემიუმკლასის გამოცემის, **HELLO!**-ს, შემოსვლა დიდი ძვრებისა და ცვილილებების დასაწყისია მთელი ამიერკავკასიის რეგიონში. ბრენდი, რომელიც **ესპანეთში 1944 წელს გამოჩნდა**, ამჟამად 20 მილიონზე მეტ ერთგულ მკითხველს ითვლის. უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ შეგექმნათ ჟურნალის გავლენისა და პრესტიჟის შესახებ, რამდენიმე საინტერესო ფაქტსაც გაგაცნობთ:*

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბრენდი 30 ინტერნაციონალური გამოცემითა და 8 ვებგვერდით 90 ქვეყანაში უკონკურენტო მედიასაშუალებაა. საინტერესო ადამიანური ისტორიებით, განსაკუთრებული მომენტებით, ვარსკვლავების ცხოვრების ექსკლუზიური დეტალებითა და მსოფლიო მოვლენებით სავსე ჟურნალი როგორც მკითხველის, ასევე სელებრითების საყვარელი გამოცემაცაა. სწორედ ნდობისა და რეპუტაციის გამო ანდეს ჟურნალს საკუთარი ქორწილის ფოტოები როგორც ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ, ასევე ევროპელი სამეფო ოჯახების წარმომადგენლებმა.

ის ფაქტი, რომ საქართველო **HELLO!**-ს დიდი ოჯახის წევრი ოფიციალურად გახდა, ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და გლობალური ნაბიჯია – ქართული კულტურის, ტურიზმის, მოდისა თუ სამზარეულოს პოპულარიზაციისათვის ჟურნალი საუკეთესო საშუალება გახდება. ასე რომ, **HELLO!** იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი იდეებისა და გავლენის მატარებელია, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

პირველ ნომერზე მუშაობა, რა თქმა უნდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი და საკვანძო ეტაპი იყო ჩვენი სარედაქციო ჯგუფისათვის. მსოფლიო ექსკლუზივებთან ერთად მკითხველს ქართული მასალითაც გავანებივრებთ. ოჯახურ ისტორიებსა და უნიკალურ ამბებზე ორიენტირებული ჟურნალის პირველი ქართული ნომრის მთავარი გმირი ევა ლონგორიაა. მსახიობის ქორწილის ექსკლუზიურ ფოტო-რეპორტაჟს დამერწმუნეთ, რომ სხვაგან ვერსად ნახავთ. ასევე შეხვდებით შორენა ბეგაშვილსა და ევა ბარბაქაძეს – დედა-შვილს ჩვენი გუნდი სტამბოლში ესტუმრა. ცნობილი ქართველების თემა კახიანებით გრძელდება – პოპულარული ოჯახის 4 თაობა და მათი საზაფხულო აგარაკი მცხეთაში ჩვენს ობიექტივში აღმოჩნდა.

ქართული HELLO! ბაზარზე არსებული სხვა გამოცემებისაგან კიდევ ერთი მიზეზითაა გამორჩეული – ჟურნალი ორ გამოცემას აერთიანებს. პირველი ნაწილი მთლიანად ვარსკვლავებსა და მსოფლიო მოვლენებს შეეხება, მეორე კი – მოდას, თავის მოვლასა და ცხოვრების სტილს. ორი სრულყოფილი, დამოუკიდებელი ჟურნალისაგან ერთი ჰიბრიდის შექმნა პირველი პრეცედენტია **HELLO!**-ს ისტორიაში და სწორედ ქართველ მკითხველს ერგო პატივი, ამგვარი გამოცემა ყოველთვიურად იკითხოს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ჟურნალი ისეთივე ახლობელი და მნიშვნელოვანი გახდება თქვენთვის, როგორიც დანარჩენ 90 ქვეყანაშია. გიტოვებთ პირველ ნომერს და ველით თქვენს გამოხმაურებას. მკითხველის აზრი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია!

ნინო იოსელიანი და
***HELLO!**-ს რედაქცია*

მინდა მეცვას...
IKKS
IKKS ფრანგული
ბრენდი, რომელიც
ზრუნავს
ბავშვების
ჩაცმულობაზე
1987 წლიდან!
IKKS JUNIOR
ი. ქავქავაძის გამზ. 48
995 (032) 229 13 11
JOIN US ON
facebook

HELLO! GEORGIA
#001 • აგვისტო • 2016

სარჩევი

ვარსკვლავური ისტორიები

8 **სტინგი** და **ტრუდი** ტოსკანურ ვილაში გვამოგზაურებენ
16 **მაილია ობამა** დამოუკიდებელი ცხოვრების ზღვარზე
24 **კახიანების ოჯახის ოცნების სახლი** და ცხოვრება მცხეთაში
34 **რიჩარდ გირი** – საყვარელი დეკორაციები და ახალი ნამუშევრები
46 **შორება ბეგაშვილი** და **ევა ბარბაქაძე** – ახალი ცხოვრების პოზიტიური მხარეები
52 ცნობილი ფეხბურთელების ცნობილი მეუღლეები – **შაკირა, პილარ რუბიო, ანუკი არეშიძე, ნინი ზარქუა**
54 **ევა ლონგორიას** საქორწილო ცერემონიალს მისი საუკეთესო მეგობარი დიზაინერი **ვიქტორია ბექჰემი** დაესწრო

მუდმივი რუბრიკები

18 **INSIDE STORY** ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან
30 **PANORAMA** „კანის ლომების“ საერთაშორისო ფესტივალი
32 **30 დღე** მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა
38 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! მოტორი!
138 **HALF HOUR** ემილია კლარკი

დასაწ. 71 გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია

ფინკა ბანკის ანაბრები — მიზნებისთვის, რომლებიც ქმნის ისტორიას

FINCA® Bank
ფინკა ბანკი

ვადიანი ანაბარი	შემნახველი ანაბარი	საბავშვო ანაბარი	ზრდადი ანაბარი
₾ 13,5%-მდე	₾ 9%	₾ 13%	₾ 13%-მდე

2 24 49 49; *4949 / www.FINCA.ge

სტინგის ტოსკანურ ვილაში სტუმრობისას

ტრუდი სტაილერი

HELLO!-ს დიდ სიყვარულზე, ოჯახურ ბედნიერებასა და ამ ადგილის მნიშვნელობაზე ესაუბრა

0 მისათვის, რომ მიხვდეთ, რატომ უყვართ ასე განსაკუთრებულად სტინგსა და ტრუდი სტაილერს თავიანთი ტოსკანური ვილა, მე-16 საუკუნის ამ სახლში ფოტოებით მაინც უნდა იმოგზაუროთ. ქვიშისფერი ნაგებობა, კვიპაროსებით გარშემორტყმული სავალი გზა, ტბები, ტყე, უზარმაზარი ბაღი, ზეთისხილისა და ფორთოხლის ხეები, ვენახი და უსწორმასწორო კლდეების თვალწარმტაცი ხედი – სწორედ ამ ყველაფრის დამსახურებაა, რომ **1997** წლიდან ვარსკვლავური წყვილის სამოთხე **3.500.655** კვადრატულ კილომეტრს მოიცავს.

ექვსი შვილის მშობლები უკვე **23** წელია ერთად არიან. დიასახლისს ხშირად სთხოვენ ხოლმე, ასეთი ურთიერთობის წარმატების ფორმულა გაამხილოს. „ამაზე პასუხი არასოდეს მაქვს“ – აღნიშნავს ტრუდი **HELLO!**-სთან საუბრისას – „**30** წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც მე და სტინგს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ჩვენ შორის დღემდე იგრძნობა ის ქიმია, რომელმაც თავდაპირველად დაგვაკავშირა. ერთმანეთს ძალიან კარგად ვეწყობით. ამას როგორ ვახერხებთ? წარმოდგენა არ მაქვს. ჩვენი სიყვარული ერთი ჯადოსნური თავგადასავალია“. მეუღლეს სტინგიც ეთანხმება და ამბობს, რომ ისინი ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ. ▶

კაბა: ALEXANDER McQUEEN

„ჩემთვის სახლი ის ადგილია, სადაც სტინგი და ბავშვები არიან“
ტრუდი

ზაფრანებიანი კედლით გარშემორტყმული მთავარი ვილა (მარცხნივ ზემოთ), მე-16 საუკუნის დროინდელი მონადირის სახლი და აუზი (მარცხნივ ქვემოთ) ტოსკანის საუკეთესო ხედით. ბაღში დარგულია მცოცავი ვარდები, სურნელოვანი ლავანდები, სანტოლინები და თეთრი ოლეანდრები. აქვეა ტოსკანური კვიპაროსები და ზეთისხილის ხეები. დიასახლისი ამ კომპონენტებისაგან შექმნილ პეიზაჟს კიდევ უფრო ალამაზებს.

HELLO!-ს ცოლ-ქმარმა ძალიან გულთბილად და გულუხვად უმასპინძლა. ვახშმის შემდეგ, როცა ტრუდიმ სტუმრები ტერასაზე მიიწვია, სტინგმა ტელევიზორთან დარჩენა და საყვარელი ფეხბურთის გუნდის გულშემატკივრობა არჩია. მისი ემოციური შეძახილები გარეთაც აღწევდა. თამაშის დასრულების შემდეგ კი არც სტუმრებთან გამოსვლასა და გიტარაზე დაკვრაზე უთქვამს უარი.

წყვილის უზარმაზარ ვილაში **9** საძინებელი ოთახია! გარდა ამისა, მათი სამოთხე დიდ აუზს, ტერასაზე განთავსებულ ჯადრაკის მაგიდასა და ფრესკებით გაფორმებულ ჭერსაც მოიცავს. ძველებურ, უბრალო სტილში გადაწყვეტილ სამზარეულოში დიდი მაგიდა და სკამები დგას. თითოეულ სკამს ოჯახის ერთ-ერთი წევრის სახელი აწერია. განსხვავდება მხოლოდ სტინგის სკამი, რომელზეც სახელის ნაცვლად, „მამიკოა“ ამოტვიფრული.

ამ სახლში სტინგის ყველა შვილი გაიზარდა! მომღერალს პირველი ქორწინებიდან (მსახიობ ფრენსის ტომელტისთან) ორი შვილი ჰყავს – **39** წლის ჯო და **34** წლის კეიტი. ის და ტრუდი კი **32** წლის მიკის, **31** წლის ჯეიკის, **25** წლის ელიოტისა და **30** წლის ჯიაკომოს მშობლები არიან.

თაობების თამაში

ოჯახის მომდევნო თაობამ უკვე დაიწყო ახალი სიცოცხლე – ჯოს სამი შვილი ჰყავს, ჯეიკს კი – ერთი. სტინგსაც და ტრუდისაც გული უჩუყდებათ, როცა შვილიშვილებზე საუბრობენ. „არ მომწონს სიტყვა „ბებია“. ამიტომ თავიდან ეს სტატუსი გავაპროტესტე. შემდეგ კი, როცა გავაანალიზე, მივხვდი, რამხელა პატივი მერგო!“ – ამბობს ტრუდი და მას **64** წლის სტინგიც ეთანხმება: „თითოეულ მათგანს განსხვავებული და ძალიან საინტერესო ხასიათი აქვს. როგორი ბაბუა ვარ? მგონი, ეს მამობაზე კარგად გამომდის. რაც მთავარია, საოცრად მსიამოვნებს იმაზე დაკვირვება, თუ როგორი მშობლები არიან ჩვენი შვილები“.

თურმე, სასცენო სახელი მასწავლებელმა მოუფიქრა მაშინ, როდესაც სტინგი, შავ-ყვითელ სვიტერში გამოწყობილი **Phoenix Jazzmen**-თან ერთად მღეროდა. უოლსენდში დაბადებული მომღერალი,

„30 წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც მე და სტინგს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ჩვენ შორის დღემდე იგრძნობა ის ქიმია, რომელმაც თავდაპირველად დაგვაკავშირა“

რომლის ნამდვილი სახელი გორდონ სამნერია, ამბობს, რომ ბავშვობიდან ოცნებობდა სამყაროს შეცნობაზე. ახლა ამას მარტივად ახერხებს იმიტომ, რომ მოგზაურობა მისი ცხოვრების სტილად იქცა. ტრუდის თქმით, „საერთაშორისო ცხოვრება“ ბავშვებს სამყაროს მრავალმხრივად აღქმაში ეხმარება. „სულაც არ ვთვლი, რომ ამან ჩემი შვილები გააზულუქა,“ – სიამაყით აღნიშნავს სტინგი, რომელმაც პოპულარობას გემო **1977** წელს ლეგენდარულ **The Police**-თან ერთად გაუსინჯა, – „იცით, რომელი კომპლიმენტი მაბედნიერებს? როცა მეუბნებიან, როგორი კარგები, ზრდილობიანები, უშუალოები და ნიჭიერები არიან ჩემი შვილები. სწორედ ამით ვამაყობ ყველაზე მეტად. დიდი იმედი მაქვს, შვილიშვილებზეც ანალოგიურს მეტყვიან“.

ვარსკვლავური კვალი

გასაკვირი არც არის ის, რომ შვილები მშობლების შემოქმედებით კვალს მიჰყვებიან. ჯო მუსიკალურ ინდუსტრიაშია და ბენდ **Fiction Plane**-ის ბასისტი და სოლისტია; კეიტი მსახიობია და მონაწილეობს, მაგალითად, **Saving Mr Banks**-ში; ჯეიკი კინოდოკუმენტალისტია; მიკი ტელეშოუების ვარსკვლავია; ელიოტი კი, რომელსაც კოკოდ უფრო იცნობენ, მომღერალია და უკვე ორი ალბომიც აქვს გამოშვებული; რაც შეეხება ჯიაკომოს, ის ბოსტონის უნივერსიტეტის სტუდენტია. სტინგის თქმით, უმცროსი ვაჟი ხელოვნების სფეროში ჩართვას არ აპირებს: „ამბობს, რომ რამე უფრო სასარგებლო საქმის კეთება უნდა. მე, რაღა თქმა უნდა, არ ვეწინააღმდეგები“. ტრუდის თქმით, ჯიაკომო, ალბათ, პოლიციელი გახდება და არც სამხედრო სამსახურზე იტყვის უარს.

ელიოტი ძალიან ჰგავს ცნობილ მამას – გარეგნობითაც და ხმითაც. როგორი გრძნობაა, როცა შვილების კონცერტებს ესწრებიან? – სტინგის თქმით, ყველაფერი სიზმარი ჰგონია ხოლმე. ტრუდი კი, თურმე, ისე ნერვიულობს, თითქოს სცენაზე თვითონ გამოდიოდეს: „შემდეგ ეს შეგრძნება მიქრება და მეც ერთ-ერთი გულშემატკივარი ვხდები. ზოგჯერ დაბნეული შევყურებ და ვერ გამიგია, ეს ყველაფერი როდის და როგორ ისწავლეს. თითქოს ჩვენც გვგვანან, მაგრამ ისეთ რაღაცებს აკეთებენ ხოლმე, ჩვენ რომ ვერც მოვიფიქრებდით. მოკლედ, მშობლების გაკვირვებას მუდმივად ახერხებენ!“. ▶

ᲙᲐᲑᲣᲚᲘ: VICTORIA BECKHAM DOVER STREET LONDON

წყვილს, რომელიც აგვისტოში ქორწინების 24-ე იუბილეს აღნიშნავს, ერთად ყოფნა ძველებურად აბედნიერებს. „მე და ტრუდი, ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ,“ - ამბობს 64 წლის სტინგი

ერთ-ერთი საძინებელი ოთახი, რომელშიც თვალწარმტაცი ხედები იშლება, და მცენარეებში შეფუთული ტერასა, სადაც მოგზაურობის დროს ნაყიდი ავეჯი დგას. სტინგის თქმით, მოგზაურობა მათი ცხოვრების წესია.

„ბავშვობაში ყველაფრისგან გაქცევასა და სამყაროს შეცნობაზე ვოცნებობდი. ეს ადგილი ჩემი შთაგონების წყაროა და აქ სიცოცხლე სხვანაირად მიხარია“ – სტინგი

თავის მხრივ, შვილებს მშობლებიც აოცებენ და მათთვის მისაბაძ მაგალითებად დღემდე რჩებიან. ტრუდი, რომელიც ბევრი ცნობილი ფილმის პროდიუსერია, ამჟამად სარეჟისორო დებიუტისთვის ემზადება და **Freak Show**-ზე მუშაობს. ფილმი, რომელიც შემოდგომაზე „სანდენსის კინოფესტივალზე“ წარდგება, ტრუდისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს: „ბავშვობაში მეც შემემთხვა ისეთი რამ, რის გამოც ბევრი ტკივილი ავიტანე. ასე რომ, ძალიან კარგად მესმის მთავარი გმირის განცდები“. თურმე, როდესაც **2** წლის იყო, ტრუდის მანქანამ დაარტყა. ძალიან ბევრი ოპერაციის გადატანა დასჭირდა იმისათვის, რომ სახეზე დარჩენილი ნაიარევი შეემცირებინა. ეს ამბავი სტინგის ავტობიოგრაფიაშიც ჩანს, სადაც მომავალ მეუღლეს ასე აღწერს: „მას ფერმკრთალი, ძალიან ღია მწვანე თვალები ჰქონდა. ნაიარევის გამო კი დაჭრილ ანგელოზს მოგაგონებდათ“. ტრუდის უნდოდა, მსახიობი გამოსულიყო. სწორედ ამიტომ ჩააბარა **Bristol Old Vic**-ში, რის შემდეგაც თეატრალური საქმიანობა დაიწყო და **Royal Shakespeare Company**-საც შეუერთდა. მომავალმა პროდიუსერმა რამდენიმე სერიალში ითამაშა. როგორც ამბობს, მსახიობობა ძალიან უადვილდება და ეს საქმე იმდენად უყვარს, რომ საქმედ ვერც კი აღიქვამს: „არასოდეს ვიღვიძებ იმაზე ოცნებით, როდის მოვა დასვენების დღეები. პირიქით, ერთი სული მაქვს ხოლმე, სამუშაო დღე დაიწყოს. გამიმართლა, რომ ვაკეთებ საქმეს, რომლისთვისაც ასე გაღვიძება შემიძლია“. ტრუდის კომპანია **Maven Pictures**-ი ისეთ ფილმებზე მუშაობს, როგორებიცაა: **Wilding** (ლივ ტაილერისა და ბელ პოულის მონაწილეობით) და **American Honey** (საშა ლეინისა და შაია ლაბაფის მონაწილეობით).

ანალოგიურად უყვარს თავისი საქმიანობა სტინგსაც, რასაც მისი გადატვირთული კალენდარი და ბედნიერი გამომეტყველებაც ამტკიცებს: „სცენაზე სიმღერა ყოველთვის იყო ის, რისი კეთებაც მინდოდა. დღეს კი ამაში ფულს მიხდიან. რომც არ მიხდიდნენ, შეუძლებელია, უარი თქვა იმ საოცარ შეგრძნებაზე, რომელიც მაშინ გეუფლება, როცა **20 000** ადამიანის წინაშე დგახარ და ხვდები, როგორი ბედნიერები არიან შენი დანახვით!“. მომღერლის უახლოესი გეგმები ასეთია: მას შემდეგ, რაც თეთრ სახლში ჯაზის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამოზე იმღერა, სტინგი პიტერ გაბრიელთან ერთად საზაფხულო ამერიკულ ტურნეს იწყებს; ასევე, აპირებს, ევროპაში სოლო-კონცერტები გამართოს და მონაწილეობა მიიღოს მიუზიკლში **The Last Ship**, რომელიც ამერიკულ თეატრებს სექტემბერში ეწვევა და მაყურებლებს მის ბავშვობაზე მოუთხრობს.

სტინგიცა და ტრუდიც მუდმივად ცდილობენ, კარგ ფიზიკურ ფორმაში იყვნენ. წყვილმა ვილაში გამოყოფილი უზარმაზარი ფართი იოგისა და ვარჯიშის ოთახად გადააქცია. დარბაზში **4**-მეტრიანი ბუდას ქანდაკებაც კი დგას! აქვეა სპეციალური დიზაინით შექმნილი სავარჯიშო მოწყობილობები. ცოლ-ქმარი უპირატესობას გირებით ვარჯიშს ანიჭებს. ტრუდის თქმით, ეს კუნთებს საუკეთესო ფორმას აძლევს: „თუმცა იოგა და ბალეტი მაინც ყველაფერს მირჩევნია. უკვე **30** წელზე მეტია, მედიტაციით ვარ დაკავებული. ასე რომ, ეს ჩემი ცხოვრების სტილია. როცა სტრესში ვარ, რამდენიმე წუთიანი მედიტაციაც კი მყოფნის“.

სტინგი და ტრუდი იმასაც ცდილობენ, რომ ჯანსაღად იკვებონ. ისინი მუდმივად ახალ, ორგანულ პროდუქტებს მიირთმევენ, მაგრამ თავს

გრემის მფლობელმა მუსიკოსმა სოლოალბომები If on a Winter's Night..., All This Time და Labyrinth სწორედ ამ ვილაში ჩაწერა. თუმცა Il Palagio არა მხოლოდ მუშაობისთვის, არამედ განტვირთვისთვისაც საუკეთესო ადგილია. „ასეთი ფერებით სავსე ადგილას ყოფნა საოცარ სიამოვნებას მანიჭებს," - ამბობს სტინგი.

ნაყინებითა და გემრიელი დესერტებითაც ინებივრებენ. განსაკუთრებულად უყვართ ღვინო! „უკვე მრავალი წელია, ყოველ საღამოს ვაგემოვნებ თითო ბოკალ გემრიელ ღვინოს," – აღნიშნავს ტრუდი, – „განსაკუთრებულად მიყვარს საღამოები, როდესაც ამ რიტუალს ოჯახის წევრები და მეგობრებიც უერთდებიან". საბედნიეროდ, ოჯახი **263.055** კვ. მ.-ის ვენახს ფლობს, რაც წელიწადში **50.000-70.000** ბოთლ ღვინოს ნიშნავს. ისინი ოთხ სახეობას აწარმოებენ. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული სახელი აქვს: **Message in a Bottle, When We Dance, Sister Moon** (სტინგის სიმღერების მიხედვით) და **Casino delle Vie** (ვილის ერთ-ერთი განყოფილების სახელწოდების მიხედვით). მრავალ ჯილდოსთან ერთად **Sister Moon**-ი იტალიის **100** საუკეთესო ღვინოს შორის დაასახელეს. წყვილის თქმით, ასეთი „გემრიელი შედეგი" მათი ნიჭიერი და შრომისმოყვარე დამხმარეების დამსახურებაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილ ცოლქმართან მუშაობა ყველას ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ბინა როსი და მისი ძმა პაოლო, რომლებიც სახლის საქმეებს უძღვებიან, ამ ვილაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მათი მამა ემსახურებოდა წინა მფლობელს, რომლის ოჯახიც აქ **178** წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მოკლედ, ასეთი დამხმარე პერსონალის წყალობით, სტინგი და ტრუდი თავს მარტო არასოდეს გრძნობენ. ისინი მუდმივად ცდილობენ, ადგილობრივ ფერმერებსა და ოჯახებსაც დახმარონ: „მე თვითონაც ფერმერის ქალიშვილი ვარ," – ამბობს ტრუდი, – „ამიტომ, სიამოვნებით ვეხმარები ადგილობრივ ფერმერებს. მინდა, ყოველთვის ჰქონდეთ საშუალება, რომ ჯანსაღი საკვები აწარმოონ". ამისთვის საკმაოდ პოპულარული **Farm Shop**-ი არსებობს, რომელსაც ვარსკვლავური წყვილი ხელმძღვანელობს. ამავდროულად, ტრუდის წამოწყებით, ისინი თაფლსაც იღებენ და **800**-ზე მეტ სკას მეთვალყურეობენ.

ეს ყველაფერი არ არის: ზეთისხილის ჯალის წყალობით, რომელშიც საუკუნეზე მეტი წლოვანების **8000**-მდე ხეა, ოჯახი ზეითუნის ზეთსაც ამზადებს. **Il Palagio**-ში, როგორც ვილას ადგილობრივები უწოდებენ, გასაქირავებელი ფართიც აქვთ. აქვეა სტუდია იოგას გაკვეთილებისთვის და კულინარიული სკოლა, სადაც მასწავლებლად ცნობილი ადგილობრივი შეფმზარეული ალბა დი პაპი მუშაობს.

სტინგისა და ტრუდის საცხოვრებელი სხვადასხვა ქორწილსაც მასპინძლობს ხოლმე. დიასახლისის თქმით, ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად აბედნიერებს. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს სტინგს. „ჩემს მოგონებებში უმეტესად ნაცრისფერი გარემო სჭარბობს. ამიტომ ასეთი ფერებით სავსე ადგილას ყოფნა საოცარ სიამოვნებას მანიჭებს. რა თქმა უნდა, არც ჩრდილოეთური ფესვები მავიწყდება. ძალიან ვამაყობ ჩემი წარმომავლობით და, მიუხედავად იმისა, რომ იქაურობიდან თავის დაღწევას ვცდილობდი, უფრო და უფრო ვხვდები, რამდენად მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოში ყოფნა. მადლიერი ვარ იმ ადამიანების, ვინც გამზარდეს და ვამაყობ, რომ უოლსენდელი ვარ!" – ამბობს მომღერალი, რომელიც პარიკმახერი ოდრისა და მერძევე ერნის უფროსი შვილია. ▶

სამზარეულოში ფუსფუსი დამხმარეებთან ერთად გემრიელი კერძების მოსამზადებლად. აქვეა სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი ღვინო ვილის ვენახებიდან.

ჯაბა: DOLCE & GABBANA პერანგი: VICTORIA BECKHAM AT DOVER STREET LONDON

ჯინს: DSQUARED2

ტრუდი ღვინის მარანში, რომელიც მისი საყვარელი ადგილია. აქ 40 ადამიანი ეტევა.

ჯინს: LANVIN

სიმღერა გრძელდება

მიუზიკლი **The Last Ship** მოგვითხრობს მომღერლის ბავშვობაზე, რომელიც ნავსაშენ ქალაქში გაატარა. „ამ მიუზიკლის წერა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სახალისო გამოცდილება იყო," – იხსენებს სტინგი, – „ყველა წამით ვისიამოვნე. ძალიან საინტერესოა, როცა სახლში მიდიხარ და ფიქრობ, საიდან დაიწყო ყველაფერი და რამ განსაზღვრა დღევანდელი ყოფა. ვწერდი არა მხოლოდ ჩემზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომელთა გარემოცვაშიც გავიზარდე. მინდოდა, პატივი მიმეგო ჩემი მშობლიური მხარისთვის და იმედია, გამომივიდა".

ტრუდი და სტინგი აპირებენ, ნიუ-იორკში გადასახლდნენ. ისინი, ამჯერად, ლონდონის სახლს ყიდიან. დიასახლისის თქმით, წყვილს ნიუ-იორკთან **30**-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს: „იქ ძალიან ბევრი გეგმა გვაქვს. ჩემი კომპანია პირველ ნაბიჯებს დგამს, ბავშვები კი ამერიკულ

კაბა: ALBERTA FERRETTI

კოლეჯებში სწავლობენ. გვინდა, მათთან ახლოს ვიყოთ“. ტრუდი იმედოვნებს, რომ **Maven Pictures**-ი განსაკუთრებულ ისტორიას შექმნის და ამ ისტორიის მთავარი გმირები ქალები იქნებიან: „ამ ინდუსტრიაში განსაკუთრებული თავდაჯერებაა საჭირო, მით უმეტეს, მაშინ, როცა დომინანტები მამაკაცები არიან. ეს სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს. მთავარ როლში მუდმივად მამრობითი სქესი არ უნდა იყოს იმიტომ, რომ ეკრანის ყურებაში ძალიან დიდ დროს ვატარებთ და ეს ჩვენს ცნობიერებაზე შესაბამისად აისახება. ქალებს შეუძლიათ, საოცარი ლიდერები იყვნენ. ამიტომაც გვინდა, მეტი ქალბატონი იქცეს მთავარ გმირად. ძლიერ მდედრობით სქესს ხშირად მკაცრად და უკარებად აღიქვამენ ხოლმე. ესეც სტერეოტიპია. შეხედეთ, მაგალითად, ჰილარი კლინტონს. ის ძალიან კარგი და საყვარელი ქალბატონია და სხვა ქალებზე ზრუნვაც არ ავიწყდება. ჩემი აზრით, თუ გაიმარჯვებს, გამორჩეული პრეზიდენტი იქნება“.

ტრუდი და სტინგი აპირებენ, **Il Palagio**-ში კიდევ დიდი დრო დაყონ. მომღერალი აღიარებს, რომ აქ ყოფნისას სიცოცხლე სულ სხვანაირად უხარია...

ტექსტი: DAWN EMERY
მთავარი ფოტო: JAIME TRAVEZAN
ექსტერიერის ფოტო: ALLAN POLLOKMORRIS

სტილისტი: JAYNE BLIGHT
ვარცხნილობა: ALAIN PICHON
მაკიაჟი: LUCIANO SQUEO

წყვილს მედიტაციისთვის სპეციალური დარბაზი აქვს გამოყოფილი. თუმცა, არანაკლებ თერაპიულია მზიან მამულში სეირნობა. ტოსკანური მზის სხივები ტრუდის აბედნიერებს. თუმცა ის და სტინგი მაინც გეგმავენ ნიუ-იორკში გადასახლებას. „ბავშვები ამერიკულ კოლეჯებში სწავლობენ და გვინდა, მათთან ახლოს ვიყოთ,“ - აღნიშნავს დიასახლისი

„მალია ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი გოგონაა. ზუსტად ვიცი, რომ მზად არის, გზა დამოუკიდებლად განაგრძოს“

4 ივლისს მალია ობამა 18-ის გახდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო

ჯერ მხოლოდ **10** წლის პატარა გოგონა იყო, როდესაც მამამისი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. მას შემდეგ მალია ყველას შეხვდა, დაწყებული ნელსონ მანდელადან, დამთავრებული ჯასტინ ბიბერითა და რაიან რეინოლდსით. გარდა ამისა, მშობლებთან ერთად დაესწრო სხვადასხვა ოფიციალურ ვიზიტს და ჟურნალ **Time**-ის მიერ **2014** წლის **25** ყველაზე გავლენიან თინეიჯერს შორისაც დასახელდა. ამასობაში მალია ჭკვიან და თავდაჯერებულ ქალბატონად ჩამოყალიბდა და **4** ივლისს ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან ერთად თავისი მე-**18** დაბადების დღე აღნიშნა.

ამერიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტისა და მისი გავლენიანი პირველი ლედის უფროს ქალიშვილს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს. რაც მთავარია, პირველი ნაბიჯები უკვე წარმატებით გადადგა, წარჩინებით დაამთავრა **Sidwell Friends School**-ი – კერძო სკოლა, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ თეოდორ რუზველტის, რიჩარდ ნიქსონისა და ბილ კლინტონის შვილები. მალიას სკოლის დამთავრება უმცროსი დის, საშას, მე-**15** იუბილეს დაემთხვა, რაც, რაღა თქმა უნდა, ერთობლივი ზეიმის მიზეზი გახდა.

უკვე სრულწლოვან მალიას სწამს, რომ თითოეულ ჩვენგანშია სინათლე, რომელიც მაქსიმალური პოტენციალის გამოვლენასა და ცხოვრებისეული სიმარტივეების პოვნაში გვეხმარება.

სახლი თეთრ სახლში

მიშელი და მისი მეუღლე ყოველთვის ცდილობდნენ, შვილებისათვის ნორმალური და ჩვეულებრივი გარემო შეექმნათ. როგორც ამერიკელ თინეიჯერთა უმეტესობამ, მანქანის მართვა მალიამაც ისწავლა, ოღონდ მის შემთხვევაში მასწავლებლები დაცვის საიდუმლო სამსახურის აგენტები იყვნენ. გარდა ამისა, მან და საშამ თეთრ სახლში ცხოვრების წლები საყვარელ ძაღლთან ერთად გაატარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად ბარაკის „პრეზიდენტული“ რეჟიმისა, ობამების ოჯახი ყოველდღიურად ახერხებდა ერთად ვახშმობას.

ერთ-ერთ ინტერვიუში პირველმა ლედიმ ქალიშვილების აღზრდის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: „მთელი ამ ხნის განმავლობაში მაქსიმალურად ვცდილობდი, შვილები გამეზარდა თავისუფალ, თავდაჯერებულ გოგონებად, რომლებიც მზად იქნებოდნენ, ცხოვრებას დამოუკიდებლად გამკლავებოდნენ“. შესაძლოა, აღზრდის სწორედ მისეული ხერხების დამსახურებაა ის, რომ მალია და საშა **2014** წლის ყველაზე გავლენიან თინეიჯე-

მალია, ბარაკისა და მიშელის უფროსი ქალიშვილი, მოსიყვარულე ოჯახში გაიზარდა. მათთან ერთადვე ცხოვრობდა თეთრ სახლში. ის ბევრი ისტორიული ფაქტის მომსწრეა და პირადად იცნობს უამრავ ცნობილ ადამიანს. ასეთი ცხოვრების მიუხედავად, გოგონა დღემდე საოცრად ზრდილობიან და მოკრძალებულ ადამიანად რჩება.

რებად დაასახელეს. მიშელმა კომენტარი ამაზეც გააკეთა: „არც ვიცი, ასე რატომ გადაწყვიტეს. ისინი არავისზე ახდენენ გავლენას, უბრალოდ, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ. გავლენის მოსაპოვებლად მართლა არაფერი გაუკეთებიათ“. შესაძლოა, ამისთვის მართლაც არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ მალიას სამაგალითო ქცევები და მანერები შეუმჩნეველი არავის დარჩენია. მაგალითად, მისი იდეალური ღიმილი, მისალმების მანერა, უმცროსი დისადმი გამოვლენილი მზრუნველობა, მშობლებთან სიახლოვე, ელეგანტური და, ამავდროულად, თინეიჯერული ჩაცმულობა და ესპანური ენის მაღალ დონეზე ცოდნაც კმარა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ქალბატონს ყველაფერი სანიმუშოდ გამოსდის.

შესაძლებლობების სამყაროში

ახლა ყველას ინტერესი მალიას მომავლისკენაა მიმართული. მისი გეგმები უცნობია, თუმცა ვიცით, რომ ობამების ქალიშვილი ჰარვარდში მიიღეს, სადაც სწავლას **2017** წლიდან შეუდგება. მანამდე კი ამერიკელი ლამაზმანი, რომელსაც გენეტიკურად მამის სიმაღლე და დედის მშვენიერი ღიმილი ერგო, ყველაფრისგან ერთწლიან შესვენებას აიღებს. ამას დაემთხვევა ისიც, რომ პრეზიდენტის ოჯახი იანვარში თეთრ სახლს დაემშვიდობება, რაც მალიას გაცილებით უფრო მეტ თავისუფლებას მიანიჭებს.

სრულწლოვანმა გოგონამ უკვე საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ ერთნაირად წარმატებული ჩოგბურთელი, ფეხბურთელი, მოცეკვავე, მსახიობი და პიანისტია. გამომდინარე იქიდან, რომ კინოინდუსტრია განსაკუთრებულად იზიდავს, ის უკვე იყო სტაჟიორი ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის ტელესტუდიებში. ასევე, გასულ წელს ესწრებოდა **HBO**-ს ცნობილი სერიალის, „გოგონების“, გადაღებებს. უარი არც პროდიუსერის ასისტენტობაზე უთქვამს, როდესაც სტაჟირებას **CBS**-ის ერთ-ერთი სერიალის შემოქმედებით ჯგუფში გადიოდა. მოკლედ, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ქალბატონს წინ საინტერესო თავგადასავალი ელის. აშკარაა, რომ რა პროფესიული არჩევანიც არ უნდა გააკეთოს, მისი საქმიანობა აუცილებლად იქნება ობამების ოჯახის სიამაყის მიზეზი.

მიშელის თქმით, ის ბედნიერია იმით, რომ მალია და მისი პატარა დაიკო ბუდიდან გაფრინდებიან და ცხოვრებისაგან სრულიად ახალ გამოცდილებას მიიღებენ: „უკვე ვიცი, რომ ძალიან ბედნიერი ვიქნები, როდესაც უნივერსიტეტში წავლენ, იმოგზაურებენ და მიიღებენ საოცარ გამოცდილებას, რომელიც კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ“. ბარაკ ობამა კი სანიმუშო შვილით ამაყობს და ელენ დეჯენერესთან სტუმრობისას საჯაროდ აღიარებს: „მალია მართლა ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი გოგონაა. ზუსტად ვიცი, რომ მზად არის, გზა დამოუკიდებლად განაგრძოს!“.

ფოტოები: MIRIAM FOLEY . **ფოტო:** GETTY IMAGES

კაბა: AVTANDIL შლაპა: ÉTHÉRÉ ACCESSOIRE

„ტაისია ცოტა მშიშარაა, ძაღლების ეშინია, თუმცა თოის მალევე შეეჩვია. ის პატარა ზომისაა და ტაისიაც გაუთამამდა. ჩემი შვილი უკვე ჩემზე დაკავებულია. როცა თავისუფალი დრო აქვს, თოის უვლის და ეთამაშება. ისე კი, მთელი დღის განმავლობაში ასჯერ შირეკავს და მეკითხება თოის ამბებს.“

ფოტოები: ლულუ ბახსიანი. ფოტო: ბარი ტაბატაძე

ქრისტინე იმედაძე
პირველი ალბომის მოლოდინში

ქრისტინე იმედაძე თავის პირველ მუსიკალურ ალბომზე მუშაობს, რომელშიც 12 ახალი სიმღერა შევა. მომღერლის სიტყვებით, ეს იქნება პოპისა და ელექტრონული მუსიკის სინთეზი. ტექსტის ავტორი თავად ქრისტინეა, ალბომის მუსიკალურ მხარეზე კი კომპოზიტორი მაია კაჭკაჭიშვილი და რეპერი ძვალი იზრუნებენ. *„მუშაობის პროცესში ვარ, ყველა სიმღერა არ არის დასრულებული. გზადაგზა ახალი იდეები ჩნდება და ვცდილობ, მათ განხორციელებას სასურველი მიმართულება მივცე.“* სრულფასოვანი ალბომის გარდა, მომღერალი სინგლის გამოშვებასა და ვიდეოკლიპის გადაღებასაც გეგმავს. ქრისტინე, ამავდროულად, აგრძელებს აქტიურ მუშაობას ტელევიზიაში, შესაბამისად, ზაფხულის ცხელი დღეების გატარება დედაქალაქში მოუწევს. ცხელ უიქენდებს კი, როგორც მომღერალი აღნიშნავს, თავის 9 წლის შვილთან, ტაისიასთან ერთად წყნეთის აგარაკზე გაატარებს.

ქრისტინეს ოჯახში ახალი წევრი ჰყავს. 3 თვის პომერანიული შპიცის ლეკვმა, სახელად თოიმ, პირველივე დღიდან პატრონის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა.

მომღერალი თოის ყველგან თან დაატარებს: *„თოის ჩემნაირი ხასიათი აქვს, გვერდიდან არ მშორდება, ჩემთან ერთად სძინავს, ძალიან მშვიდია და ცოტათი სევდიანიც კი. პატარა ბავშვივით არის, დიდხანს მარტო ვერ ვტოვებ.“*

TAMUNA INGOROKVA FASHION HOUSE

CONTACT
Address: 13A Tamarashvili Street, 0177, Tbilisi, Georgia
Phone: (995 32) 291 28 72
E-mail: tamuna@ingorokva.com

ქეთი მელუა
ტურნეს მზადებაში

2006 წელს ქეთი მელუა დიდი ბრიტანეთის ყველაზე გაყიდვად მომღერალ ქალად დასახელდა.

ქეთი მელუა მეუღლესთან — ინგლისელ მოტომრბოლელ, სუპერბაიკის ჩემპიონ ჯეიმს თოუზლენდთან ერთად.

ექსტრემალური სპორტის მოყვარული მომღერალი, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაში ყველაზე დიდ სიღრმეზე ჩატარებული კონცერტისთვის გინესის რეკორდების წიგნშიც არის შესული, ევროპული ტურნესთვის ემზადება. თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ის წერს:„მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ბრიტანეთსა და ევროპაში ზამთრის კონცერტების სერიას ვგეგმავ. სცენაზე გორის ქალთა კამერული გუნდი შემომიერთდება“. ტურნე სტარტს ოქტომბრის ბოლოს იღებს, თუმცა მანამდე ქეთი რამდენიმე ცხელ კონცერტს ივლისის თვეში გერმანიაში გამართავს. საზაფხულო არდადეგებს კი რეპეტიციებს დაუთმობს და მეუღლესთან, ინგლისელ მოტომრბოლელ, სუპერბაიკის ჩემპიონ ჯეიმს თოუზლენდთან ერთად დაისვენებს.

ქეთიმ საქართველო სულ პატარამ დატოვა. ის ოჯახთან ერთად ჯერ ჩრდილოეთ ირლანდიაში ცხოვრობდა, 14 წლის ასაკში კი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. მომღერალმა 19 წლის ასაკში პირველი ალბომი Call off the search გამოუშვა, რომელიც პირველივე თვეებში მილიონზე მეტ ეგზემპლარად გაიყიდა. 2006 წელს ქეთი მელუა დიდი ბრიტანეთის ყველაზე გაყიდვად მომღერალ ქალად დასახელდა. 2011 წლის მონაცემებით, მისი ქონება 12 მილიონ ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული.

ფოტოები: ლულუ ბუხსანი, **ფოტო:** GETTY IMAGES

ირინა შეიკი და ბრედლი კუპერი

ამბები უიმბლდონიდან

სუპერმომხიბვლელი ირინა შეიკი და ბრედლი კუპერი უიმბლდონის ჩემპიონატის ერთ-ერთ თამაშს დაესწრნენ. როგორც ფოტოებიდან ჩანს, შეყვარებულებს თამაშზე მეტად ერთმანეთი აინტერესებდათ. ენდი მარეისა და ჯო-უილფრიდ ცონგას საჩოგბურთო დუელის სანახავად 30 წლის მოდელი და 41 წლის მსახიობი ლონდონს მას შემდეგ ესტუმრნენ, რაც წინა დღეს პარიზში გამართულ Vogue Foundation Gala-ს დაესწრნენ. როგორც მათი რეაქციებიდან გამოჩნდა, წყვილი ენდი მარეის გულშემატკივრობდა.

ირინა, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ჯინსის შარვალს იდეალურად ჰქონდა შეხამებული დიდი ზომის კრემისფერი პიჯაკი და იმავე ფერის სანდლები.

უკვე ბევრჯერ დამტკიცდა, რომ წყვილი თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, ბრედლიც და ირინაც ახერხებენ, ერთმანეთთან საკმარისი დრო გაატარონ და სიყვარული პირველ ადგილზე დააყენონ.

შეგახსენებთ, რომ შეიკი და კუპერი უკვე ერთი წელია, ერთად არიან. ბოლო პერიოდში ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ წყვილი ოჯახის შექმნას აპირებს. მოკლედ, ცნობილი სიყვარულის ამბები სამაგალითოდ ვითარდება და მალე ახალ ვარსკვლავურ ოჯახსაც უნდა ველოდოთ...



როგორც ფოტოებიდან ჩანს, შეყვარებულებს, თამაშზე მეტად, ერთმანეთი აინტერესებდათ

ფოტო: GETTY IMAGES

ახალი წყვილი

ტეილორ სვიფტი და ტომ ჰიდლსტონი

სასიყვარულო ურთიერთობით

ტომი ახალი აგენტი 007 გახდება, ტეილორი კი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოლო შემსრულებელია – სწორედ ამიტომაც წყვილის სასიყვარულო ისტორიამ ბოლო პერიოდში დიდი აღტაცება და გაკვირვება გამოიწვია.

შოტლანდიელ დიჯეისთან – კალვინ ჰარისთან 15-თვიანი რომანის დასრულებიდან სულ რაღაც ორ კვირაში მომღერალი ინგლისელ მსახიობთან ერთად შენიშნეს. წყვილი ტეილორის როუდაილენდის სახლთან მდებარე სანაპიროზე რომანტიკულ სიტუაციაში დააფიქსირეს.

26 წლის ტეილორი და 35 წლის The Night Manager-ის მსახიობი ოკეანის ხედით ტკბობისას ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ.

„იმის მიუხედავად, რომ გარშემო ხალხი მიდი-მოდიოდა, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და გამუდმებით კოცნიდნენ,“ აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი, – ***„ახალგაზრდა წყვილს ჰგავდნენ, რომელიც ყურებამდეა შეყვარებული და ქვეყანაზე არაფერი ანაღვლებს.“***

როგორც ამბობენ, ტეილორისა და ტომის ურთიერთობა მაისში ნიუ-იორკში გამართულ Met Gala-ს წვეულებაზე დაიწყო, სადაც ისინი მთელი საღამო ცეკვავდნენ და იცინოდნენ.

ტომი, რომელიც დენიელ ქრეგის შემდეგ ჯეიმს ბონდის როლს შეასრულებს, ტეილორზე ამბობს: ***„ვახშამზე მის გვერდით ვიჯექი, ძალიან მომხიბვლელია. საოცარი ადამიანია. მისი რამდენიმე ვიდეო კლიპი ვნახე, მართლაც ძალიან მაგარი გოგოა.“***

კადრს მიღმა

როგორც ჩანს, 32 წლის კალვინ ჰარისმა ტეილორის ახალი გატაცების შესახებ არაფერი იცოდა. მან ამის შესახებ ფოტოების გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიტყო, რის შემდეგ Twitter-ზე შემდეგი სტატუსი გამოაქვეყნა: „როგორც ჩანს, ბოლო მომეღო!“. სტატუსი მალევე წაიშალა და კალვინმა ყოფილი შეყვარებული სოციალურ ქსელებში დაბლოკა. ასევე, გააქრო მასთან ერთად გადაღებული ყველა ფოტო Instagram-იდან. ***„არ იცოდა, რომ ტეილორი და ტომი ერთად იყვნენ,“*** – აცხადებს ერთ-ერთი წყარო.

როგორ განვითარდება ტეილორისა და ტომის ურთიერთობა, ამას დრო გვიჩვენებს. ***„სვიფტს ძალიან მოსწონს ტომის კომპანია“***, ამბობს სხვა წყარო, – ***„ტეილორი გრძნობების მორევში თავდავიწყებით არ გადაეშვება, უბრალოდ დინებას გაჰყვება.“***

ფოტოები: LAURA BENJAMIN, ©TOOT, GETTY IMAGES, ISTOCK

Casino International

- American Roulette
- Black Jack
- Baccarat
- Russian Poker
- 6 Card Poker
- 3 Card Poker
- Texas Poker
- Slots
- Electronic Roulette

+995 422 210021 40 Rustaveli str. info@cibatumi.com cibatumi.com

Casino International at Hilton Batumi

კახიანების საზაფხულო სახლი მცხეთაში

„ჩვენი სახლი ჩვენი ციხე-სიმაგრეა. ეს სახლი მინდა დარჩეს, როგორც სიყვარულის სიმბოლო“

ბახიანების უხუცესი წევრი და ჩვენი მასპინძელი იმედა კახიანი რამდენიმე სიტყვით ახასიათებს საკუთარ სახლს – „ეს არის სიკეთის, ბედნიერების, სიყვარულისა და ოცნების სახლი“. მცხეთის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჯერ კიდევ იმ ასაკიდან გაუჩნდა, როცა სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერიდან თბილისისკენ მომავალს, მცხეთის ღირსშესანიშნაობებს მატარებლის ფანჯრიდან მამა თითით აჩვენებდა და, ქსნის ციხიდან დაწყებული, სხვადასხვა ციხე-კოშკზე მრავალ ისტორიას უყვებოდა.

„მცხეთაში სახლი კი არა, პატარა ქოხი რომ მქონოდა, ეს იყო ჩემი დიდი ოცნება,“ – ამბობს იმედა კახიანი. მისი ოცნების სახლის ისტორია **24** წლის წინ მცხეთაში დაიწყო, როცა გურამ ფირცხალავასთან ერთად მის უფროს ძმასთან სტუმრად ჩასულმა შემთხვევით გაიგო, რომ ერთი მცხეთელი ოჯახი მინის ნაკვეთს თბილისში, გლდანის მეტროსთან ახლოს მდებარე ოროთახიან ბინაზე ცვლიდა. წინადადებამ ისე მოხიბლა, რომ რამდენიმე წუთში სუფრიდან პირდაპირ გლდანში აღმოჩნდა. სკოლასთან და მეტროსთან ახლოს ორის მაგივრად სამოთახიანი ბინა მოძებნა, რომელიც ორი ათას ორასი დოლარი ღირდა. საბუთების მოწესრიგების შემდეგ ბინა მცხეთაში, თბილისიდან ოცი წუთის სავალზე, გადაცვალა. **1200** კვადრატული მეტრი ფართობი მიწა ნარეკვევის დასახლებაში მდებარეობს. ნაკვეთი საჭიროებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით დაპროექტდა და რვა წელიწადში **340** კვადრატულ მეტრიან სახლად იქცა. ის ექვს საძინებელს, სამზარეულოს, მისაღებ ოთახსა და სამ სველ წერტილს აერთიანებს.

იმის გათვალისწინებით, რომ სახლი საზაფხულო საცხოვრებლის ფუნქციას ატარ- ▶

„ჩვენი ლადო კახიანი. ეს ნახატი იმედას მეგობარმა თორნიკე კოპალეიშვილმა, იგივე კოპალამ მოსკოვში, ცნობილ რუს მხატვარს, სუშენკოს დაახატვინა“

„ერთადერთი ადგილია, სადაც მთელი ოჯახი ვიკრიბებით. ეს სახლი სიმშვიდესთან, ბედნიერებასა და დიდ სიხარულთან ასოცირდება“

„ეს არის ჩვენი და ჩვენი ახლობლების ყველაზე საყვარელი ადგილი. სახლში განსაკუთრებული გარემოა და ჩვენთვის აქ ყოფნა დიდი კომფორტია“

ებს, ინტერიერი პროვანსის სტილშია მოწყობილი. ძველ სამოვარს, ჩარჩოებს, ოჯახის რელიკვიებსა და ანტიკვარულ ნივთებს თანამედროვე ნივთები ერწყმის. აქ თითოეულ ნივთს თავისი წარსული, ისტორია და დატვირთვა აქვს. სახლში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საყვარელი ნივთი ორმოცი წლის შავი „ვეინბახის“ როიალია, რომელიც მშობლებმა ეკას ნიჭიერთა ათწლედში სწავლის პერიოდში უყიდეს და რომლითაც იმედა კახიანის მეუღლის, ფლორას, მზითვი — „ბლუტნერის“ ინსტრუმენტი ჩაანაცვლეს. მისაღები ოთახის ერთ კედელზე განთავსებული ფოტოებით კადრებად ცოცხლდება უამრავი მოგონება, იმედა კახიანის სტუდენტობა და „საბუდარელი ჭაბუკის“ გადაღებები, კინოსტუდია და, საერთოდ, გადასაღებ მოედნებზე გატარებული ნახევარ საუკუნეზე მეტი.

ბაღი, სკოლა, სამსახური, კონცერტები. თბილისში ოჯახის თითოეულ წევრს დატვირთული სამუშაო გარემო და გრაფიკი აქვს, შესაძლოა, დღე ისე გავიდეს, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთი ვერც კი ნახონ, თუმცა როგორც კი ქალაქში დაცხება, გაზაფხულის ბოლოს მთელი ოჯახი საცხოვრებლად მცხეთაში გადადის და შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ოთხი სხვადასხვა თაობა ერთადაა. სწორედ ეს ერთობა განაპირობებს იმას, რომ კახიანების მცხეთის სახლმა დროთა განმავლობაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ოჯახის დამაკავშირებელი ფუნქციაც შეიძინა.

დილა აქ **7** საათზე **3** წლის ლადოსა და ელენეს ჟრიამულით იწყება. სახლში ოჯახის ყველა წევრს თავისი საყვარელი კუთხე აქვს. ნინის, ანასტასიასა და ქეთოს საყვარელი ადგილი საცურაო აუზი და ვერანდაა, სადაც თბილისიდან ამოსულ მეგობრებთან ერთად ხშირად იკრიბებიან, ცურავენ, ირუჯებიან და დროს სასიამოვნოდ ატარებენ. ეკას საყვარელი ადგილი მისი საძინებელი ოთახი და ეზოა, სადაც უცხო ჯიშის ვარდებს აშენებს: „ეს სახლი დიდ სიხარულთან და სიმშვიდესთან ასოცირდება. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც მთელი ოჯახი ვიკრიბებით. ვერსად ისე ვერ ვისვენებ, როგორც აქ“. ეზოს სიყვარულში ეკას ფლორაც უერთდება, რომელმაც გამწვანებაზე ზრუნვა ამ სახლში გადმოსვლისთანავე დაიწყო. ეზოს ერთ-ერთი პირველი მცენარე აუზთან დარგული, ბათუმიდან ჩამოტანილი „ტაკომაა“.

მტკვრისა და არაგვის შესართავთან თბილისთან შედარებით ხუთი გრადუსით დაბალი ტემპერატურაა. ამინდის პროგნოზის გამოცნო- ▶

უფროსმა შვილიშვილმა იმედა კახიანის მიერ შექმნილი საინტერესო და დაუვიწყარი კინოპერსონაჟები ერთ ფოტოკოლაჟში გააერთიანა და საყვარელ ბაბუას საჩუქრად გადასცა

შესაძლოა, დღე ისე გავიდეს, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთი ვერც კი ნახონ, თუმცა როგორც კი ქალაქში დაცხება, მთელი ოჯახი საცხოვრებლად მცხეთაში გადადის

„როცა მარტო ყოფნა მინდა, ჩემს საძინებელ ოთახში ვიკეტები და ვისვენებ“

ნინის, ანასტასიასა და ქეთოს საყვარელი ადგილი საცურაო აუზი და ვერანდაა, სადაც თბილისიდან ამოსულ მეგობრებთან ერთად ხშირად იკრიბებიან

ბა წლების მანძილზე იმედა კახიანმაც ისწავლა. ოჯახის მამასახლისს განსაკუთრებით უყვარს ვერანდა, საიდანაც ზედაზნის მთის პანორამული ხედი იშლება. უკვე წლებია, სწორედ ამ მთის საშუალებით იგებს უტყუარ ამინდის პროგნოზს. მთაზე ნისლი ნიშნავს, რომ გაავდრდება.

ოჯახის ყველა წევრი ერთხმად თანხმდება, რომ თითოეული მათგანისთვის მისაღები ოთახი განსაკუთრებული ადგილია, სადაც ყოველდღე, სადილის დროს, დიდი სუფრა იშლება და მთელი ოჯახი ერთად იკრიბება. მაგიდაზე გემრიელ კერძებს მარნიდან ამოტანილი, საკუთარ ეზოში მოყვანილი ალადასტურის, ჩინურისა და ადესას ცივი ღვინოც ემატება. ოჯახის მეგობრებს ამ სახლში სტუმრობა განსაკუთრებით უყვართ. მათ გარეშე აქ ცხოვრება კახიანებისთვისაც წარმოუდგენელია. სახლიდან ხშირად გამოდის სიმღერისა და მუსიკის ხმა, ამიტომ მათი მიგნება მცხეთაში ადვილია. თუ მაინც ვერ მიაგნებთ, აქ კითხვაზე – „კახიანები სად ცხოვრობენ?“ – ნებისმიერი მცხეთელი გიპასუხებთ: „ფანჩულიძის ქუჩაზე, 12 ნომერში“.

ტექსტი: ზურა მახარაშვილი
ფოტო: ლევან ჩხატარაშვილი



Dar el Marsa

სანაპიროზე
აღმოჩენილი სამოთხე

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08

ნინო უნგიაძე და ანა მარკოზაშვილი

„ოქროს ლომის“ მფლობელები გახდნენ

საქართველო ღირსეულად წარდგა „კანის ლომების“ საერთაშორისო ფესტივალზე და გამარჯვებაც მოიპოვა. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლებმა, ნინო უნგიაძემ და ანა მარკოზაშვილმა, ადგილობრივი შესარჩევი კონკურსი წარმატებით გაიარეს და კანში ჩვენი ქვეყნის სახელით „ოქროს ლომი“ მოიპოვეს. ეს საქართველოსთვის პირველი „ოქროს“ ჯილდოა ახალგაზრდა მარკეტერების კატეგორიაში.

„კანის ლომების ფესტივალის“ ისტორია **1953** წელს იწყება, როდესაც ის კანის კინოფესტივალს გამოეყო. მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება და სარეკლამო ინდუსტრიის საუკეთესო წარმომადგენლების გამოვლენას ემსახურება.

ფოტო: ფოტო მარტლიუბამი

Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com

30 დღე

ახალი ამბების დასტა

1. გიორგი მარგველაშვილი იენს სტოლტენბერგს პირისპირ შეხვდა და მასთან ერთად საქართველო – NATO-ს ურთიერთობები განიხილა. საქართველოს პრეზიდენტმა NATO-ს გენერალურ მდივანს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო საკუთარი ვალდებულებების ერთგული რჩება.

2. „რიო 2016 " ქართველ სპორტსმენთა რეკორდულ რაოდენობას უმასპინძლებს. ზაფხულის 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით 39 მონაწილე წარდგება და სპორტის 12 სახეობაში იასპარეზებს. ესენია: ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, ცურვა, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, ფარიკაობა, კანოე, ჩოგბურთი. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში 5-დან 21 აგვისტომდე გაიმართება.



3. მარიამ ბოლეშვაძე უიმბლდონის გოგონათა ტურნირის წყვილთა ფინალში გავიდა, მაგრამამერიკელ მეწყვილესთან ერთად დამარცხდა (6:2, 6:3). მანამდე მარიამი შარმ-ელ-შეიხში გამართული 10-ათასიანი ტურნირის გამარჯებული გახდა და შეჯიბრება ისე მოიგო, რომ ერთი სეტიც არ დაუთმია.

4. გაერომ ახალი კამპანია – Global Goals წამოიწყო. მისი მთავარი მიზანი ძალადობის შემცირება, მცირეწლოვანთა გათხოვების პრაქტიკის აღკვეთა, თანასწორი განათლებისა და შრომითი ანაზღაურებისათვის ბრძოლაა. კამპანიის პოპულარიზაციას ემსახურება Spice Girls-ის სიმღერის – Wannabe-ს განახლებული ვერსია და ე.წ. ჰეშთეგი #WhatIReallyReallyWant, რომლის გამოყენებითაც გოგონები ყველაზე გლობალურ სურვილებს აქვეყნებენ. კამპანიას უკვე ბევრი ცნობილი ადამიანი გამოეხმაურა.

5. ტერეზა მეი დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრია. ის 17 წლის მანძილზე იყო კონსერვატიული პარტიას ხელმძღვანელობდა და ყოველთვის პირდაპირი და მწვავე განცხადებებით გამოირჩეოდა. 1976 წელს არჩეული ჯეიმს კალაჰანის შემდეგ ტერეზა მეი ყველაზე ასაკოვანი პრემიერ-მინისტრი გახდა მათ



შორის, ვისაც ეს თანამდებობა დაუკავებია. მისი თქმით, აუცილებელია ისეთი ბრიტანეთის არსებობა, სადაც თავს კარგად გრძნობენ როგორც პრივილეგირებული ფენები, ისე – რიგითი მოქალაქეები.

6. ბარაკ ობამამ საქართველოს ევროინტეგრაციას კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. ვარშავის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში დაეხმარება. პოლონეთის დედაქალაქში NATO-ს სამიტი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ალიანსის მომავალი სამიტი ბრიუსელშია ჩანიშნული.

7. რუსუდან გლურჯიძის ფილმს „სხვისი სახლი" კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრანპრი – „ბროლის გლობუსი" გადაეცა. ნამუშევარმა საკონკურსო პროგრამაში East of the West გაიმარჯვა. დაჯილდოების ცერემონიას ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი დაესწრო.

პორტუგალია „ევრო 2016“-ის გამარჯვებული გახდა

პორტუგალია ფინალში საფრანგეთის ნაკრებს შეხვდა. თამაშის ძირითადი დრო ფრედ (0:0) დასრულდა. დამატებით დროში კი გადამწყვეტი გოლი ედერმა გაიტანა. საბოლოოდ, ჩემპიონატის ფინალი ანგარიშით 1:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონის ტიტული ისტორიაში პირველად მოიპოვა.



8. ზაზა ფაჩულია Golden State Warriors-ს 27-ნომრიანი მაისურით დაიცავს. 32 წლის ქართველი კალათბურთელი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით გაწევრიანდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც 2.9 მილიონ დოლარს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულია მანამდე Dallas Mavericks-ის ინტერესს იცავდა. 76 მატჩში მისი საშუალო სტატისტიკა 8.6 ქულასა და 9.4 მოხსნას ითვლის.



9. ავთანდილ ჭრიკიშვილი რიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს მედროშე იქნება. ის საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ეროვნული დროშით 5 აგვისტოს, „მარაკანას“ სტადიონზე, გახსნით ცერემონიალზე წარუძღვება. 25 წლის ავთანდილ ჭრიკიშვილი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად ზედიზედ ორჯერ, 2013 და 2014 წლებში, დასახელდა.

10. ქუინსი ჯონსმა შავი ზღვის რიგით მე-10 ჯაზფესტივალი გახსნა. 27 გრემის მფლობელი ამერიკელი კომპოზიტორი, მესაყვირე, არანჟირების

ოსტატი და მუსიკალური პროდიუსერი მსმენელების წინაშე განსაკუთრებული პროგრამით წარდგა და ბათუმში ჩასულ სტუმრებს დაუვიწყარი საღამო უსახსოვრა. ჯაზფესტივალი Check in Georgia-ს ფარგლებში ჩატარდა. კონცერტები მეისი გრეიმ, The Prodigy-მ, ლორინ ჰილმა, ნიკ უესტმა და Miles Electric Band-მა გამართეს.

11. პრინცი ჰარი იმისათვის, რომ შიდსზე არსებული სტიგმა დაეძლია და ხალხისათვის ეჩვენებინა, რამდენად აუცილებელია აივ-დიაგნოსტიკა, შიდსის ანალიზი ჩააბარა. 31 წლის პრინცის ტესტირების პროცესს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს – პირდაპირი ეთერი ბრიტანული სამეფო ოჯახის Facebook-ის გვერდზე გადაიცემოდა. ექიმმა, რომელმაც აივ-ტესტირება ჩაატარა, პრინცი შეაქო და აღნიშნა: „მან ძალიან კარგი მაგალითი მოგვცა და დაამტკიცა, რომ ანალიზი აბსოლუტურად ყველასთვის აუცილებელია! მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ხართ და რას წარმოადგენთ – აივ-ტესტირება ყველამ უნდა ჩაიტაროთ“. პრინცის შიდსის ანალიზმა უარყოფითი პასუხი აჩვენა.

„ძალიან ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ჩემ გარშემო არც გიჟური გარემოა და არც ვინმესგან დამალვა მიწევს“

რიჩარდ გირი

„ჩემი ოცნებაა, დავეხმარო აბსოლუტურად ყველას! ვიცი, ამას მარტო ვერ შევძლებ, მაგრამ ის მაინც შემიძლია, რომ ძალები არ დავიშურო“

ჰოლივუდელი მსახიობი ულამაზესი ქალბატონების გარენოცვაში (მარცხნიდან): იზაბელ ჰრეილსერი, ევა გონსალესი და ალექსანდრა სილვა საქველმოქმედო წვეულებაზე.

რიჩარდ გირი იმ მსახიობთა შორისაა, რომლებიც ყველა ასაკისა და სქესის წარმომადგენლებს ერთნაირად უყვართ. უკვე კარგად ცნობილია, რომ, სამსახიობო საქმიანობის გარდა, ვარსკვლავი ქველმოქმედებითაცაა დაკავებული. როგორც აღმოჩნდა, მას დიზაინის, კონკრეტულად კი დეკორის, თემაც განსაკუთრებულად აინტერესებს. სწორედ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრება HELLO! „ლამაზმანის“, „ჰაჩის“, „ჩიკაგოსა“ და სხვა პოპულარული ფილმების მთავარ გმირს...

ამ ბოლო დროს ხშირად სტუმრობთ მადრიდს. იქ ხომ არ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას?

რ.გ. მადრიდში სტუმრობისას მეგობრებთან ვრჩები ხოლმე და ქალაქს ნელ-ნელა ვეცნობი. განსაკუთრებით მისი ძველი უბნები მომწონს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ მადრიდი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია. აქ შენობებთან ერთად ბუნების თვალწარმტაცი ხედებიც იშლება, თან ხალხმრავლობას არასოდეს შევუწუხებივარ.

როგორია თქვენი ესპანური სახლი? როგორ დეკორაციებშია გადაწყვეტილი? ზოგადად, რა უნდა გქონდეთ სახლში იმისათვის, რომ თავი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოთ?

რ.გ. ძირითადად, ძველი ნივთები მაქვს. მიყვარს ძველებური სტილის კაფელი, კრამიტი, ხის ავეჯი და ნივთები, რომლებიც მრავალი წლის ისტორიას ინახავენ; ნივთები, რომლებსაც ბევრი ადამიანის ხელში გამოუვლიათ. თანამედროვე დეკორაციები დიდად არ მიზიდავს.

რა ხდება თქვენს სამსახიობო კარიერაში?

რ.გ. ახლა, მგონი, ყველაზე დატვირთული პერიოდი მაქვს. კინოინდუსტრია ყოველთვის ახერხებს ჩემს გაოცებას. იმდენი საინტერესო სცენარი მომდის, თითოეულ მათგანში მინდება მონაწილეობა. თუმცა გადაწყვეტილების მიღება ცოტა მიჭირს ხოლმე. ხშირად ერთ სცენარზე მუშაობას წლებსაც კი ვანდომებ!

მაშინ უკანასკნელ ნამუშევარზე ვისაუბროთ. „სამი ქრისტე იპსილანტში“ — ასე ჰქვია ფილმს, რომელშიც მთავარ როლს ასრულებთ...

რ.გ. გადაღებები ჯერ არ დაგვიწყია. სამაგიეროდ ამ ნამუშევრის დასრულებამდე ეკრანებზე ორი ახალი ფილმი გამოვა. ერთ-ერთს „ოპენჰაიმერის სტრატეგიები“ ჰქვია. დღემდე მიჭირს ამ სურათზე საუბარი. რთულია, რამდენიმე ▶



„ჩვენი მთავარი მიზანი, ზოგადად, გაჭირვებულების დახმარებაა. ყურადღებას ვაქცევთ უსახლკაროებსა და დევნილებს...“

„იმდენი საინტერესო სცენარი მომდის, თითოეულ მათგანში მინდება მონაწილეობა. თუმცა გადაწყვეტილების მიღება ცოტა მიჭირს ხოლმე. ხშირად ერთ სცენარზე მუშაობას წლებსაც კი ვანდომებ!“



კაეტანო რივერა, იზაბელ პრეილსერი, ევა გონსალესი, მარიო ვერგას ლოსა, რიჩარდ გირი და ალექსანდრა სილვა

სიტყვით აღწერო. სიუჟეტი მოგვითხრობს მამაკაცზე, რომელსაც ძალაუფლების მოპოვება სურს და ამისათვის თავს არ ზოგავს. იცის, რომ ძალაუფლება ფულია. იცის, რომ ის მოდის, გართობის, პოლიტიკის სფეროებში იშოვება. ყველაფერი ერთი წყვილი ფეხსაცმლის ყიდვით იწყება. საბოლოოდ, მთავარი გმირის ისტორია დრამის, კომედიისა და მისტიკის ნაზავი ხდება...

საინტერესოდ ჟღერს.

რ.ბ. დიახ, ფილმის რეჟისორი იოსეფ სიდარია. ამის შემდეგ ეკრანებზე „სადილი“ გამოჩნდება. სურათი გერმანელი მწერლის ნოველაზეა დაფუძნებული. სიუჟეტი მოგვითხრობს ბავშვებზე, რომლებიც უსახლკარო ადამიანს კლავენ და მათ ოჯახზე, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს. ნამუშევრის რეჟისორი და სცენარისტი ორენ მუვერმანია, რომელთანაც მანამდეც ვთანამშრომლობდი.

როგორც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ჩანს, ფეხბურთი გიყვართ და „რეალ მადრიდსაც“ გულშემატკივრობთ...

რ.ბ. არა, ერთადერთხელ დავესწარი მათ თამაშს. ფეხბურთთან არ ვმეგობრობ. სამაგიეროდ, ჩემმა შვილმა იცის ყველაფერი, რაც ამ სპორტს უკავშირდება. სწორედ ის დაესწრო „რეალ მადრიდის“ თამაშს და ისეთი ბედნიერი იყო, რომ მისი განწყობა მეც გადმომედო.

როგორც ვიცით, ცნობილ გუნდთან ერთად იმგზავრეთ და მათი საფეხბურთო თასიც კი გეკავათ...

რ.ბ. როცა მე და ჩემი ბიჭი მადრიდში მივფრინავდით, ფეხბურთელებთან ერთად ვიმგზავ-რეთ. მე არაფერი ვიცოდი მათ შესახებ, ჩემი შვილი კი ყველას იცნობდა. ფოტო გადაიღეს, ისაუბრეს. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. გამოდის, რომ მათ უკვე მეც ვგულშემატკივრობ.

ხშირად აღგინიშნავთ, რომ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი შვილია. არ გაქვთ სურვილი, რომ მამობის ბედნიერება კიდევ ერთხელ გამოსცადოთ?

რ.ბ. რაც მოსახდენია, თავისით მოხდება. ამ საოცარი ბიჭის მამობა ნამდვილად ჩემი არჩევანი იყო და ძალიან მინდა, მოვალეობებს თავი კარგად გავართვა. ამიტომ ვცდილობ ხოლმე, ყოველთვის გვერდით ვყავდე. მგონი, ეს კარგად გამომდის. ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს.

მსახიობის პროფესია ხელს ხომ არ გიშლით მამის მოვალეობების შესრულებაში?

რ.ბ. არა, არანაირად. მართლა ძალიან ჩვეულებრივად ვცხოვრობ. ჩემ გარშემო არც გიჟური გარემოა და არც ვინმესგან დამალვა მიწევს. მისთვის უბრალოდ მამა ვარ.

იმასაც ხომ ვერ გაგვიმხელდით, როგორია რიჩარდ გირი ვარსკვლავური ცხოვრების მიღმა? რისი გეშინიათ, რა გაბედნიერებთ, რა გაძლევთ სტიმულს, რა გტკენთ გულს, რა გაძლევთ შთაგონებას და რაზე ოცნებობთ — ყველაფერი გვაინტერესებს.

რ.ბ. ამ ყველაფერს საკუთარ თავსაც ხშირად ვეკითხები. პასუხები კი არაფრით გამოირჩევა. მგონია, რომ თითოეული ჩვენგანი სამყაროში თავის დამკვიდრებას ვცდილობთ. სად არის ჩვენი ადგილი? იქ, სადაც გვაფასებენ და გვა--ქებენ? იქ, სადაც თავს ღირებულად ვგრძნობთ? უსახლკარო ადამიანს ყველაზე მეტად სახლი სჭირდება. მაგრამ არანაკლებ საჭიროა მეგობრები, გარშემომყოფები – ისინი, ვინც გვხედავენ, გვიფრთხილდებიან, ზრუნავენ... ეს ურთიერთობაა. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად ამ სამყაროში თავის დამკვიდრება და ურთიერთობები გვაბედნიერებს.

ყოველთვის წყნარ, მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობდით...

რ.ბ. დიახ. საბედნიეროდ, სწორედ ასეთი ცხოვრება მაქვს. ვიცი, სად არის ჩემი ადგილი და ბედნიერი ვარ იმ სიტუაციით, რომელიც ჩემ გარშემოა.

როცა სარკეში იყურებით, თავში რა ფიქრები გიტრიალებთ?

რ.ბ. სარკეში დიდხანს არ ვიყურები ხოლმე.

და როცა იყურებით, ვის ხედავთ?

რ.ბ. აქ ორი საკითხია – თავს როგორ ვგრძნობ და სინამდვილეში როგორ გამოვიყურები. მე თავი 33 წლის მგონია. მაშინ კი, როცა სარკეში ვიყურები, ეს შეგრძნება მიქრება და საკუთარ თავს ვეუბნები, რომ მორჩა, 33-ის ვეღარ ვიქნები.

როგორც გავიგეთ, ესპანურ ენასაც დაეუფლეთ. კარგად საუბრობთ?

რ.ბ. გადასარევად. უბრალოდ, საუბრის მრცხვენია ხოლმე. სასწავლი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს...

ტექსტი: ROSETA L. DEL VALLE
ფოტო: LORENZO AGIUS
სტილისტი: CRISTINA REYES
პროდიუსერი: SELMA ALABAU

omega

ავტორბოლის მოყვარული ბრედ პიტი ფრანგულ „ლე-მანში“ „პიტურად“ ჩაერთო

ენერგიულმა ბრედმა დიდი ხნის ოცნება აიხდინა და ორგზის ჩემპიონ ალექსი ვურცს ყველაზე პრესტიჟულ „ლე-მანის 24 საათში“ შეუერთდა. მათ ავტომობილის საჩვენებელი შემოვლით ერთობლივად გახსნეს ცნობილი ღონისძიება. პიტმა სპეციალური თეთრი ფორმა მოირგო. ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილმა კი ფრანგული დროშის აღმართვით დამსწრე საზოგადოებას რბოლის დაწყება ამცნო. სანახაობით ტკბობაში მსახიობისთვის არც გადაუღებელ წვიმას შეუშლია ხელი. მან ავტომრბოლელებთანაც გამონახა საერთო და მათთან ერთად გამართული ფრანგულით სხვადასხვა თემაზე ისაუბრა.

პიტი საყვარელ ღონისძიებაზე კოლეგებსაც გადაეყარა. მათ შორის იყვნენ ჯეისონ სტეტჰემი, „გრეის ანატომიის“ ვარსკვლავი პატრიკ დემპსი, ჯეკი ჩანი და კიანუ რივზი.

აღსანიშნავია, რომ ბრედს საფრანგეთთან სხვა ტკბილი მოგონებებიც აკავშირებს. მსახიობმა ანჯელინა ჯოლიზე სწორედ სამხრეთ საფრანგეთში, შატო მირავალში იქორწინა.

ფოტო: GETTY IMAGES.

თორნიკე და ეკა ახალ სატელევიზიო სერიალში გამოჩნდნენ

ქართულ ტელესივრცეში ახალი სატელევიზიო სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ გამოჩნდა, რომელმაც პირველივე ეპიზოდიდან მაყურებლის ყურადღება მიიქცია და დადებითი გამოხმაურება დაიმსახურა. საქართველოს კინო თუ სატელევიზიო ბაზარზე დღეს კომედიური ჟანრის ნაწარმი უფრო მეტი პრიორიტეტით სარგებლობს. თუმცა, როგორც ვხედავთ, ხარისხიანი დრამის დროც დადგა და „ხელოვნური სუნთქვა“ სწორედ ასეთი სატელევიზიო სერიალია.

ფილმის ძირითადი სიუჟეტი სასწრაფოს ექიმის, მარტოხელა მამისა და მიზანდასახული, დამოუკიდებელი ქალი ჟურნალისტის ირგვლივ ვითარდება. მთავარი როლის შემსრულებლების, თორნიკე გოგრიჭიანისა და ეკა დემეტრაძის, სიტყვებით, ახალი სერიალი საინტერესო გამოწვევაა. თორნიკე, თავისი გმირის საქმიანობიდან გამომდინარე, პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის უკვე მზად არის. ეკა კი, თავისი პერსონაჟის მსგავსად, თბილისში გადაადგილებას ველოსიპედით ცდილობს.

ფილმის შემქმნელები მაყურებლის დადებით შეფასებასა და მაღალ რეიტინგს ელიან, თუმცა კრიტიკისთვისაც მზად არიან. პირველი სეზონი 18 ეპიზოდს გააერთიანებს.

ტექსტი: ლელა ბასილაია **ფოტო:** ბაჩი ტაბატაძე

გელა ბაბლუანის ახალი ფილმი „ფული“

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი გელა ბაბლუანი თავის 4 წლის შვილთან — გიორგისთან ერთად თბილისს ეწვია. ვიზიტს ორი მიზეზი ჰქონდა: გიორგის დაბადების დღე და რეჟისორის ახალი ფილმი „ფული“, რომლის პრემიერაც წლის ბოლოს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ უკვე საქართველოში შედგება. ფილმი სოციალურად გაჭირვებულ სამ ახალგაზრდაზე მოგვითხრობს, რომლებიც კონკრეტული პირის გაძარცვას გეგმავენ, თუმცა ადგილზე მისვლისთანავე აღმოაჩენენ, რომ ეს პიროვნება სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ამ მომენტიდან მოვლენები სხვა მიმართულებით ვითარდება. ფილმის დაძაბული სიუჟეტი მატერიალური და ადამიანური ღირებულებების ერთგვარი ბალანსია. „ფულის“ გადაღებები ძირითადად საფრანგეთში მიმდინარეობდა, თუმცა რამდენიმე სცენა საქართველოშიც გადაიღეს. ახალ კინოსურათში ერთ-ერთ მთავარ როლს გიორგი ბაბლუანი ასრულებს, რომელსაც მაყურებელი ფილმ „ცამეტიდან“ იცნობს.

კინოპრემიერის გარდა, გელა ბაბლუანის სამომავლო გეგმებში შედის საქართველოში საერთაშორისო კინოსკოლის გახსნა, რომელიც კინო-სატელევიზიო ინდუსტრიის ყველა დარგში პროფესიონალების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ინტერვიუ: ლუკა ბასრანი **ფოტო:** ბაჩი ბასბუნაძე

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ჯეკის როლის შესრულება. მას სწორედ ისეთი ტემპერამენტი ჰქონდა, ნამდვილ კინოვარსკვლავს რომ შეეფერება“



კეიტი ჟაკლინ კენედის განასახიერებს, არისტოტელე ონასისის როლში ალექსანდერ სიდინგი გვევლინება

„კენედების“ ვარსკვლავი კეიტი ჰოლმსი პირველ ლედიდ მეორედ აირჩიეს

ტომ კრუზთან ოჯახის შექმნისა და დანგრევის გამო, ის ერთხელ უკვე იქცა განხილვის მთავარ თემად. ამჯერად კეიტი ჰოლმსი ყურადღებას ჟაკლინ კენედის განსახიერებით იპყრობს. ყოფილი პირველი ლედის მეორე მეუღლის, ბერძენი მილიონერის, არისტოტელე ონასისის, როლს ალექსანდერ სიდინგი ასრულებს. ახალ ამერიკულ მინისერიალს კი „კენედები: კამელოტის შემდეგ“ ერქმევა.

37 წლის კეიტი, გამომდინარე იქიდან, რომ 2011 წლის „კენედებშიც“ მონაწილეობდა, უკვე კარგად იცნობს საკულტო ქალბატონის ხასიათს. მაშინდელი მინისერიალი პრეზიდენტ ჯონის აღზევებასა და ტრაგიკულ სიკვდილზე გვიყვებოდა. ახალი ოთხსეზონიანი ნამუშევარი კი, რომელიც ეკრანებზე მომავალი გაზაფხულიდან გამოვა, შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე მოგვითხრობს. ეპიზოდებში „მეგობრების“ ვარსკვლავი – მეთიუ პერიც ჩნდება, რომელიც სენატორ ტედ კენედის როლს ასრულებს. *„ჟაკლინს ისედაც ვაღმერთებდი, მაგრამ მისი ხასიათის ახლოს გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა,“* – აღნიშნავს კეიტი – *„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ჯეკის როლის შესრულება. მას სწორედ ისეთი ტემპერამენტი ჰქონდა, ნამდვილ კინოვარსკვლავს რომ შეეფერება.“*

ტორონტოში მიმდინარე გადაღებებზე, მსახიობ დედიკოს 10 წლის ქალიშვილი – სური გულშემატკივრობს. ის ჯეკის ქალიშვილის, კაროლინის, როლის შემსრულებელთან, ავა პრესტონთან, მეგობრობს. რაც შეეხება კეიტს, ის ალექსანდერთან ერთად ქორწილის სცენების გადაღებითაა დაკავებული. ჟაკლინის როლის შემსრულებელს 1969 წელს შეკერილი Valentino-ს კაბის ზუსტი ასლი აცვია და, ბერძნული ტრადიციებისამებრ, თეფშებს სულ ცეკვა-ცეკვით ამტვრევს. სხვათა შორის, ჟაკლინ კენედის მსგავსად, კეიტის პირადი ცხოვრებაც მუდმივად ყურადღების ცენტრშია. ბოლო წლებში, ბევრს საუბრობენ მისი და ოსკაროსანი ჯეიმი ფოქსის რომანზე. ეჭვები ამერიკული რეალური შოუს ვარსკვლავმა, კლაუდია ჯორდანმა განამტკიცა, როცა თქვა, რომ ჯეიმი კეიტთან თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. გაუგებარი მიზეზების გამო კი, მეორე დღესვე განაცხადა, რომ მისი ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. რაც მთავარია, ჰოლმსი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არაფრით არ სურს, მის პირად ცხოვრებას კარიერული მიღწევები ფარავდეს: *„არ მინდა, ჩემი რომანების გამო ვიყო ცნობილი! მე ყოველთვის მსახიობი ვიყავი, ვარ და ვიქნები“*.

ფოტო: GETTY IMAGES.

ჯორჯს ძალიან უყვარს ბაბუასთან ერთად ბაღში სეირნობა და უილიამისა და ჰარის ბავშვობაში ხეზე აშენებული სახლის მონახულება

დიდი ბრიტანეთის პატარა უფლისწული და მისი გატაცებები

როგორც ყოველთვის, პრინცი ჯორჯის სამი წლის იუბილეს, რომელიც 22 ივლისს აღინიშნა, სასახლეში გამართული სპეციალური წვეულება მიეძღვნა. სამი წლის უფლისწულმა უამრავი მისალოცი ბარათი და საინტერესო საჩუქრები მიიღო.

ცნობილია, რომ კემბრიჯის ჰერცოგის მოუსვენარ ბიჭუნას ძალიან მრავალფეროვანი გემოვნება აქვს. მას განსაკუთრებულად უყვარს ყველაფერი, რაც თვითმფრინავებს, დინოზავრებსა და ბუნებას უკავშირდება. ის რომ თვითმფრინავებით დაინტერესდებოდა, მაშინაც ნათელი იყო, როცა პრინც უილიამს, რომელიც გამოცდილი პილოტია, პატარა ჯორჯისთვის სპეციალური სამკერდე ნიშანი აჩუქეს წარწერით: „მამიკოს პატარა თანაპილოტი“. სამეფო ოჯახის უმცროსი წარმომადგენლის ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა კენსინგტონის სასახლიდან აფრენილი ვერტმფრენების ყურებაა. სწორედ ამიტომ დაბადების დღეზე მშობლებმა გლოსტერშირში მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ სამხედრო საჰაერო შოუზე წაიყვანეს და პილოტის კაბინაში საპატიო ადგილიც არგუნეს. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა იუბილარი ძალიან გააბედნიერა.

როგორც აღმოჩნდა, პრინცი ჯორჯი სუფთა ჰაერზე ყოფნა ძალიან უყვარს. ▶

პრინცი ჯორჯი უკვე სპორტსმენ დედიკოსაც უწევს ხოლმე პარტნიორობას და ჩოგბურთის თამაშს ნორფოლკში მდებარე სახლის კორტებიდან გულშემატკივრობს

პოლოს სათამაშო მოედანზე პატარა პრინცს უკვე თავისი ადგილი აქვს. ის აღტაცებით უყურებს ხოლმე პრინცი უილიამისა და პრინცი ჰარის თამაშს და მათ მოძრაობებს პატარა ჯოხით იმეორებს.

გამოცდილი პილოტი პრინცი უილიამი და მისი ვაჟიშვილი საჰაერო შოუს სანახავად ემზადებიან. პრინცი ჯორჯი აფრენილ ვერტმფრენს ბუკინგემის სასახლის აივნიდან ადევნებს თვალს.

პრინც უილიამს, რომელიც გამოცდილი პილოტია, პატარა ჯორჯისთვის სპეციალური სამკერდე ნიშანი აჩუქეს წარწერით: „მამიკოს პატარა თანაპილოტი“

პრინცი ჩარლზის შვილიშვილს ბუნებასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს

ჰერცოგი და ჰერცოგინია პატარა პრინცს აცნობენ ბოცვერს, რომელსაც მისი სახელი ჰქვია. ფოტო ავსტრალიაში მოგზაურობის დროსაა გადაღებული. პრინცი ჯორჯი ჯადოსნურ პეპლებს აკვირდება (მარჯვნივ)

პრინცი ჩარლზის თქმით, თავის შვილიშვილს ბუნებასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. ბიჯი და ბაბუა დროს ხშირად ატარებენ ხოლმე სამეფო ბაღში, სადაც მათი დარგული ორი ხე, ბალზამინი, ალვის ხე და ზამთრის ნარინჯისფერი ლაიმი ხარობს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ჯორჯი უკვე სპორტსმენ დედიკოსაც უწევს ხოლმე პარტნიორობას და ჩოგბურთის თამაშს ნორფოლკში მდებარე სახლის კორტებიდან გულშემატკივრობს. ყოფილმა ჩოგბურთელმა — გრეგ რუსედსკიმ, რომელიც უიმბლდონის წლევანდელ ჩემპიონატზე კეიტ მიდლტონს ესაუბრა, აღნიშნა: „პატარა ჯორჯს უკვე აქვს თავისი ჩოგანი და არც თამაშზე ამბობს ხოლმე უარს.“

პრინცის კიდევ ერთი გატაცებაა პოლო. მიუხედავად იმისა, რომ თავისი პატარა პოლოს ჯოხით ჯერ ვერ თამაშობს, ეს ხელს არ უშლის, პრინც უილიამს ემოციურად უგულშემატკივროს ხოლმე.

დაბოლოს, დინოზავრების სამყარო პატარა უფლისწულის ყველაზე დიდი ინტერესის საგანია. კეიტის თქმით, მისი ვაჟიშვილი ხშირად სტუმრობს ლონდონის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმს, სადაც უზარმაზარი დიპლოდოკი „ცხოვრობს“.

ინფორმაციის: MULENGA HORNSBY ფოტოს: GETTY IMAGES

„ჩვენ ერთმანეთის ყველაზე დიდი წამლები ვართ“

შორენა ბეგაშვილი

ევამ ჩვენი მკითხველისთვის ღიმილი არ დაიშურა და HELLO!-ს დაჰპირდა, რომ შემდეგი ინტერვიუს ჩაწერისას უკვე ცეკვასაც შეძლებს

ევას ამბავი ის იშვიათი შემთხვევაა, რომელმაც მთელი საქართველო ერთი კეთილი მიზნის ქვეშ გააერთიანა – დახმარებოდნენ გოგონას, რომელსაც ცეკვა, ღიმილი, ოცნება და, ზოგადად, სიცოცხლე უყვარდა. ხალხის დახმარებით შორენას შვილი ორივე ფეხზე მყარად დადგა და წინ სვლისთვის მზადება დაიწყო. დედამისი კი, რომელიც სიძლიერისა და თავდადების მაგალითად იქცა, იმედს იტოვებს, რომ კეთილი ხალხი და ბედი იმათაც გაუღიმებს, ვინც ანალოგიურ და უარეს მდგომარეობაში არიან...

HELLO!-მ შორენა ბეგაშვილი და მისი ქალიშვილი თურქეთის კლინიკაში მოინახულა. ორივე მათგანის იმედით, სიკეთით, პოზიტივითა და მადლიერებით სავსე ემოციები გადამდები აღმოჩნდა. ევამ, რომელიც რეაბილიტაციის კურსს გადის, ჩვენი მკითხველისთვის ღიმილი არ დაიშურა და დაგვპირდა, რომ შემდეგი ინტერვიუს ჩაწერისას უკვე ცეკვასაც შეძლებს!

შორენა, როგორ მიმდინარეობს ევას რეაბილიტაცია?

შ.ბ. საბედნიეროდ, ევამ უკვე ორივე ფეხზე დადგომა შეძლო! ახლა, ზოგადად, დგომას აჩვევენ. შემდეგ ნელ-ნელა გაივლის. ცურვა უკვე კარგად გამოსდის! დილით ვარჯიშები გვაქვს ხოლმე, შემდეგ კი – მასაჟები და ცურვა.

ხომ არ უთქვამთ, რამდენ ხანს მოგიწევთ თურქეთის კლინიკაში ცხოვრება?

შ.ბ. გვითხრეს, რომ ყველაფერი ევაზეა დამოკიდებული. პროგრესი, საბედნიეროდ, დიდია. ბავშვი მწოლიარე ჩამოვიყვანეთ, ვერ ჯდებოდა და ფეხს ვერ ადგამდა. ახლა კი ორივე ფეხზე დგას და ერთ თვეში, იმედია, ნაბიჯებსაც გადადგამს. ექიმები ამბობენ, რომ საოცარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – მეხუთე სართულიდან გადმოვარდნის შემდეგ ევას ამ მდგომარეობაში ყოფნა სასწაულის ტოლფასია. წარმოიდგინეთ, ხელი, მენჯი, ორივე კოჭი მოტეხილი ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვა ხერხემლის დაზიანებებზე! კისრის მალებიც გაბზარული იყო. მოტეხილობებს ადამიანები თვეობით იშუშებენ. ევამ კი უკვე წამოდგომა შეძლო. მადლობა ღმერთს, იმედიანად ვართ განწყობილები.

რა გენატრებათ ყველაზე მეტად თბილისური ცხოვრებიდან?

შ.ბ. ზოგადად, თბილისი ძალიან მენატრება. რამდენი საქმე მქონდა, რამდენი რამ იყო გასაკეთებელი... მაგრამ, ევას გარდა, საერთოდ ვერაფერზე ვფიქრობ და ვერც ვნერვიულობ! სხვათა შორის, აქ უკვე მაქვს ჩემი საყვარელი ქუჩა, სადაც ხილს, პურს და სხვა საჭირო პროდუქტებს ვყიდულობ ხოლმე. ნელ-ნელა თურქულ ენასაც ვსწავლობთ...

„ევა იმდენად ძლიერი გოგო აღმოჩნდა, რომ აქეთ მაწყნარებდა და მეუბნებოდა ხოლმე, არ ინერვიულო, ყველაფერს შევძლებო“

„თბილისის საავადმყოფოში უამრავი ადამიანი მყავდა გვერდით, აქ კი სრულიად მარტო აღმოვჩნდი და ის წერილები, რომლებსაც ვკითხულობდი, საოცარ ძალას მმატებდა! ხან მეღიმებოდა, ხან მეტირებოდა, ვერც აღვწერ, რას ვგრძნობდი!.. ხალხს ძალიან დიდი ძალა აქვს, მართლა ძალიან დიდი!“

„იქიდან გამომდინარე, რომ მეგობრები აქ არ ჰყავს, მაქსიმალურად ვცდილობ, მე მაინც გავამხიარულო. მაშინ კი, როცა მეც გადავიღლები და მოვიწყენ ხოლმე, თვითონ ევა მახალისებს და ხან რას მთავაზობს, ხან - რას. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთის ყველაზე დიდი წამლები ვართ!“

„ექიმები ამბობენ, რომ საოცარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ევას ამ მდგომარეობაში ყოფნა სასწაულია“

როგორია ევას განწყობა?

შ.ბ. უმეტესად კარგ ხასიათზეა, მაგრამ ზოგჯერ ძალიან იღლება ხოლმე და განწყობაც ეცვლება. ამხელა სტრესის გადატანის შემდეგ ეს არც არის გასაკვირი. ზოგჯერ მეც ისე მჭირდება დამშვიდება, მგონია ხოლმე, რომ გავგიჟდები! კიბეებზე ჩარბენა, ევას თვალები, საავადმყოფოში მისვლა – ეს ყველაფერი სიზმარივით, კადრებად მახსოვს და ვერ ვიჯერებ, რომ ჩემს თავს მოხდა. ისე კი, რა შედარებაა – ახლა ორივენი მშვიდად ვართ, პოზიტიურ განწყობაზე... აუზზე ჩასვლამ და წყალმა საოცრად იმოქმედა ევაზე იმიტომ, რომ ცურვა, ზოგადად, ძალიან უყვარს და გაუხარდა, ისევ რომ შეძლო. მეუბნება ხოლმე, როცა ვცურავ, მგონია, რომ ისევ ისეთი ვარ, როგორიც ადრე ვიყავიო. თუმცა ცეკვა მაინც ყველაზე მეტად ენატრება. ყოველდღე სხვადასხვა ვიდეოს უყურებს. ჰიპ-ჰოპზე დადიოდა და ძალიან, ძალიან უყვარდა. როცა იქნება, ამ ჰობს აუცილებლად დაუბრუნდება.

სამაგალითო დედა რომ ხართ, ამაში ყველა დარწმუნდა. მის გასამხნევებლად დღემდე ყველაფერს აკეთებთ. თავის მხრივ, როგორ გეხმარებათ ევა?

შ.ბ. ევა იმდენად ძლიერი გოგო აღმოჩნდა, რომ აქეთ მაწყნარებდა და მეუბნებოდა, არ ინერვიულო, ყველაფერს შევძლებო. რამეს რომ გააკეთებდა, მეკითხებოდა, ხომ ამაყობო. მოკლედ, სულ მიმტკიცებდა, რომ მართლა ყველაფერი შეეძლო. გაოცებული ვარ ამ ბავშვის სიძლიერითა და ნებისყოფით! არც ვიცი, როგორ შეუძლია ამდენის ატანა. ძალიან პატარაა ამ ყველაფრისთვის.

რამდენად შეცვალა ამ შემთხვევამ ევა, როგორც პიროვნება?

შ.ბ. ძალიან გაზრდილია იმ ევასთან შედარებით, რომელიც მანამდე იყო. მასში ხასიათის ისეთი დეტალები აღმოვაჩინე, ძლიერ ქალებს რომ შეშურდებათ. დიდ გოგოსავით მიდგას გვერდში! მისი ვარჯიშები ძალიან რთულია და დიდი ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ არ იტიროს, არ იყვიროს და ყველაფერი მოითმინოს. ამას ისე ღირსეულად უძლებს, გული მიჩუყდება. რაც მთავარია, იცის, რა არის საჭირო და თავს არ ზოგავს, რომ ყველაფერი გააკეთოს.

რას იტყოდით იმ გარემოზე, რომელშიც უკვე ამდენი ხანია, ცხოვრობთ?

შ.ბ. აქ ყველანაირად გვიწყობენ ხელს. ზოგადად კი, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, მართლა რამდენად აუცილებელია პანდუსის ყველგან არსებობა! ჩვენ მხოლოდ ცოტა ხანს მოგვიწევს ეტლით სიარული, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში არიან ისინი, ვინც მუდმივად ეტლით გადაადგილდებიან! რა თქმა უნდა, ამას მანამდეც ვფიქრობდი, მაგრამ ახლა მთელი სიმძაფრით გავიაზრე. ელემენტარული დეტალების გათვალისწინება და დიდი ხელშეწყობაა საჭირო იმისათვის, რომ ასეთ სიტუაციაში მყოფ მშობლებსაც და ბავშვებსაც მდგომარეობა ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ. მით უმეტეს, ბევრს დამხმარეც კი არ ჰყავს!

დახმარებას რაც შეეხება, ევას ამბავმა მთელი საქართველო გააერთიანა. იმ კრიტიკულ მომენტებში რას ნიშნავდა თქვენთვის ხალხის ასეთი თანადგომა?

შ.ბ. ყველა ქალაქი, სოფელი, კაცი, ქალიც, ბავშვიც – ყველა მეხმარებოდა და მამხნევებდა! სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს ევა ფეხზე დგას და საჭირო ოპერაციები დროულად ჩაუტარდა. მუდმივად მომდიოდა მესიჯები, მწერდნენ, რომ ევასთვის ლოცულობდნენ. იცით, თბილისის საავადმყოფოში უამრავი ადამიანი მყავდა გვერდით. აქ კი სრულიად მარტო აღმოვჩნდი და ის წერილები, რომლებსაც ვკითხულობდი, საოცარ ძალას მმატებდა! ხან მეღიმებოდა, ხან მეტირებოდა, ვერც აღვწერ, რას ვგრძნობდი!.. ხალხს ძალიან დიდი ძალა აქვს, მართლა ძალიან დიდი! ვერც წარმოვიდგენდი, ასე თუ დამიდგებოდნენ გვერდში და სრულიად უცნობები ჩემთვის ასეთ სიტყვებს თუ გაიმეტებდნენ...

მესიჯებს, ალბათ, ევაც კითხულობდა...

შ.ბ. ტელეფონი პირველად რომ მოითხოვა, **4000**-ზე მეტი მესიჯი დახვდა და გაოგნდა! ყველაფერს ემოციურად კითხულობდა და თითოეულ სიტყვას მაჩვენებდა. ერთი ამოსუნთქვით გადადიოდა მესიჯიდან მესიჯზე. შემდეგ კი კითხვისას უცებ ტელეფონი გვერდით გადადო და ატირდა! გული აუჩუყდა. მეუბნებოდა, მეშინია, ამ ადამიანებს იმედები არ გავუცრუოო...

გარდა ხალხისა, რა გამხნევებდათ ყველაზე მეტად?

შ.ბ. მეგობრების თანადგომა. არც ჩემს და არც ევას მეგობრებს ერთი წამით არ მივუტოვებივართ! იაშვილის კლინიკაში ერთი თვე ვიცხოვრეთ. ჩემი მეგობრები გაუჩერებლად დარბოდნენ და ყველაფერი მოჰქონდათ, რაც საჭირო იყო. გვივლიდნენ, გვეფერებოდნენ, ყურადღებას გვაქცევდნენ. დაბლა როცა არ უნდა ჩავსულიყავი, ყოველთვის ვიღაც მხვდებოდა. ვეუბნებოდი, წადით, დაიძინეთ-მეთქი! იქ თუ არ ისხდნენ, მანქანებში ეძინათ. ხომ შეიძლებოდა, დაღლილიყვნენ და სახლში წასულიყვნენ?! – არა! ისე წამოვედით იქიდან, ერთი წამიც არ დავრჩენილვართ მარტო. ახლა ▶

„მთავარია იმედი და სულიერი სიძლიერე, რომელიც ევას ნამდვილად არ აკლია. ის არის გოგონა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია, გაიღიმოს“

„გვითხრეს, რომ ყველაფერი ევაზეა დამოკიდებული. პროგრესი, საბედნიეროდ, დიდია. ბავშვი მწოლიარე ჩამოვიყვანეთ - ვერ ჯდებოდა და ფეხს ვერ ადგამდა. ახლა კი ორივე ფეხზე დგას და ერთ თვეში, იმედია, ნაბიჯებსაც გადადგამს“

„ევა მეუბნება ხოლმე, როცა ვცურავ, მგონია, რომ ისევ ისეთი ვარ, როგორიც ადრე ვიყავიო“

მობილურ რეჟიმში აგრძელებენ ამ ყველაფერს და ყოველდღე დეტალურ ინფორმაციას მთხოვენ.

როგორია თქვენი „კლინიკური“ ყოველდღიურობა მკურნალობის მიღმა?

შ.ბ. იქიდან გამომდინარე, რომ მეგობრები აქ არ ჰყავს, მაქსიმალურად ვცდილობ, მე მაინც გავამხიარულო. მაშინ კი, როცა მეც გადავიღლები და მოვიწყენ ხოლმე, თვითონ ევა მახალისებს და ხან რას მთავაზობს, ხან – რას. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთის ყველაზე დიდი წამლები ვართ!

რას ეტყოდით დედებს, რომლებსაც ძალა და გამხნევება სჭირდებათ?

შ.ბ. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ იმედი არ დაკარგოთ! ყოველთვის არსებობს სხვა გზა, სხვა გამოსავალი! მეუბნებოდნენ ხოლმე, ეს ტკივილები ნორმალურია და უნდა აიტანოთო, მაგრამ არ დავიჯერე და აღმოვაჩინე, რომ შესაძლებელი ყოფილა ტკივილის გარეშე ცხოვრება. მე რომ იმედი დამეკარგა და გავჩერებულიყავი, არც ვიცი, რა იქნებოდა. მთავარია იმედი და სულიერი სიძლიერე, რომელიც ევას ნამდვილად არ აკლია. ის არის გოგონა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია, გაიღიმოს.

რას გააკეთებთ, როცა ევა საბოლოოდ გამოჯანმრთელდება?

შ.ბ. შემდეგ ინტერვიუზე აუცილებლად ერთად გეწვევით და გეტყვით, რომ „ევამ გუშინ პირველად იცეკვა“...

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი
ფოტო: ლევან ჩხატარაშვილი
სტილი: ანი კოკაია

„აუზზე ჩასვლამ და წყალმა საოცრად იმოქმედა ევაზე იმიტომ, რომ ცურვა, ზოგადად, ძალიან უყვარს და გაუხარდა, ისევ რომ შეძლო“

If you want to chill out in a fantastic atmosphere, why don`t you visit the only swimming-pool supplied with water from the Black Sea and coming with an in-pool bar?

vertigocomplex vertigocomplex +995 595 85 94 95

შაკირა და ჟერარდ პიკე

საფეხბურთო ჩემპიონატები კოლუმბიელი მომღერლის მეხსიერებაში სასიამოვნო და განსაკუთრებულ მოგონებებთან ასოცირდება. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა შაკირა Waka Waka-ს მუსიკალურ ვიდეოს წერდა. საუბარია ფიფას 2010 წლის მსოფლიო თასის ოფიციალურ სიმღერაზე, რომლის კლიპს სამხრეთ აფრიკაში იღებდნენ. სწორედ მაშინ შეხვდა მომღერალი ესპანელ ფეხბურთელს, ჟერარდ პიკეს. მიუხედავად ათწლიანი ასაკობრივი სხვაობისა, 39 წლის შაკირასა და „ბარსელონას“ 29 წლის მცველს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ. ისინი დღეს უკვე სამი წლის მილანისა და ერთი წლის საშას მშობლები არიან. „პიკე სამაგალითო, ძალიან გულკეთილი და საყვარელია. ხშირად გულიც კი მიჩუყდება, ისე ზრუნავს ხოლმე ჩემზე და ბავშვებზე,“ – აღნიშნავს კოლუმბიელი ვარსკვლავი.



პილარ რუბიო და სერხიო რამოსი

ესპანელი ლამაზმანი პოპულარული ტელეწამყვანია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ რამოსის მეორე ნახევარი HELLO!-ს ბლოგერიც გახლავთ! პილარსა და სერხიოს ორი შვილი ჰყავთ – სერხიო უმცროსი, რომელიც 2014 წელს დაიბადა, და მარკო, რომელიც ქვეყანას გასული წლის ნოემბერში მოევლინა. პილარი პირველი ჩნდება ხოლმე საფეხბურთო მოედანზე იმისათვის, რომ საყვარელ თავდამსხმელს გატანილი გოლები ტკბილი კოცნითა და ჩახუტებით მიულოცოს.

ფოტოები: ელენე მარგალიტაშვილი, MULENGA HORNSBY & MIRIAM FOLEY, **ფოტო:** ბარი ტაბაბაჯე/GETTY IMAGES

ნინი ზარქუა და ალექსანდრე ამისულაშვილი

ალექსანდრე ამისულაშვილი სულ რამდენიმე თვეა, „დინამოსა“ და საყვარელ ოჯახს ერთდროულად დაუბრუნდა და მათთან ყოფნის ბედნიერებით ტკბება.

ნინი ზარქუამ, რომელსაც ქართველი საზოგადოება სამოდელო საქმიანობით იცნობს, სულ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა დიზაინერობა და განსხვავებული ხედვით, ფერებით, დახვეწილი გემოვნებითა და ხარისხიანი პროდუქციით უკვე შემოიკრიბა ერთგული მიმდევრები. განსაკუთრებულად პოპულარულია მისი ბრენდის ფეხსაცმელი. როგორც ამბობს, დიზაინის შექმნაში პატარა ქალიშვილიც ეხმარება ხოლმე, რომელიც, ძირითადად, ფერების შერჩევაში მონაწილეობს. ახალბედა დიზაინერი, მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მაღაზიის გახსნასაც აპირებს.

ნინი ფეხბურთელის N1 გულშემატკივარია. თავის მხრივ, დიზაინერ მეუღლეს „ამისულაც“ გულშემატკივრობს და ცდილობს, ყველაფერში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი. რაც მთავარია, ორივე მათგანის ცხოვრებაში ახალი კარიერული ეტაპებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და წარმატებებით სავსე პერიოდი იწყება, რომელიც ვარსკვლავური წყვილის 11-წლიან სიყვარულს ბევრ ჯადოსნურ მომენტს შემატებს.

ანუკი არეშიძე და კახი კალაძე

კახი კალაძე და ანუკი არეშიძე თითქმის 10 წელია, ერთად არიან. მათ სამი შვილი ჰყავთ და ყოველთვის ცდილობენ, ერთმანეთის გარეშე წამიც არ გაატარონ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კახი ფეხბურთელი იყო და ოჯახთან მცირე ხნით განშორება უწევდა, ანუკი საყვარელი ადამიანის სანახავად მარტო კი არა, ბავშვებთან ერთად მიემგზავრებოდა ხოლმე.

ტრადიციულ ოჯახში საინტერესო და ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრების სტილი აქვთ. სულ რაღაც სამი წლის წინ ანუკიმ გადაწყვიტა, ტანისამოსი და ფეხსაცმელი საკუთარი დიზაინით შეექმნა. ასე ჩამოყალიბდა ANOUKI, რომელსაც ქართველი და არა მხოლოდ ქართველი მოდის მიმდევრები კარგად იცნობენ. ბრენდი არაერთხელ ეწვია ყველაზე პრესტიჟულ მოდის კვირეულებს და ყველაზე პრეტენზიული შემფასებლების კომპლიმენტებიც დაიმსახურა. მათ შორის იყო ანა ვინტურიც, რომელმაც განსაკუთრებულად მოიწონა ქართველი დიზაინერის ფეხსაცმელები და ხელით ნაქარგი ქურთუკები.

სულ ცოტა ხანია, რაც ანუკი პარიზიდან დაბრუნდა. იქ მას ახალი ხაზის – Resort 2017-ის წინასწარი ჩვენება ჰქონდა. უკვე პოპულარულია კოლექცია Pre-Fall 2016-დანაც.

ალექსანდრე ამისულაშვილმა და ნინი ზარქუამ ერთმანეთი საერთო მეგობრებთან გაიცნეს. როგორც ამბობენ, ერთად ყოფნა მალევე გადაწყვიტეს და ამ გადაწყვეტილებას უკვე მეთერთმეტე წელია, მტკიცედ იცავენ. ცოლ-ქმარმა დისტანციური ურთიერთობის სირთულეებიც მარტივად გადალახა მაშინ, როდესაც „ამისულას“ (როგორც მას ნინი მოიხსენიებს) საქართველოს ფარგლებს გარეთ თამაში უწევდა.

ხოსე „პეპე“ ბასტონზე გათხოვებას აღნიშნავს

ევა ლონგორია

მექსიკურ ტბისპირა სახლში გამართულ საქორწინო ცერემონიალს პატარძლის საუკეთესო მეგობარი დიზაინერი ვიქტორია ბექჰემიც ესწრება

„საქორწინო კაბის შეკერვა ვიქტორიას ვთხოვე, რადგან ზუსტად ვიცოდი, ამაში მთელ სიყვარულს ჩააქსოვდა“ - ევა ლონგორია

საპატარძლო კაბაში ვიქტორიას საბოლოო შესწორებები შეაქვს. „სტილი უბრალო და ელეგანტურია,“ - აღნიშნავს ევა, - „ეს ვიქტორიას ხელწერაა, რასაც კაბის უკანა მხარის მთელ ჩაყოლებაზე დატანილი ლამაზი ელვაც ადასტურებს. აბრეშუმის ნაჭერი, რომელიც მან გამოიყენა, ტანზე მომდგარი, მაგრამ ძალიან კომფორტულია. და ეს ყველაზე ლამაზი თეთრი ფერია, რაც მინახავს!“

მექსიკაში, ტბის პირას გამართული საქორწინო ცერემონიალი, ვიქტორია ბექჰემის დიზაინით შეკერილი სამი კაბა და ბარაკ ობამას პირადი მილოცვა – სწორედ ეს კომპონენტები ამშვენებდა ულამაზეს ქორწილს, რომელმაც ევა ლონგორიასა და მისი სამწლიანი სიყვარულის – ხოსე პეპე ანტონიო ბასტონის ურთიერთობა დააგვირგვინა. „მთელი ცხოვრება ველოდებოდი ამ დღეს,“ – გაამხილა ევამ **HELLO!**-ს ექსკლუზიურ ინტერვიუში, – „მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის წამიდან ერთ ოჯახად ვგრნობდით თავს, მაინც ძალიან მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ დღეს უკვე ოფიციალური ცოლ-ქმარი ვართ. საოცარი დღეა – ზუსტად ისეთი, როგორიც წარმომედგინა!“.

ევასა და პეპეს მანამდე სხვა ოჯახები ჰყავდათ: ევა გათხოვილი იყო მსახიობ ტაილერ ქრისტოფერზე და მოგვიანებით – კალათბურთელ ტონი პარკერზე; პეპეს კი ნატალია ესპერონთან სამი შვილი აკავშირებს: ხოსე, ტალი და მარიანა. ჩვენი მთავარი გმირები ერთმანეთს სამი წლის წინ მეხიკოში საერთო მეგობრის წყალობით შეხვდნენ.

ხელის მოწერის ცერემონიალი პარასკევს შერონ და ემილიო ასკარაგების სახლში გაიმართა. საუბარია **Televisa**-ს მფლობელ ოჯახზე. პეპე სწორედ ამ მექსიკური მულტიმედიური კომპანიის პრეზიდენტია. სტუმრებს ვახშამზე ცნობილი მექსიკელი შეფმზარეული ენრიკე ოლვერა გაუმასპინძლდა. მომდევნო დღეს კი ოთხმოცმა სტუმარმა ევასა და პეპეს სასახლის ბაღში გადაინაცვლა. ავანდაროს ტბის პირას მოწყობილ დღესასწაულს შეუერთდნენ მომღერალი რიკი მარტინი, მსახიობი მელანი გრიფიტი, ტელეწამყვანი მარიო ლოპესი და დევიდ ბექჰემი ვიქტორიასთან ერთად, რომელმაც სამივე საქორწინო კაბის დიზაინზე პირადად იზრუნა. „ვიქტორიას ჩემი კაბის შეკერვა იმიტომ ვთხოვე, რომ ზუსტად ვიცოდი, მასში მთელ სიყვარულს ჩააქსოვდა. ვიქტორიაზე უკეთ ამას ვერავინ მოახერხებდა,“ – აღნიშნა ევამ **HELLO!**-სთან საუბრისას. პირველი კაბა ეკლესიაში ჩასაცმელად შეიკერა; მეორე კი, შედარებით „მსუბუქი“ ვარიანტი, ვახშმისთვის. რაც შეეხება მესამე კაბას, ის ევას ხელის მოწერის ცერემონიალზე ეცვა. ვიქტორია პატარძალს ფეხსაცმლისა და **Messika**-ს ბრჭყვიალა სამკაულების მორგებაშიც დაეხმარა. ფეხსაცმლის დიზაინი ბრაიან ეტვუდმა სპეციალურად ევასთვის შექმნა. რაც შეეხება ▶

„მე და პეპეს გვინდოდა, დაქორწინება ჩვენს სახლში, ინტიმურ და შინაურულ გარემოში აღგვენიშნა“

ევას საქორწინო მორთულობას თვალისმომჭრელი ყელსაბამი აგვირგვინებს, რომელიც პარიზული სამკაულების სახლის - Messika-ს ბრილიანტებითაა შექმნილი

„რამდენჯერაც კაბას მოვკრავდი თვალს, მეტი-რებოდა; ვიტირე მაშინაც, როცა გასაფორმებელი ყვავილები მოიტანეს. არ მჯეროდა, რომ ეს სინამდვილეში ხდებოდა...“

ტალღოვან ვარცხნილობას, მასზე ვარსკვლავებისათვის კარგად ცნობილმა სტილისტმა – კენ პეივსიმ იზრუნა. მაკიაჟი კი ელან ბონჯორნოს ნახელავი იყო.

ჰოლივუდური სტილი

პოპულარულმა ფლორისტმა პრესტონ ბეილიმ **(Preston Bailey Designs)** შთაგონების წყაროდ ჰოლივუდური ფილმები გამოიყენა და ევას ვარსკვლავური „ბილიკი“ მოუწყო. გზას, რომელიც საკურთხეველთან მიდიოდა, თეთრი გლიცინიებით მორთული თაღები ამშვენებდა. პატარძალს გვერდით დედა – ელა ევა მირელესი მიჰყვებოდა იმიტომ, რომ მსახიობის მამამ თვითმფრინავით გადაფრენა ვერ შეძლო.

დედოფლის შესვლამდე, ბილიკზე პეპეს შვილები – ტალი და მარიანა გამოჩნდნენ. მათ თვალისმომჭრელი პატარძალი მოჰყვა, რომელსაც ხელში თეთრი ზამბახი ეჭირა. არანაკლებ თვალისმომჭრელი იყო მისი საქმროც, რომელსაც **Brunello Cucinelli**-ს სპეციალური დიზაინით შეკერილი შარვალ-კოსტიუმი ეცვა.

საკურთხეველს თეთრი ჯვარი და პეპლის ფრთების ფორმის, გლიცინიებითა და სადღესასწაულო ნათურებით გაფორმებული სკულპტურები ამშვენებდა. მზის ჩასვლას მამა პედროს სალოცავი სიტყვები და **Carte Blanche**-ს მუსიკა აფორმებდა. მაშინ, როდესაც ნეფე-პატარძალი **Berger**-ის თეთრი ოქროსგან დამზადებულ ბეჭდებს ცვლიდა და ფიცს ინგლისურად და ესპანურად დებდა, ევასთვის მომზადებულმა სიურპრიზმაც არ დააყოვნა – „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავმა ვანესა უილიამსმა პატარძლის საყვარელი სიმღერა **Save the Best for the Last** შეასრულა. „პეპეს ვუთხარი, ვგიჟდები ამ სიმღერაზე-მეთქი, შემოვბრუნდი და რას ვხედავ – ვანესა უილიამსი მღერის! მართლა შოკისმომგვრელი მომენტი იყო!“ – გაიხსენა ევამ. ▶



ოთხი შვილის დედა ვიქტორია ბექჰემი, ევას სამივე კაბის დიზაინერი, პატარძალს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მორგებაში ეხმარება. ეს ფეხსაცმელი ევას ბრაიან ეტვუდმა — ვარსკვლავებისათვის კარგად ცნობილმა დიზაინერმა აჩუქა. რაც შეეხება პატარძლის ვარცხნილობას, მას **Ken Paves**-ის 14-კარატიანი ოქროს თმისსაბნევი ამშვენებს. მაკიაჟი (მარცხნივ) ელან ბონჯორნოს ნახელავია.

„ის ჩემი ქორწინების მთავარი მოწმეც იყო. მოკლედ, ძალიან ვიქტორია ბექჰემური უიკენდი გამოგვივიდა“

„ქორწილი სავსე იყო სილამაზით, სიყვარულითა და ამაღლებული განწყობით. ძალიან მახარებს ევას ბედნიერება!“ - მელანი გრიფიტი

ევა მელანი გრიფიტთან (ზევით), დასთან - ლაკი ლონგორიასა და საუკეთესო მეგობრებთან - მარია ბრავოსთან, ალინა პერალტასთან, ბონი ბოემერსა და ბრიტანი ვანმატრესთან ერთად (ქვევით)

და აი, ისიც – ბაღარძალი! ევას უნდოდა, საკურთხეველთან გრძელფეხოსანი ყვავილით მისულიყო. სწორედ ამიტომ შეარჩია თეთრი ბამბახი, რომელმაც ნამდვილად დაამშვენა ვიქტორია ბექჰემის დიზაინით შეკერილი გრძელი თეთრი კაბა. „მას სტილის საოცარი შეგრძნება აქვს," – შეაქო ბაღარძალი ფლორისტმა ჰოუსტონ ბეილიმ

განსაკუთრებული გზავნილი

სიურპრიზები ჰილარი კლინტონისა და სერენა უილიამსის ვიდეომიმართვებით გაგრძელდა. წყვილს თავად ობამამაც კი გაუგზავნა პირადი წერილი და ორივე მათგანს იღბალი უსურვა. „პრეზიდენტმა პეპეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჰკითხა, როდის აპირებ ამ გოგოს ცოლად მოყვანასო! ასე რომ, დღევანდელი დღე, ასე თუ ისე, მისი დამსახურებაცაა," – გაიხსენა სიცილით ევამ, რომელიც ბარაკ ობამას **2012** წლის წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული.

თეთრი ყვავილებისგან შექმნილი დეკორაციების ავტორი პრესტონი გახლდათ, რომელმაც **HELLO!**-სთან აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც დიზაინერისთვის, ამ ქორწილის გაფორმება ნამდვილი დღესასწაული იყო. აღსანიშნავი დეტალია ისიც, რომ კოქტეილის საათს მუსიკალურად **Pro Down**-ი აფორმებდა. ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მუსიკოსებისგან შედგება. ევამ ეს ბენდი უფროსი დის, ელისაბედის მხარდასაჭერად შეარჩია. გოგონას შეზღუდული მენტალური შესაძლებლობები აქვს. სწორედ მისი შთაგონებითაა შექმნილი „ევა ლონგორიას ფონდი", რომელიც მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებს ეხმარება.

ვახშამი ღია ცის ქვეშ, ჯადოსნურად გაფორმებულ გარემოში გაიმართა. ჭაღები და კედლები თეთრი გლიცინიებითა და ბრჭყვიალა თვლებით იყო მორთული. მაგიდებს თეთრი ვარდების, იორდასალამების, ტიტების, ორქიდეებისა და სუმბულების თაიგულები ამშვენებდა. არანაკლებ თვალისმომჭრელი იყო სადღესასწაულო ვახშამიც, რომელზეც მექსიკაში სახელგანთქმულმა შეფმზარეულმა, ედუარდო კოლმანმა იზრუნა. მენიუში საუცხოო დელიკატესები და საფირმო კერძები შევიდა. დესერტად კი, სტუმრებმა კარამელითა და თხილეულით შეკაზმული ფენოვანი ბლინის ტორტი და პაერონვანი ჩიზკეიკი დააგემოვნეს.

გაზიარებული ბედნიერება

ბედნიერებისა და სიყვარულის დღე იყო ვიქტორია და დევიდ ბექჰემებისთვისაც. მათ ინსტაგრამზე ფოტო-სილუეტი გამოაქვეყნეს, რომელსაც წინ რომანტიკული გზავნილი უძღოდა: „დღეს სიყვარულით ავივსეთ. ძალიან გამიმართლა და ძალიან მიყვარხარ, დევიდ! ევა, შენ კი ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე მშვენიერი ქალი ხარ მათ შორის, ვისაც ვიცნობ. ჩემთვის დიდი პატივია, მერქვას შენი მეგობარი. იცოდე, რომ ჩვენ პეპე ძალიან გვიყვარს!"

დევიდი და ვიქტორია ქორწილში ტელეწამყვან მარიო ლოპესთან ერთად მხიარულობდნენ. მოგვიანებით, მარიომ **HELLO!**-სთან საუბარში აღნიშნა: „ბექჰემები მართლა ძალიან მაგრები არიან! ვიქტორიაზე ვგიჟდები! ის ისეთი განონასწორებული და თავაზიანია!.. ყველაზე სამაგალითო და სასიამოვნო მაინც ის არის, რომ მათი სიყვარული დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ღრმავდება და მტკიცდება!"

ნაცვლად მამისა, რომელსაც თვითმფრინავით მგზავრობა აღარ შეუძლია, ევა საკურთხეველთან დედამ — ელა ევა მირელესმა მიაცილა. „მამა ტეხასიდან მამხნევებდა," — აღნიშნა ევამ (ზემოთ). ვანესა უილიამსმა, პატარძლის მეგობარმა სერიალიდან „სასოწარკვეთილი დიასახლისები" ევას სიურპრიზი მოუწყო და სრულიად მოულოდნელად საყვარელი სიმღერა Save the Best for Last შეუსრულა (მარცხნივ)

„პეპეს ვუთხარი, ვგიჟდები ამ სიმღერაზე-მეთქი, შემოვბრუნდი და რას ვხედავ - ვანესა უილიამსი მღერის! მართლა შოკისმომგვრელი მომენტი იყო!"

პირველი ცეკვა

დადგა გართობის დროც. პირველი ცეკვისთვის ევამ სიმღერა **Quiero Casarme Contigo (I Want to Marry You)** შეარჩია, კოლუმბიელი კარლოს ვივესის შესრულებით. პეპემ მეუღლეს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო და კარლოსი, ვიდეომიმართვით, პირდაპირ ეთერში ჩართო. მან პატარძალს ბოდიში მოუხადა მოუცლელობისთვის და საყვარელი სიმღერა ცოცხლად შეუსრულა. **41** წლის ევამ აღფრთოვანება ვერ დამალა: „ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო! თქვენ არც კი იცით, როგორ მიყვარს კარლოს ვივესი და ეს სიმღერა, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებულად ძვირფასია!" პატარძალს არც სხვა სიმღერებზე ცეკვა გასჭირვებია. ის სცენაზეც ავიდა და, რიკი მარტინსა და ამორი ნოლასკოსთან ერთად, **Livin' La Vida Loca** შეასრულა.

პეპეს კიდევ ერთი სიურპრიზი იყო თვალწარმტაცი ფეიერვერკი, რომელიც **Matute**-მ **80**-იანი წლების მუსიკით გააფორმა. ისინი დილის **4** საათამდე მღერადნენ. მელანი გრიფიტმა მოკლედ შეაჯამა ის, რასაც ყველა გრძნობდა: „ევასა და პეპეს ქორწილში საოცარი სილამაზე, სიყვარული და ამაღლებული განწყობა იფრქვეოდა. მართლა სრულყოფილი წყვილია! ძალიან მახარებს ის, რომ ევას გვერდით ასეთი სამაგალითო მამაკაცია. ისინი ერთმანეთს ავსებენ!"

ევამ და პეპემ ერთმანეთი სამი წლის წინ მეხიკოში გაიცნეს. ინგლისურ და ესპანურ ენებზე საქორწინო ფიცის დადებისას წყვილი ბედნიერებას ვერ მალავდა.



ევას გადაწყვეტილებით, მაგიდების დიზაინიც თეთრი, სადა და ელეგანტურია. ნიუ-იორკელმა ფლორისტმა პრესტონმა თითოეული მაგიდის ზემოთ თეთრი გლიციინიები და ბრჭყვიალა თვლები ჩამოკიდა; მაგიდები კი თეთრი ვარდების, იორდასალამების, ტიტების, ორქიდეებისა და სუმბულების დიდი თაიგულებით გააფორმა.

ევა, რა მნიშვნელობა ჰქონდა თქვენთვის ქორწილის მექსიკაში გადახდას?

ე.ლ. მანამდე ორივენი დაოჯახებულები ვიყავით და ვიცით, რას ნიშნავს ეს მოვლენა. ამიტომ შევარჩიეთ ადგილი, სადაც უბრალოდ ქორწილი კი არა, სიყვარულის დღესასწაული აღინიშნებოდა.

რატომ შეარჩიეთ ვიქტორია ბექჰემი საქორწინო კაბების დიზაინერად?

ე.ლ. საქორწინო კაბის შეკერვა ვიქტორიას ვთხოვე იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდი, ამაში მთელ სიყვარულს ჩააქსოვდა. სწორედ ი სეთ მშვენიერ, უბრალო, სადა და ელეგანტურ კაბაზე ვოცნებობდი, როგორსაც ეს ქალბატონი ქმნის ხოლმე. ვიქტორია ბექჰემის ხელწერა სიმარტივე და ელეგანტურობაა, რასაც კაბის უკანა მხარის მთელ ჩაყოლებაზე დატა- ▶

ფიცი დადებულია. წყვილს Berger-ის თეთრი ოქროს ბეჭდები ამშვენებს. „ეს დღე ჩვენი სიყვარულის დღესასწაულია!“ — ამბობს ევა

ფორმალობები მთავრდება. ბედნიერებისგან გასხივოსნებული პატარძალი ბილიკს მიუყვება. ნეფეს კი საოცრად უხდება იტალიელი Brunello Cucinelli-ს დიზაინით შეკერილი შარვალ-კოსტიუმი.

„ჩვენს ბედნიერებაში აქ მყოფმა თითოეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ეს ყველაზე ჯადოსნური შეგრძნებაა“

ნილი ლამაზი ელვაც ადასტურებს. ეს ყველაზე ლამაზი თეთრი ფერია, რაც მინახავს – არც ძალიან ნათელი და არც მთლად ძველებური. იდეალურია! ვიქტორია ჩემი ბედნიერების საუკეთესო გამზიარებელია. ის არა მხოლოდ ჩემი კაბის დიზაინერი, არამედ ჩემი საუკეთესო მეგობარია და მის ყოფნას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვიქტორიამ ფორმალურ პროცედურებშიც ხომ არ მიიღო მონაწილეობა?

ე.ლ. ის ჩემი დაოჯახების მთავარი მოწმე იყო და ეს ქორწინების მოწმობაში ხელმოწერითაც დაადასტურა.

პეპეს შვილები?

ე.ლ. პეპეს გოგონებმა საკურთხეველთან მიმაცილეს. მათვე ჰქონდათ ჩვენი საქორწინო ბეჭდები. მოკლედ, ისინი ჩვენი ქორწილის განუყოფელი ნაწილები იყვნენ. მე მარტო პეპესთან კი არა, მის ოჯახთან ვქმნი ოჯახს და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ბედნიერი იყოს. მიხარია, რომ ბავშვებს აღტაცებულებს და გახარებულებს ვხედავ.

ალბათ, ცრემლიც ბევრი იყო...

ე.ლ. რამდენჯერაც კაბას მოვკრავდი თვალს, მეტირებოდა; ვიტირე მაშინაც, როცა გასაფორმებელი ყვავილები მოიტანეს. არ მჯეროდა, რომ ეს სინამდვილეში ხდებოდა. ყველაფერზე ვტიროდი. პეპეს სიტყვით გამოსვლამ მაინც ყველაზე მეტად ამიჩუყა გული იმიტომ, რომ ის ჩვენზე, როგორც ერთ დიდ ოჯახზე საუბრობდა და ოჯახში მე და თავის შვილებს მოგვიაზრებდა. სწორედ ესაა ის, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

როგორი იყო სტუმრების რეაქცია, როდესაც ცოლ-ქმრად გამოგაცხადეს?

ე.ლ. მახსოვს შეძახილები, აპლოდისმენტები და ცრემლიანი თვალები. ყველა, ვინც აქ არის, ჩვენი სიყვარულის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი ბედნიერება თითოეული მათგანის დამსახურებაა და ეს ყველაზე მეტად მახარებს.

თქვენს ვარსკვლავურ სტუმრებზეც მოგვიყევით...

ე.ლ. რიკი მარტინი ჩემი ძალიან ახლო და უსაყვარლესი მეგობარია. მე და პეპეს დიდი ხანია გვიცნობს. ხაიმე კამილი, ამორი ნოლასკო და მარიო ლოპესი კი ოჯახის წევრებივით არიან. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ და მიხარია, რომ ეს დღე ჩემთან ერთად გაატარეს. ჩემი ფავორიტი მექსიკელი, ინტერიერის დიზაინერი რიკარდო ბაროსოც, რა თქმა უნდა, აქ არის. პეპე სწორედ მან გამაცნო. ამიტომ, ის ჩვენი „პადრინიოა“ (ნათლია).

როგორ გაიცანით თქვენ და პეპემ ერთმანეთი?

ე.ლ. რიკარდოსგან, მეხიკოს ერთ-ერთ რესტორანში. ექვს თვეში, ერთმანეთს ლოს-ანჯელესში გამართულ გამოფენაზე გადავეყარეთ. მას შემდეგ განუყრელი ურთიერთობა გვაქვს.

ევა მელანისთან, დევიდთან და კლაუდიასთან ერთად დაოჯახებას ზეიმობს. მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან გატარებული საღამოს შემდეგ, წყვილი თაფლობის თვის გასატარებლად მიემგზავრება. ორივემ იცის, რომ ამიერიდან ლოს-ანჯელესსა და მექსიკას შორის ხშირი მიმოსვლა მოუწევთ. „ორივემ ვიცით, რომ კარიერის აწყობა ადვილი არ არის. ამიტომ, ერთმანეთს მუდმივად ვამხნევებთ და გვერდში ვუდგავართ. რა თქმა უნდა, ქორწინების შემდეგაც ასე გაგრძელდება!“ — ამბობს ევა.

რა როლი ითამაშა თქვენს ურთიერთობაში საერთო მექსიკურმა წარმომავლობამ?

ე.ლ. ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია, მაგრამ მაინც დადებითი ფაქტია. ვგიჟდებით მექსიკურ სამზარეულოზე. ზოგადად, ყველაფერი გვიყვარს, რაც მექსიკას უკავშირდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენმა წარმომავლობამ ურთიერთობაში რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

სიმღერა, რომელზეც პირველი ცეკვა შეასრულეთ, რით იყო ასე განსაკუთრებული?

ე.ლ. ეს სიმღერა მაშინ აჟღერდა, როცა პეპემ ხელი მთხოვა.

როგორც ცოლ-ქმარი, როგორ გრძნობთ თავს?

ე.ლ. ბედნიერად. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის წამიდან ერთ ოჯახად ვგრნობდით თავს, მაინც ძალიან მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ დღეს უკვე ოფიციალური ცოლ-ქმარი ვართ. რაც მთავარია, ერთმანეთს ძალიან დიდ პატივს ვცემთ, ყველაფერში გვერდით ვუდგავართ და ორივენი ერთნაირად ვიაზრებთ, როგორ გაგვიმართლა, ერთმანეთი რომ ვიპოვეთ.

ძალიან საქმიანი და დაკავებული ადამიანები ხართ. როგორ გეგმავთ თანაცხოვრებას ისე, რომ ერთმანეთს საკმარისი დრო დაუთმოთ?

ე.ლ. ორივენი შრომისმოყვარეები ვართ და ვიცით, რას ნიშნავს აწყობილი კარიერა. ამიტომ, ერთმანეთს მაქსიმალურად დავუდგებით გვერდში. მექსიკასა და ლოს-ანჯელესში გატარებულ დროს როგორმე დავაბალანსებთ. რაც მთავარია, უსაზღვროდ ბედნიერები ვართ იმით, რომ დღეს უკვე მისტერ და მისის ბასტონები გვქვია!

ინტერვიუ & **რეპორტაჟი**:
SUSAN SPRINGATE & MARCELO BAEZ
ფოტო: DONNA NEWMAN

ევა რიკი მარტინთან ერთად მღერის (ზევით). „ძალიან გაგვიმართლა, ერთმანეთი რომ ვიპოვეთ და დღეს უკვე მისტერ და მისის ბასტონები გვქვია. ეს საღამო ისტორიას დარჩება.“

თვის დღიური

HELLO!-ს პრეზენტაცია

SOLO LOUNGE-ში, აბაშიძეზე, ჟურნალ HELLO!-ს პრეზენტაცია გაიმართა. საღამოს, რომელსაც წითელი ხალიჩა, გლამურული გარემო და IKANO-ს ღვინო ამშვენებდა, მედიის წარმომადგენლები, სამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვადასხვა კომპანიის ტოპმენეჯერები ესტუმრნენ. მედიამიღებას სპეციალურად ესპანეთიდან მოწვეული ცნობილი მხატვარი აუგუსტო ფერერ დალმაუც ესწრებოდა.

ჟურნალის სარედაქციო ჯგუფმა ბრენდის ისტორიაზე, კონცეფციაზე, ამიერკავკასიის ბაზრის ათვისების გეგმებსა და HELLO!-ს საქართველოში შემოსვლის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო იქნება ამიერკავკასიის პირველი ქვეყანა, სადაც HELLO! ჟურნალით, ტაბლეტ ვერსიით, ვებპორტალით, სმარტფონის აპლიკაციითა და სოციალური მედიის სხვადასხვა არხით გამოჩნდება და მედიასივრცეში მაღალ ღირებულებებს დაამკვიდრებს. პატივისცემა, სანდოობა, უტყუარი ფაქტები და დახვეწილი გემოვნება იქნება ის, რაც HELLO!-ს სხვა ჟურნალებისგან გამოარჩევს.

თვის დღიური

სპა კონცეპტის პრეზენტაცია

7 ივლისს „ნატალი ჯგუფმა“ უნიკალური „სპა კონცეპტის“ პრეზენტაცია მოაწყო, სადაც წარადგინა სპეციალური მოწყობილობები მათთვის, ვისაც დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი სპა-პროცედურების ჩატარება სასტუმროს, ესთეტიკური ცენტრისა თუ სახლის პირობებში სურთ. პროექტი მსოფლიოს ყველაზე კომპეტენტური პროფესიონალების რეკომენდაციებით განხორციელდა. ღონისძიებას სპეციალურად მოწვეული იტალიელი სტუმრებიც ესწრებოდნენ.



SPA
CEPT
GROUP

SPA

NATALI CONS



თვის დღიური

ოქროს ტალღა

რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ „ოქროს ტალღა 2015“-ის გამარჯვებულები გამოავლინა. დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც კლუბ „ოტიუმში“ გაიმართა, 17 ნომინაციის პრიზიორები დასახელდნენ. კომპეტენტურმა ჟიურიმ წლის საუკეთესო შემსრულებლებსა და ნამუშევრებს ირაკლი წულაძის მიერ დამზადებული „ოქროს ტალღის“ ქანდაკებები გადასცა. აღნიშნული კონკურსის მიზანი ქართული სიმღერის პოპულარიზაცია და მუსიკალურ სფეროში მოღვაწე ადამიანების დაფასებაა.

თვის დღიური

ჟურნალ HELLO!-ს საზაფხულო წვეულება

21 ივლისს, ბათუმში, Lounge Vertigo-ში, ჟურნალ Hello!-ს საზაფხულო წვეულება გაიმართა. საღამოს Hello!-ს წითელი დროშები, გლამურული გარემო და NUXE-ს კოსმეტიკა ამშვენებდა.

დაზოგეთ თანხა და მიიღეთ საჩუქრები!

გამოიწერეთ HELLO!

ერთი წლით
და მიიღეთ
20% ფასდაკლება

ექვსი თვით
და მიიღეთ
10% ფასდაკლება

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველ თვე ესტუმრება!

პირველი გამომწერი საჩუქრად **HELLO!**-ს პირველ ნომერსა და საზღვაო ჩანთას მიიღებს!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: +995 032 298 03 98
ან **მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს. შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

კიარა ფერანის არჩევანი ვინტაჟის სტილის სამოსი და მინიმალისტური აქსესუარებია

SHOPPING

GET THE LOOK!

კიარა ფერანიმ – მოდის ბლოგერმა და დიზაინერმა **ბოჰემური შიკის საკმაოდ მინიმალისტური გარდასახვა** შემოგვთავაზა. იტალიელი IT Girl ლოს-ანჯელესში, Revolve-ს წვეულებაზე, ყვითელი პომპონებიანი შორტითა და თეთრი მაქმანებიანი მაისურით გამოცხადდა. კიარამ ამ ყველაფერს პატარა შავი ჩანთა, სანდლები პლატფორმაზე და ოქროს სამაჯურები შეუხამა. მაკიაჟიც საკმაოდ მინიმალისტური იყო – ვარდისფერი მბზინვარე ტუჩისაცხი ტუჩის ფერში და მკვეთრი ფერის ფრჩხილის ლაქი.

1. მაისური **SEA** 706₾ **net-a-porter.com**; **2.** სამაჯური **MANGO** 24₾ **shop.mango.com**; **3.** ტუჩსაცხი **LIPSTICK QUEEN** 92₾ **net-a-porter.com;** **4.** ფრჩხილის ლაქი **BURBERRY Poppy Red No.301** 39₾ **uk.burberry.com**; **5.** კლატჩი **DIEN VON FURSTENBERG** 537₾ **net-a-porter.com**; **6.** შორტი **H&M** 30₾ **hm.com**; **7.** სანდლები **SAM EDELMAN** 346₾ **net-a-porter.com**

დოუდ: Getty Images

FASHION

სეზონის ყველაზე ცხელი ფერი

კენკრა, ატამი, პაპაია, ციტრუსები და მენთოლი — 2016 წლის ზაფხულში ეგზოტიკური ხილის ფერთა გამაა მოდური. **HELLO!**-ს რედაქტორების მიერ **შერჩეული ფერები კი ლაუნჯ VERTIGO-ს ბარმენებისთვის ინსპირაციად იქცა** – მათ სწორედ ამ მოდური ტონების შთაგონებით შექმნეს ახალი კოქტეილები სპეციალურად ჩვენი მკითხველისათვის.

Esteban Cortazar S/S 2016

Papaya

Prabal Gurung-ის ქალური სილუეტის სარაფნები, Oscar de la Renta-ს კაბები განიერი მხრებით და Esteban Cortazar-ის ფუტურისტული ჭრები – ეს ყველაფერი წვნიანი პაპაიას ფერში. ციტრუსის მხიარული ტონებიდან ნარინჯისფერამდე – ეს სეზონის ყველაზე მოდური ეგზოტიკური ფერებია. გირჩევთ თქვენს გარდერობში უხვად იქონიოთ ამ ფერების აქსესუარები, კლატჩები და საზაფხულო ესპადრელები.

---

1. ყელსაბამი **Erikson Beamon** 1989₾ **net-a-porter.com**; **2.** კლატჩი **Nancy Gonzales** 4504₾ **neimanmarcus.com**; **3.** თვალის ჩრდილი **Mac Cosmetics** 38₾; **4.** მზის ქუდი **Toscana** 129₾ **ibizamode.nl**; **5.** მობილურის ჩასადები **Dolce & Gabbana** 656₾ **net-a-porter.com**; **6.** კაბა **Dolce & Gabbana** 1600₾ **mytheresa.com**; **7.** ესპადრელი **Dolce & Gabbana** 605₾ **mytheresa.com**; **8.** კაბა **Sonia Rykiel** 1054₾ **farfetch.com**; **9.** საცურაო კოსტიუმი **Kiini** 710₾ **brownsfashion.com**

10. ფრჩხილების ლაქი **Eve Snow** 36₾ **shopstyle.co.uk**; **11.** ტუჩსაცხი **Tom Ford Beauty** 69₾ **shop.nordstrom.com**; **12.** საზღვაო გადასაცმელი **B Flont** 344₾ **ibizamode.nl**; **13.** ყელსაბამი **Topshop** 42₾; **14.** სათვალე **Fendi** 862₾ **sunglasshut.com**; **15.** კაბა **Christopher Kane** 2193₾ **farfetch.com**; **16.** სარაფანი **Dsquared 2** 2603₾ **farfetch.com**; **17.** ესპადრელი **Tabitha Simmons** 227₾ **farfetch.com**

Stella Mccartney S/S 2016

10

11

12

Louis Vuitton S/S 2016

13

14

Raspberry Punch

კენკრის ფერები და მათი ვარიაციები ამ სეზონის ყველაზე შთამბეჭდავი და მხიარული ტონალობებია. ჟოლოსფერის გრადაციები განსაკუთრებით უხდება რუჯს და საოცრად ეფექტურია ფოტოებზე. ამ ტონის საკმაოდ მრავალფეროვანი სამოსი ვიხილეთ 2016 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებში – **Louis Vuitton-მა ტყავის ჟოლოსფერი ლაბადები შემოგვთავაზა, MOSCHINO-მ კი – ფორჩებიანი კაბები იმავე ტონში.**

15

16

17



1. ჟილეტი **Fleur de Pirate** 227₾ **ibizamode.nl**; **2.** საყურე **Topshop** 20₾; **3.** ყელსაბამი **Lanvin** 1819₾ **shopstyle.com**; **4.** ტოპი **O Clock** 450₾ **ibizamode.nl**; **5.** საზღვაო გადასაცმელი **Fleur de Pirate** 385₾ **ibizamode.nl**; **6.** სანდლები **PH&T** 51₾ **ibizamode.nl**; **7.** კაბა **Tory Burch** 598₾ **farfetch.com**; **8.** კლატჩი **Kate Spade** 297₾ **nordstrom.com**

Oscar de la Renta S/S 2017

Oscar de la Renta S/S 2017

Mint

ეს ტონი ზაფხულის უკონკურენტო ფავორიტია. **მენთოლისფერი მწვანე ფერის ყველაზე გამორჩეული და დელიკატური ნაირსახეობაა**. ამ სეზონზე ერთი მენთოლისფერი საზაფხულო სარაფნის შეძენა აუცილებელია. ინსპირაციისათვის გირჩევთ გადახედოთ **CHLOE-ს, Sonia Rykiel**-ისა და **Stella McCartney**-ს ჩვენებებს.

9. მაისური **Dolce & Gabbana** 921₾ **mytheresa.com**; **10.** ფრჩხილების ლაქი **Lauren B Beauty** 27₾ **petitvour.com**; **11.** შარვალი **Bluemarine** 920₾ **farfetch.com**; **12.** ჟილეტი **Tory Burch** 686₾ **luisaviaroma.com**; **13.** პომადა **Burberry Beauty** 60₾ **uk.burberry.com**; **14.** კაბა **Michael Michael Kors** 204₾ **farfetch.com**; **15.** ყელსაბამი **Topshop** 45₾; **16.** ფეხსაცმელი **Fendi** 1014₾ **net-a-porter.com**; **17.** კლატჩი **Kotur** 1166₾ **lyst.com**

Roland Mouret S/S 2016

Chloe S/S 2016

Coral

ატმისფერისა და ვარდისფერის შეხამება ყველაზე ნაზ და დახვეწილ გამას ქმნის. მსუბუქ ტონალობებს ძალიან უხდება ასეთივე ფაქტურები და სილუეტი. **CHLOE**-ს ჰაეროვანი სარაფნები, **Emporio Armani**-ს ატმისფერი **Casual CHIC** კაბები დასტურია იმისა, რომ ეს ტონი სეზონის ერთ-ერთი ფავორიტია.

ZARA
ჩანთა
199₾

MANGO
საყურე
15.99₾

შეუხამეთ ფერად სარაფნებს საზაფხულო სამკაულები და ჩანთები.

ტექსტი: თამთა ლაბაძური. **ფოტო:** GETTY IMAGES

FASHION

Boho meets GODDESS

გრძელი სარაფნები ჰაეროვანი ფაქტურებით, მსუბუქი ტონებითა და ნაზი სილუეტებით

ასეთია **ბოჰემური სიჭრელისა და ბერძნული** სტილის შერწყმა. **HELLO!** წარმოგიდგენთ საუკეთესო **MAXI სარაფნებს**, რომლებითაც როგორც სანაპიროზე, ასევე წვეულებაზე მოიწონებთ თავს.

TOPSHOP
სარაფანი
143₾

SALONI
სარაფანი
997₾
net-a-porter.com

ETRO
სარაფანი
1.259₾
net-a-porter.com

Emilio Pucci S/S 2016

Christina Pitanguy

მთავარი აქცენტი ნაზ სილუეტებსა და მაქსიმალურ სიჭრელეზე გააკეთეთ.

Chloe S/S 2016

TOPSHOP
სარაფანი
233₾

Alexa Chung

Leonard S/S 2016

MISSONI
სარაფანი
2.785₾
net-a-porter.com

PAUL&JOE
სარაფანი
923₾
net-a-porter.com

ZARA
საყურე
45₾

PRADA
სათვალე 653₾
net-a-porter.com

FASHION

STREET STYLE TOP 3

ამ წლის ზაფხული მსუბუქი ფაქტურებისა და ღია ტონალობების სეზონია, თუმცა შეგიძლიათ თქვენს გარდერობს მკვეთრი ფერებიც შემატოთ

BERSHKA
წითელი მაისური
39₾

STUART WEITZMAN
სანდლები 936₾
net-a-porter.com

არ დაგავიწყდეთ ფეხსაცმელი – ზამშის სანდლები და პასტელის ფერის ფეხსაცმელი სეზონის ჰიტია

CHLOE
ჩანთა 2839₾
net-a-porter.com

გაიხალისეთ ზაფხული მკვეთრი ფერის მაისურებითა და სარაფნებით, Statement Piece ჩანთებითა და მასიური აქსესუარებით

MANGO
მაისური
48₾

MANGO
ქვედაბოლო
89₾

TORY BURCH
კაბა 844₾
net-a-porter.com

TOPSHOP
ჯინსი
178₾

REPETTO
ფეხსაცმელი 610₾
stylebop.com

ნაქარგებიანი ჯინსი ზაფხულის კიდევ ერთი ტრენდია – შარვლები, ჟილეტები, ქურთუკები და კომბინეზონები ფერადი ორნამენტებით ნებისმიერ საზაფხულო წვეულებაზე დაგამშვენებთ

კარა დელევინი

MAC
ფრჩხილების ლაქი
29.50₾
maccosmetics.com

MAC
ტუჩისსაცხი 43₾
maccosmetics.com

FASHION

COOL STYLE

პარა დელევინი ერთნაირი ფაქტურისა და პრინტის შორტითა და მაისურით მადრიდში ერთ-ერთ წვეულებაზე გამოცხადდა

23 წლის ბრიტანელმა სუპერმოდელმა LOOK-ს კლასიკური ქუსლიანი სანდლები, გაშლილი თმა და მინიმალისტური მაკიაჟი შეუხამა. **ტეილორ სვიფტმა** მსგავსი ტიპის კუბოკრული შორტი შავ მაისურსა და ფირუზისფერ ფეხსაცმელთან ერთად მოირგო, რაც საკმაოდ ეფექტური გადაწყვეტილება აღმოჩნდა. 26 წლის ამერიკელმა მომღერალმა სადა ჩაცმულობა მკვეთრი ფერებით გაახალისა.

TOPSHOP
მაისური
49₾

EMMA COOK
შორტი 345₾
brandoutlet.com

FENDI
სათვალე 1045₾
ssense.com

GIANVITO ROSSI
ფეხსაცმელი 875₾
neimanmarcus.com

PAULA CADEMARTORI
ჩანთა 3.301 ₾
net-a-porter.com

ტეილორ სვიფტი ნიუ-იორკის ქუჩებში კუბოკრული შორტითა და მკვეთრი ფერის აქსესუარებით გამოჩნდა, თუმცა უარი თქვა ყოველგვარ სამკაულზე

ტექსტი: ანანია ლაბაძერი. **ფოტო:** GETTY IMAGES

Ricardo Sanz

ესპანელი პორტრეტისტი

Etere Agency

+995 577 12 22 08

TOPSHOP
მაისური
69₾

TOPSHOP
მაისური
99₾

ALICE & OLIVIA
მაისური
453₾
net-a-porter.com

ZARA
მაისური
79₾

MANGO
საყურე
15.99₾

BERSHKA
მაისური
39₾

MANGO
ჩანთა
59₾

Olivia Palermo

FASHION

შიშველი მხრები

ამ სეზონზე განიერი სახელოები ასიმეტრიულმა ჭრილებმა და შიშველმა მხრებმა ჩაანაცვლა

ჰაეროვანი სარაფნები, მაისურები და პერანგები მხრებზე ჩამოყრილი ბრეტელებითა და სახელოებით, გასხვავებული სილუეტები და საზაფხულო თბილი ფერები – საზღვაო სეზონისათვის თქვენს გარდერობს სხვა არაფერი სჭირდება.

ტექსტი: თამარა ლაბაური. **ფოტო:** GETTY IMAGES

ISABEL MARANT
სამაჯური
282₾

MISSONI
კაფტანი 131₾
net-a-porter.com

CUTLER AND GROSS
სათვალე
879₾

ROSANTICA
საყურე
401₾

SENSI STUDIO
საზღვაო ჩანთა
466₾

ELINA LINARDAKI
სანდლები
700₾

FASHION

MUST HAVE სანდლები

ყველაზე მოსახერხებელი საზაფხულო ფეხსაცმელი ისევ საოცრად მოდურია

სანდლები თასმებით, პომპონებით, ნაქარგებითა თუ ფოჩებით – ყველაზე ცხელი სეზონის მთავარი აქსესუარი წელს გამორჩეულად ჭრელი და გადატვირთულია. კლასიკურ „გლადიატორებთან“ ერთად **მოდაშია ეთნოდეტალებით შექმნილი სანდლები** და, ცხადია, შესაბამისი აქსესუარებიც: მასიური ბოშური სამკაულები და შიფონის ფერადი პარეოები.

ELINA LINARDAKI
სანდლები
700₾

SAM EDELMAN
სანდლები
310₾

SAM EDELMAN
სანდლები
310₾

ROSANTICA
თმის აქსესუარი
323₾

MABU BY MARIA BK
სანდლები
375₾

DOLCE & GABBANA
სანდლები
2.176₾

ROSANTICA
ფეხის სამაჯური
637₾

FASHION

ტრენდული საცურაო კოსტიუმები

მაქსიმალური სიჭრელე, მთლიანი პრინტიანი საცურაო კოსტიუმები, ზედატანები **Off the Shoulder** სტილში და მკვეთრი ფერების შეხამება

წელს აქცენტი სილუეტებზე მეტად ტონალობებზე კეთდება. კვლავაც ტრენდულია მთლიანი **დახურული საცურაო კოსტიუმები, ბიკინი** ორიგინალური ზედატანით და ფერადი პარეოები. სამკაულებიც არ დაგავიწყდეთ — **მასიური საყურეები, ჭრელი სამაჯურები და ჩალის ჩანთები**.

Belusso s/s 2016

Tory Praver s/s 2016

Luli fama s/s 2016

MISSONI
საზღვაო გადასაცმელი 722₾
farfetch.com
CAMILLA
საცურაო კოსტიუმი 630 ₾
gel net-a-porter.com
TOPSHOP
საცურაო კოსტიუმი
98₾
RAY BAN
სათვალე
408₾
MOSCHINO
საცურაო კოსტიუმი 479 GEL
farfetch.com
HEIDI KLEIN
საზღვაო გადასაცმელი 676₾
farfetch.com
CAMILLA
საზღვაო გადასაცმელი
1678₾
ZARA
საზღვაო ჩანთა
99₾
Lila nikole s/s 2016
EUGENIA KIM
საზღვაო შლაპა 962₾
net-a-porter.com
ZARA
საყურე
45₾
MANGO
საზღვაო შლაპა
17.99₾
TOPSHOP
საცურაო
კოსტიუმი 92 ₾
Lila nikole s/s 2016
MISSONI
საცურაო კოსტიუმი 682₾
net-a-porter.com
ZARA
საზღვაო გადასაცმელი
99₾
CALVIN KLEIN
საცურაო კოსტიუმი 668₾
net-a-porter.com

MIU MIU
750₾
რონიკო

ZANZAN
885₾
modaoperandi.com

FENDI
1105₾
shop.nordstrom.com

ALEXANDER MCQUEEN
751₾
კენარი

FASHION

Frame it!

სათვალის გარეშე მზე და ზაფხული სრულიად წარმოუდგენელია

PERVERSE
92₾
perversesunglasses.com

წლევანდელ სეზონზე ამ მოდური აქსესუარის **ფორმასა და სტილზე მეტად აქცენტი ჩარჩოებზე კეთდება**. **DOLCE & GABBANA** მდიდრული სტილის ორნამენტებიან ჩარჩოებს გვთავაზობს, **MIU MIU, MARNI** და **CAROLINA HERRERA** კი — საოცრად დახვეწილსა და ჰაეროვანს, თანაც პასტელის ფერებში, **MOSCHINO** და **LOEWE** აქცენტს მინიმალიზმსა და შავ-თეთრის კომბინაციაზე აკეთებენ. შეარჩიეთ ახალი სათვალე **მაქსიმალურად ფერადი, განსხვავებული და ორიგინალური ფორმის ჩარჩოებით**!

POMELLATO
1099₾
კენარი

DOLCE & GABBANA
640₾
რონიკო

MANGO
65₾
მანგო

LC Lauren Conrad s/s 2016 NYFW

ტექსტი: თამთა ფარაფონი. **ფოტო:** GETTY IMAGES

NARCISO RODRIGUEZ
187₾
ICI PARIS

ESTEE LAUDER
164₾
LUTECIA

GIORGIO ARMANI
215₾
VOULEZ-VOUS

LANVIN
198₾
VOULEZ-VOUS

HUGO BOSS
84₾
VOULEZ-VOUS

PERFUME

სეზონის გრილი სურნელი

ვარდის, ციტრუსებისა და ეგზოტიკური ხილის არომატის კომბინაცია სეზონის ყველაზე სასიამოვნო სურნელია!

გაიხალისეთ ზაფხული **მრავალფეროვანი, ნაზი და დახვეწილი** არომატებით. ამ სეზონზე **გრილი და ნაკლებად მოტკბო** სუნამოებია მოდაში. სეზონის ერთ-ერთი უპირობო ჰიტი **Giorgio Armani**-ს შედევრი **SI** გახდა, ყვავილების, ვანილისა და ხის ქერქის სურნელით. არანაკლებ მოდურია **Tom Ford**-ის **Neroli Portofino** – ეგზოტიკური იტალიური სურნელი, რომელიც ყველასაგან გამოგარჩევთ.

TOM FORD
526₾
LUTECIA

SHISEIDO
170₾
ICI PARIS

CHANEL CHANCE
182₾
ICI PARIS

ტექსტი: თამარა ლაბაძე

ბიკინი **DOLCE & GABBANA**
შემოსაცმელი **ETRO**
სათვალე **ITALIAN INDEPENDENT**
სამაჯურები **BIMBA, LOLA, ANTON HEUNIS**
საყურე **OLGA PRIETO**

FASHION

იტალიური გაფხული

ყვავილებიანი პრინტი DOLCE & GABBANA-ს სავიზიტო ბარათია, წელს განსაკუთრებით მოდური სწორედ ამ ტიპის საცურაო კოსტიუმებია

ვინტაჟური სტილის
მაღალწელიანი საცურაო
კოსტიუმი **DOLCE & GABBANA**
სათვალე **DOLCE & GABBANA**
ყელსაბამი **SCHIELD**

ზაფხულში მხოლოდ ერთი წესის დამახსოვრება გმართებთ – ხშირად ატარეთ თეთრი სამოსი და თქვენი ნამზეური უფრო თვალშისაცემი იქნება

საცურაო კოსტიუმი **MOEVA**
შლაპა **MIMOKI**
სათვალე **DOLCE & GABBANA**
სამაჯური **MARNI**

საცურაო კოსტიუმი **TOMMY HILFIGER**
ნაქსოვი მოსაცმელი **MARIE SIXTINE**
სანდლები **AQUAZZURA**
საყურე **OSCAR DE LA RENTA**
სათვალე **ITALIAN INDEPENDENT**

მზის ჩასვლის შემდეგ მოდური საცურაო კოსტიუმები და მოსაცმელები მხიარული საზაფხულო სარაფნებით ჩაანაცვლეთ

ქვედაბოლო და ბლუზა **ETRO**
ქამარი **ANTIK BATIK BELT**
საყურე **OSCAR DE LA RENTA**
ჩანთა **ETRO**
სანდლები **VALENTINO**

ფერადი შემოსაცმელი
DOLCE & GABBANA
ქამარი **OSCAR DE LA RENTA**
სანდლები **AQUAZURRA**
საყურე **ALEXIS BITTAR**

ფოტო: MARIO SIERRA
სტილი: NATY ABASCAL
თმა და ვიზაჟი: VICKY MARCOS FOR GHD & DIOR COSMETICS
სტილისტის ასისტენტები: TERESA SAEZ DE MONTAGUT & LORENA MARTINEZ
ფოტოფრაფის ასისტენტი: JAMAL JENIAH
ლოკაცია: HOTEL LAS ARENAS, ესპანეთი, ვალენსია

FENDI

PARIS COUTURE WEEK

Fendi, Versace, Valentino, Giambattista Valli, Elie Saab
და ჰოლივუდური დეტალები

Valentino-ს ჩვენებაზე, რომელიც მე-15 საუკუნის შთაგონებით შეიქმნა, წითელი ფერი დომინირებდა

პარიზმა მოდის კვირეულთან ერთად ელიტარულ საზოგადოებასაც უმასპინძლა. ჰოლივუდის ვარსკვლავებმა დიზაინერებზე არანაკლები ინტერესი დაიმსახურეს

Versace-ს კოლექცია ირინა შეიკმა წარადგინა, რომელსაც მასზე შეყვარებული ბრედლი კუპერი, ჯენიფერ გარნერი და ნაომი კემპბელი გულშემატკივრობდნენ

ვეიტ ბლანშეტი, სელინ დიონი, ჯესიკა ჩესტეინი და უილ სმიტი ჩვენებებს პირველი რიგიდან ადევნებდნენ თვალს, ჩვენებების შემდგომ გამართულ წვეულებებზე კი განსაკუთრებულ ყურადღებას პარის ჰილტონი იქცევდა.

კვირეული **Aterlier Versace**-ს შოუთი გაიხსნა, რომელსაც ნაომი კემპბელი, ჯენიფერ გარნერი და ბრედლი კუპერი დაესწრნენ. ნაომიმ ფოტოგრაფებთან პოზირების შემდეგ საკუთარი ადგილი მოწინავე რიგებში დაიკავა და აღიარა, რომ ზედმეტად მოკლე ქვედაბოლოს გამო თავს უხერხულად გრძნობდა. „ვალენტინობის“ ვარსკვლავები კი ერთმანეთს მხიარულად ესაუბრებოდნენ და ჩვენებით აშკარად კმაყოფილები ჩანდნენ. ჯენიფერს დიზაინერის ასიმეტრიული კაბა ამშვენებდა და ამბობდა, რომ ძალიან გახარებული იყო ვერსაჩესაგან მიღებული მოწვევით, ბრედლის კი კოლექციაზე მეტად ირინა შეიკი აინტერესებდა, რომელიც პოდიუმზე დონატელას ატლასის კაბებითა და დიდი ზომის ქერთუკებით იწონებდა თავს. მასთან ერთად გამოდიოდნენ კარენ ელსონი და ბელა ჰადიდიც. ამ უკანასკნელისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე დიზაინერის კოლექციას წარადგენდა, ზედმეტად გადატვირთული კვირა იყო. ბელათი განსაკუთრებულად მოიხიბლნენ მაშინ, როდესაც **Alexandre Vauthier**-ის

ბელათი განსაკუთრებულად მოიხიბლნენ მაშინ, როდესაც Alexandre Vauthier-ის შოუზე ბრილიანტებით, მძივებითა და ვენეციური შუშებით გაფორმებული საღამოს კაბით გამოჩნდა

ALEXANDRE VAUTHIER

GIAMBATTISTA VALLI

ჩვენებაზე ბრილიანტებით, მძივებითა და ვენეციური შუშებით გაფორმებული საღამოს კაბით გამოჩნდა.

ვარსკვლავები და დიზაინერები ჩვენებების მიღმაც კარგად გაერთნენ. შოუს დასრულების შემდეგ დონატელა ვერსაჩე, ნაომისა და სხვა მეგობრებთან ერთად, **amfAR**-ის ვახშამს დაესწრო. იმის ნაცვლად, რომ ჩვენებებზე იტალიური ბრენდის კოლექცია წარედგინა, კეიტ მოსმა ყურსასმენები მოირგო და **DJ**-ის როლი შეითავსა. კვირეულის სტუმრებს არც **Hôtel de la Païva**-ში გამართულ **MIU MIU**-ს წვეულება გამოუტოვებიათ.

ახალი კოლექციის ახალი ასპექტები

Christian Dior-მა ცნობილი **New Look**-ის კოლექცია მონოქრომული პიჯაკებითა და შიფონის ქვედაბოლოებით განაახლა, რამაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. მისი ჩვენება ერთხმად აღიარეს საუკეთესოდ. შოუს საპატიო სტუმრებს შორის შავ პიჯაკსა და ტყავის შარვალში გამოწყობილი სელინ დიონიც იყო, რომელიც ფრანგ მარიონ კოტიარს უმშვენებდა გვერდს.

ფანტასტიკური ჟანრის რეალობასთან შერწყმას მოგაგონებდათ **Schiaparelli**-ს ჩვენება, რომელსაც „სამეფო კარის თამაშების“ ვარსკვლავი — ნატალი დორმერი, „დაუნტონის საabატოს“ მსახიობი ლორა კარმაიკლი და ლედი კიტი სპენსერი ესწრებოდნენ. ისტორიულმა მოდის სახლმა შთაგონების წყაროდ **1938** წლის ცირკის ფერები გამოიყენა და პრინტებითა და ნაქარგებით, მართლაც, რომ მრავალფეროვანი კოლექცია შექმნა.

პარიზის მოდის კვირეულის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მაინც კეიტ ბლანშეტი გახდა, რომელიც **Armani Prive**-ის ჩვენებას მონოქრომული ყვავილებიანი კომბინეზონით დაესწრო. არანაკლებ მომხიბლველნი იყვნენ ზოი კრავიცი და მილა იოვოვიჩიც, რომლებიც **Valentino**-ს მოდის სახლის ჯადოსნურ ჩვენებას ეწვივნენ. კოლექციაზე წარმოდგენილ-

კეიტ მოსმა, იმის ნაცვლად, რომ ჩვენებებზე გამოსულიყო, ყურსასმენები მოირგო და საღამოზე DJ-ის როლი შეითავსა (ზემოთ). კარლ ლაგერფელდმა განსაკუთრებული აპლოდისმენტები მას შემდეგ დაიმსახურა, რაც ჩვენებაზე ედი კემპბელის „Chanel-ის პატარძალი“ გამოჩნდა. შოუს წინა რიგიდან აკვირდებოდნენ უილ სმიტი და მისი ქალიშვილი – უილოუ (ქვემოთ)

მა ნაოჭიანმა საყელოებმა, ხავერდის პიჯაკებმა და ალისფერმა საღამოს კაბებმა სტუმრები მე-**15** საუკუნის რომში ამოგზაურა.

ყველაზე დიდი ვარსკვლავთცვენა მაინც **Chanel**-ის ჩვენებაზე იყო. აქ წინა რიგები მილამ, ჯესიკა ჩესტეინმა, ვანესა პარადიმ, უილ სმიტმა და მისმა ქალიშვილმა დაიკავეს. შეგახსენებთ, რომ **15** წლის უილოუ სმიტი, რომელიც **Chanel**-ის სათვალეების პრომოკამპანიაში აქტიურადაა ჩართული, ამ დროისთვის ბრენდის ყველაზე ახალგაზრდა სახეა.

კვირეულის „უსახელო“ გმირები

Chanel-ის ჩვენებები ყოველთვის გამოირჩეოდა ექსტრავაგანტულობით. მას შემდეგ, რაც გასული წლების შოუები ზღაპრული კარუსელების, კაზინოს, აეროპორტისა და რეაქტიული საჰაერო ხომალდის თემატიკაში გადაწყვიტა, დიზაინერმა სტუმრების წინაშე **Rue Chambon**-ის სამკერვალო გააცოცხლა და კოლექცია მოდის ინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანებს მიუძღვნა.

აქ ყველაფერი იყო – დაწყებული სამკერვალო მაგიდებითა და მანეკენებით, დამთავრებული სარკეებითა და ნაჭრების საჭრელი მანქანებით. კარლ ლაგერფელდმა ახალი კოლექციის მარგალიტებით – ბუკლეს კლასიკური კოსტიუმებით, ტვიდის კაბა-შარვლებითა და ედი კემპბელის მიერ შექმნილი საქორწინო სამოსით – მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც **Chanel**-ისთვის თავდაუზოგავად შრომობენ.

ჩვენება ემოციურმა ფინალმა დააგვირგვინა: დიზაინერი პოდიუმზე ყველაზე „ძვირფას სამკაულებთან“ – მკერავებთან ერთად გამოჩნდა და ეს „უსახელო გმირები“ პარიზის მოდის კვირეულის დაუვიწყარი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

უკონკურენტოდ ელეგანტური კეიტ ბლანშეტი Armani Prive-ის ჩვენებას მონოქრომული ყვავილებიანი კომბინეზონით დაესწრო

BEAUTY

სამუდამოდ დაემშვიდობეთ ცელულიტს

მკვირივი სხეული და გლუვი კანი არცთუ ისე მარტივად მისაღწევი, თუმცა მაინც რეალური ოცნებაა

ცელულიტს ჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად ვარსკვლავებიც ებრძვიან. პრობლემა, რომელიც ქალების 80%-ზე მეტს აწუხებს, სწორად შერჩეული კომპლექსური მეთოდებით წარმოუდგენლად მარტივად აღმოიფხვრება. **მოხდენილი კონტურები და სექსუალური ფორმები** ზედმეტი ცხიმის გარეშე – ეს ყველაფერი თანამედროვე არაქირურგიული ლიპოსაქციის, სასწაულთმოქმედი ანტიცელულიტური კრემებისა და სწორი კვების რაციონით მიიღწევა. მთავარია ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვეთ და HELLO!-ს რეკომენდაციების ყველა პუნქტი გაითვალისწინოთ!

ოქროს წესები

არ დაგავიწყდეთ, რომ პროცედურები და ანტიცელულიტური კრემები შედეგს ვერ გამოიღებს, თუ თავადაც არ შეუწყობთ ხელს. თუ მკაცრად გაქვთ გადაწყვეტილი ცელულიტთან ბრძოლა თქვენი გამარჯვებით დასრულდეს, რაციონიდან ამოიღეთ შემწვარი საკვები, ***მიიღეთ დღეში მინიმუმ 2 ლიტრი წყალი*** *და* ***რაც შეიძლება მეტი იარეთ ფეხით***

მოხდენილი ფორმები

უმჯობესია, **ანტიცელულიტური კრემები** პრობლემური ადგილების შესაბამისად შეარჩიოთ. **HELLO!** იმ პროდუქციას წარმოგიდგენთ, რომლებიც დუნდულების იდეალური ფორმების მიღებაში დაგეხმარებათ.

CLARIS BODY SHAPING CREAM
ტანის კრემი ინტენსიური ფორმულით, რომელიც ანტიცელულიტურთან ერთად სხეულის მოდელირების ეფექტითაც გამოირჩევა. იდეალურია ფეხების კონტურების გამოსაკვეთად და ამ მიდამოში ზედმეტი ცხიმების მოსაშორებლად.
152₾
პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი LUTECIA

COLLISTAR INTENSIVE ANTI-CELULITE SERUM
სხეულის შრატი, რომელიც ყველაზე ღრმად ჩამჯდარ ჯიუტ ცელულიტებს აქრობს. განსაკუთრებით ეფექტურია გვერდებში და დუნდულების მიდამოში არსებულ ზედმეტ ცხიმებთან გასამკლავებლად.
95₾
პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი VOULES-VOUS

SHISEIDO ADVANCED BODY CREATOR
სასწაულთმოქმედი ტანის გელი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სხეულის გარშემოწერილობას, ამკვრივებს გვერდებისა და დუნდულების მიდამოს.
145₾
პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი ICI-PARIS

ლიპოსაქციის ინოვაციური მეთოდი

რა განსხვავებაა სხვა ანტიცელულიტურ აპარატებსა და **ALMA ACCENT**-ს შორის? პასუხი მარტივია – მაქსიმალური ეფექტი, კომფორტი და სასურველი ფორმები ყველაზე მოკლე დროში, თანაც გარანტირებული ხანგრძლივობით. ლიპოსაქცია, რომელიც თქვენი სხეულიდან ცელულიტს სრულიად გააქრობს და თან კონტურებსაც გამოკვეთს, თანამედროვე პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთ წამყვან პროცედურად მიიჩნევა.

სამკურნალო პროგრამა ინდივიდუალურად დგება. სხეულის სასურველი ფორმების მისაღწევად მინიმუმ **4** პროცედურაა საჭირო, ორკვირიანი პაუზებით. საკმაოდ მძლავრი აპარატი ეფექტურად შლის ცხიმებს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან შარდის სახით მის გამოდევნას. ეს პროცესი პროცედურებს შორის ინტერვალებში ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე საათიანი სრულიად უმტკივნეულო და კომფორტული მასაჟის ეფექტიანობა თქვენს სხეულს **2** კვირის განმავლობაში გაჰყვება.

კურსის ჩატარების პარალელურად რეკომენდებულია, რაციონიდან ამოიღოთ შემწვარი საკვები და მიიღოთ დღეში საშუალოდ **2** ლიტრი წყალი, რათა **ALMA ACCENT**-ის ეფექტი თქვენს სხეულზე კიდევ უფრო შესამჩნევი გახადოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ უნიკალური აპარატით შესრულებული ერთი პროცედურა ხელით შესრულებულ ათ მასაჟს უდრის.

ACCENT AESTHETIC CENTER
ასათიანის ქ. 4

ჯადოსნური ანტიცელულიტური კრემები, *რომლებიც ეფექტურად ებრძვიან ცელულიტსა და მოდუნებულ კანს, იდეალური ფორმების მიღწევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია*

1. NUXE BODY FIRMING CREAM – ორმაგი მოქმედების ტანის კრემი, რომელიც ცელულიტთან ერთად დაბერების ნიშნებსაც ებრძის. განსაკუთრებით ეფექტურია მუცლისა და გვერდებისათვის. მთავარ ფუნქციასთან ერთად კრემი. საგრძნობლად არბილებს და ატენიანებს კანს 114₾ **საფთიაქო ქსელი GPC**

2. DOCTOR RENAUD GRAPEFRUIT SLIMMING CONCENTRATE CREAM-GEL – გრეიფრუტის კრემ-გელი საგრძნობლად ამცირებს ცელულიტს, გამოკვეთს კონტურებს და ხელს უწყობს ცხიმების აორთქლებას, მნიშვნელოვნად ამცირებს სხეულის გარშემოწერილობას. წაისვით დღეში ორჯერ, დილით და საღამოს. 163₾ **საფთიაქო ქსელი GPC**

3. LIERAC BODY SLIM TRIPLE ACTION SMOOTHING & FIRMING BODY-CONTOURING CONCENTRATE – ძლიერმოქმედი შრატი, რომელიც 14 დღეში გასაოცარ შედეგს იძლევა – ებრძვის ღრმად ჩამჯდარ ცხიმებს, ამკვირებს კანს და გამოკვეთს კონტურებს. 88₾ **საფთიაქო ქსელი GPC**

4. NUXE BODY LIFT CELLULITE SERUM – სხეულის ანტიცელულიტური შრატი მომენტალური ეფექტით, რომელიც ღრმად ჩამჯდარ ცხიმებს ებრძვის. მცენარეული კონსისტენციის წყალობით შედეგს პირველივე წასმის შემდეგ იღებთ. 65₾ **საფთიაქო ქსელი GPC**

5. LIERAC BODY SLIM DESTOCK NUIT – NIGHT-TIME INTENSIVE BODY-CONTOURING CONCENTRATE – ღამის კრემი უნიკალური ფორმულით, რომელიც ზრუნავს თქვენს სხეულზე მაშინ, როდესაც გძინავთ. ღრმად აღწევს შიდა შრეებში და ყველაზე ჯიუტ ცელულიტებსაც კი აქრობს. 88₾ **საფთიაქო ქსელი GPC**

ცელულიტთან ბრძოლა რომ მხიარულ პროცესად აქციოთ, გირჩევთ სწორად შეარჩიოთ ფიზიკური აქტივობა. ამ ყველაფერში **KANGOO JUMPS**-ის ტრენერები, ყველაზე სახალისო ვარჯიშით, გართობასთან ერთად ფორმაში ჩადგომაშიც დაგეხმარებათ.

ტექსტი: ნინო ლუბანელი. **ფოტო:** GETTY IMAGES

TIMEXPERT LIFT(IN)

A NEW ERA IN LIFTING SKINCARE

GERMAINE DE CAPUCCINI

ოფიციალური წარმომადგენელი „ნატალი ჯგუფი“

www.nataligroup.ge

Rachel McCord

BEAUTY

Shore Winners

თუ გსურთ, რომ საზღვაო სეზონს მომზადებული შეხვდეთ და სანაპიროზე ყველაზე გამორჩეულად გამოყურებოდეთ

HELLO!-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტების რჩევებს მიჰყევით. ჩვენ სწორედ იმ პროდუქციასა და საიდუმლოებებს გაგანდობთ, რომლებსაც **A-List ვარსკვლავები იყენებენ**. სხეულისა და სახის კანზე ზრუნვასთან ერთად საზღვაო სეზონისათვის თქვენი თმაც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს. ამ ყველაფერს ემატება **რუჯის შესანარჩუნებელი პროდუქცია**, რომელიც ასევე აუცილებლად უნდა იყოს კოსმეტიკის ჩანთაში. მოკლედ, **HELLO!** მოგაწვდით ინფორმაციას **მზისგან დამცავი საუკეთესო საშუალებების, ზღვის წყლისაგან გაუხეშებული თმისა** და **გარუჯული სახის კანის მოვლის პროდუქტების, წყალგამძლე კოსმეტიკისა და კრემების** შესახებ. ასევე გაგაცნობთ ვარსკვლავებს, რომლებმაც ეს პროდუქტები საკუთარ თავზე გამოსცადეს.

Kelly Killoren Bensimon

MAGIC MISTS

მზის სხივებისაგან გადაღლილ სახის კანს ინტენსიური დატენიანება სჭირდება – არ დაგავიწყდეთ, რომ ულტრაიისფერი სხივები კანის დაბერებისა და გამოშრობის ხელშემწყობია – გაანებივრეთ თქვენი თავი ინტენსიური მკვებავი ზეთებითა და დამატენიანებელი საშუალებებით.

1. CAUDALIE GRAPE WATER – ყურძნის ექსტრაქტზე დამზადებული თერმული წყალი თქვენს კანს საოცრად აგრილებს და აჯანსაღებს. გამოიყენეთ დღეში რამდენჯერაც გსურთ. დაშვებულია მისი შეშხურება მაკიაჟის ან დამცავი კრემის წასმის შემდგომაც. 51₾ **სააფთიაქო ქსელი PSP; 2. VICHY EAU THERMAL** – თერმული წყლის სპრეი, რომელიც მომენტალურად აგრილებს თქვენი სახის კანს და უნიკალური მინერალების წყალობით მას გამოშრობისაგან იცავს. გამოიყენეთ დღეში რამდენჯერაც გსურთ, დაშვებულია მაკიაჟის ზემოდან შეშხურებაც. 21₾ **სააფთიაქო ქსელი GPC; 3. LIERAC SENSORIELLE REGENERATING OIL** – ტანის სურნელოვანი ზეთი, რომელიც დაატენიანებს თქვენ კანს და რუჯის შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ. 93₾ **სააფთიაქო ქსელი GPC**

STAR SPFS & TANNERS

ზოგიერთი ვარსკვლავი, უიტნი პორტის მსგავსად, ინტენსიური, შოკოლადისფერი რუჯის მოყვარულია. ზოგი კი ზაფხულშიც ინარჩუნებს ბუნებრივ თეთრ ფერს, მაგალითად, კეიტ ბლანშეტი გარუჯული არავის უნახავს. მზის აბაზანების სიყვარული არაა აუცილებელი იმისთვის, რომ თავი მავნე ულტრაიისფერი სხივებისაგან დაიცვათ.არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა დროს ატარებთ მზეზე, ნებისმიერ შემთხვევაში გჭირდებათ თქვენი კანის ტიპისა და ტონის შესაბამისი SPF დამცავი კრემები.

Cate Blanchett

Alessandra Ambrosio

4. SHISEIDO PERFECT UV PROTECTOR SPF 50+ – ინტენსიური მზისგან დამცავი მათთვის, ვისაც ყველაზე მგრძნობიარე კანი აქვს. წყალგამძლე კონსისტენციის გამო კრემის სისტემატურად წასმა საჭირო არაა. რაც ყველაზე მთავარია, რეკომენდებულია პატარებისთვისაც. 98₾ **პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი ICI PARIS; 5. LIERAC SUNIFIC IRIDESCENT MILK SPRAY SPF 30** – ნამზეურის გამაძლიერებელი და მზისგან დამცავი რძე, რომელიც სიღრმისეულად ატენიანებს კანს. რეკომენდებულია, რომ გარუჯვის პირველ დღეებში მოიხმაროთ და მხოლოდ შემდეგ გადახვიდეთ ფერის გამაძლიერებელ საშუალებებზე. 25₾ **საფთიაქო ქსელი GPC; 6. LIERAC SUNIFIC IRIDESCENT MELT-IN MILK SPF 6** – სპრეი ერთგვაროვანი რუჯისთვის, ხელს უწყობს ინტენსიური ფერის მიღებას. განსაკუთრებით მოსახერხებელია პრობლემურ ადგილებში ოქროსფერი რუჯის მისაღებად 28₾ **საფთიაქო ქსელი GPC; 7. LIERAC SUNIFIC INVISIBLE CREAM SPF 50+** – მზისგან დამცავი სახის სპრეი, რომელიც თავიდან აგაცილებთ და თქვენს კანს დაიცავს გამოშრობისაგან. 33₾ **საფთიაქო ქსელი GPC; 8. CLINIQUE 50 SPF ADVANCED PROTECTION BODY CREAM** – ღია ფერის კანის მქონე ქალბატონების საუკეთესო მეგობარი – ყველაზე ინტენსიური მზისგან დამცავი, რომელიც დამწვრობას გარანტირებულად აგაცილებთ თავიდან. 49₾ **პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი LUTECIA**

9. PEAU D'OR VIP DIAMONDS – პრემიუმ კლასის ავტორუჯი თქვენს სხეულს ბრილიანტივით მბზინვარეს გახდის და კანის ტონსაც მნიშვნელოვნად გაგიმუქებთ.
245₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

10. PEAU D'OR VIP CHAMPAGNE – ტანის ლოსიონი, რომელიც მსუბუქი ნამზეურის ეფექტთან ერთად თქვენს კანს მბზინვარებასაც ანიჭებს. იდეალურია წვეულებებისთვის.
219₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

11. PEAU D'OR VIP GOLD – ოქროსფერი ნამზეური და არავითარი აჭრელება. კრემი, რომლის დახმარებითაც ყველაზე ბუნებრივი რუჯის ეფექტს მიიღებთ.
206₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

12. PEAU D'OR IBIZA BLACK – ლოსიონი, რომელიც განსხვავებული რუჯის მიღებაში დაგეხმარებათ – ინტენსიური ფორმულა თქვენს სხეულს სხვაგვარ შოკოლადისფერ ტონს მიანიჭებს.
51₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

13. ESTHEDERM SUN CARE OIL – პროდუქტი მათთვის, ვისაც ინტენსიური შოკოლადისფერი რუჯი უყვარს. სხეულის ზეთი იზიდავს მზის სხივებს და კანს იდეალურ ნამზეურს ანიჭებს.
127₾ **საფთიაქო ქსელი PSP**



LASH LOVERS

სანაპიროზე მაკიაჟის „პროგრამა მაქსიმუმი“ წყალგამძლე ტუშია, რომელიც საკმაოდ მოსახერხებელია – არ იდღაბნება ცურაობისას თუ მზის აბაზანების მიღების დროს და, რაც მთავარია, საღამოს მარტივად შორდება ტონიკით ან თვალის მაკიაჟის მოსაშორებელი სითხით.



1. MAC IN EXTREME DIMENSION LASH MASCARA – ტუში, რომელიც თქვენს წამწამებს გასაოცარ მოცულობას მიანიჭებს და ამასთანავე არ გაიდღაბნება. ასეთი Smart კოსმეტიკა თქვენი განუყრელი თანამგზავრი იქნება სანაპიროზე 51₾ **Mac Cosmetics**;
2. YSL VOLUME EFFECT FAUX CILS MASCARA – სამმაგი მოქმედების ტუში წყალგამძლე ეფექტით როგორც სანაპიროზე, ასევე საღამოს წვეულებაზე თქვენი ერთგული იქნება – 24 საათიანი ფიქსაციის გამო ეს პროდუქტი ყველა ქალბატონის Must Have პროდუქტია 74₾ **პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი ICI PARIS**; **3. DIOR DIORSHOW BLACKOUT MASCARA** – წყალგამძლე ტუში XXL ფუნჯითა და განსაკუთრებული ტექსტურით თქვენს წამწამებს მოცულობასთან ერთად სიგრძესაც შემატებს. შეგიძლიათ მთელი დღე პლაჟზე გაატაროთ და დარწმუნებული იყოთ, რომ მაკიაჟი არ მოგშორდებათ 64₾ **პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი LUTECIA**

BRILLIANT BALMS

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ტუჩების მოვლაა – გამოიყენეთ დამცავი საცხი მატის ეფექტით. მას სუპერმოდელი ჯიჯი ჰადიდიც მიმართავს. ვარსკვლავი სანაპორიზე ყოველთვის იდეალურად გამოიყურება და მინიმუმ SPF15-ის სიძლიერის პროდუქციას მოიხმარს.

4. VICHY AQUALIA THERMAL LIP BALM – საცხი, რომელიც თქვენს ტუჩებს გამოშრობისა და დასკდომისაგან დაიცავს. განსაკუთრებით რეკომენდებულია გამოიყენოთ გარუჯვის პერიოდში და შემდგომ 10₾ **სააფთიაქო ქსელი GPC; 5. CAUDALIE LIP CONDITIONER** – ტუჩსაცხი, რომელიც დამატენიანებელ საშუალებასთან ერთად ძლიერი ანტიოქსიდანტიცაა. ატმის ზეთის შემცველობის წყალობით თქვენი ტუჩები მთელი დღე შეინარჩუნებს ჯანსაღ ფერსა და მბზინვარებას 28₾ **სააფთიაქო ქსელი PSP; 6. LANCOME JUICY TUBES SMOOTHIE** – 2 In 1 ტუჩსაცხი, რომელიც დატენიანებასთან ერთად თქვენს ტუჩებს მბზინვარებასაც მიანიჭებს 44₾ **პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი ICI PARIS**; **7. NUXE ULTRA-NOURISHING LIP BALM RÊVE DE MIEL** – ულტრა დამატენიანებელი ტუჩსაცხი კვებავს, ატენიანებს და არბილებს თქვენს ტუჩებს 30₾ **სააფთიაქო ქსელი GPC**

HAIR HEROES

ცხელ ზაფხულში ძალიან მნიშვნელოვანია თმის მოვლა, განსაკუთრებით მაშინ, თუ თმა შეღებილი გაქვთ. მზე და ზღვის წყალი აშრობს და აუხეშებს თმის ღერებს, ხშირ შემთხვევაში კი ახუნებს თქვენს მელირებასა თუ ბალიაჟს. ამ დროს აუცილებელია დამატენიანებელი და მკვებავი შამპუნებისა თუ ნიღბების გამოყენება. მიბაძეთ ჯენიფერ ენისტონს, ვარსკვლავი ყოველთვის წინასწარ იკეთებს თმის ნიღაბს და მხოლოდ ამის შემდეგ გადის სანაპიროზე.

Jennifer Aniston

1. FRAMESI MORPHOSIS HAIR TREATMENT LINE SUN PROTECTION TREATMENT – მზის სხივების, ზღვის წყლისა და ქლორისგან გაუხეშებული თმის მოვლის ნაკრები – შამპუნი, კონდენციონერი, მზისგან დამცავი კრემი და თმის სპეციალური ნიღაბი იდეალურად იზრუნებს თქვენს დაზიანებულ თმაზე.
165₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

2. LIVING PROOF RESTORE INSTANT REPAIR – იდეალური საშუალება გამომშრალი და გაუხეშებული თმის სამკურნალოდ. აჩერებს ბოლოების დაყოფის პროცესს, სძენს თმას მოცულობასა და მბზინვარებას.
67₾
livingproof.com

3. FRAMESI HAIR TREATMENT LINE SUBLIMIS ARGAN OIL – თმის ზეთი სამმაგი აღდგენითი ფუნქციით – დამატენიანებელი, კონდენციონერი და გამოშრობისაგან დამცავი.
93₾
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

4. MOROCCAN OIL SMOOTHING MASK – არგანის ექსტრაქტზე დამზადებული ნიღაბი გამომშრალი, დაუმორჩილებელი და მტვრევადი თმის პირველი მკურნალია. განსაკუთრებით ეფექტურია ზღვის სეზონზე, თმას ხომ არაფერი აზიანებს ისე, როგორც მზე და მარილიანი წყალი.
175₾
moroccanoil.com

ტექსტი: თამთა ლაბაძური. **ფოტო:** GETTY IMAGES

Atelier Versace PWF Haute Couture Douzen Kroes s/s 2016

BEAUTY

ნაწნავები ეთნოდეტალებით

უკვე წლებია ეთნოდეტალებით შექმნილი სამოსი და აქსესუარები აქტუალობას არ კარგავს. აფრიკული ნაწნავები, იამაიკური დრედები და ინდიელების საფირმო ბუმბულები ზაფხულის ყველაზე მოდური ვარცხნილობაა

BERSHKA
19 gel

BERSHKA
29 gel

VALENTINO
984 gel
net-a-porter.com

ანო საჩალელი

სტილისტი

სილამაზის სალონი **თმის სახლი**
ვაჟა-ფშაველას გამზ., 78ა



ROSANTICA
503 gel
net-a-porter.com

TOPSHOP
34 gel



Nicky Hilton
Paris Hilton

Joan Smalls

Dawn Richard

ტექსტი: ეკატერინა ლაბაძერი, **ფოტო:** GETTY IMAGES

BEAUTY

ფრანგული BANGS

ყველა დროის ერთ-ერთ ულამაზეს ქალად აღიარებული ჯეინ ბირკინის ვარცხნილობა **70**-იანი წლებიდან დღემდე ფრანგული სტილის სიმბოლოდ რჩება

Anthony Vaccarello

შუბლზე უსწორმასწოროდ შეჭრილი თმა და ქაოსური ვარცხნილობა ამ სეზონის ყველაზე მოდური ტრენდია. სველი ეფექტი კი ამ „უწესრიგობას“ განსაკუთრებით მოდურს ხდის. მსგავსი ტიპის ვარცხნილობა როგორც კლასიკურ, ასევე ბოჰემურ სტილს ძალიან უხდება. სწორედ ამიტომ **HELLO!** იმ **MUST HAVE** თმის მოვლის საშუალებებს გაგაცნობთ, რომელთა დახმარებით თქვენ ვარცხნილობა კლასიკურ ფრანგულ შარმს შეიძენს. **CHANEL**-ის მუზა და ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონი – **კაროლინ დე მეგრე** ამ სტილის ვარცხნილობას წლებია ატარებს. ცხელი სეზონის ყველაზე ცხელ ტენდენციას არც **ალექსა ჩანგი**, **ფრეა ბეხა ერიქსენი** და **ჯეინ ბირკინის** ქალიშვილები – **შარლოტა გინსბურგი** და **ლუ დოილონი** ჩამორჩებიან.

FRAMESI SHAPING GLAZE საუკეთესო პროდუქტი სველი ეფექტისათვის! უნიკალური ფორმულის სპრეი, რომელიც თქვენს თმას მომენტალურად მიანიჭებს ფრანგულ შარმს.
25₾

სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

BED HEAD BLOW-OUT GOLDEN ILLUMINATING SHINE CREAM – თუ გსურთ სველი ეფექტი მთელი დღის განმავლობაში გაგყვეთ, მაშინ ეს კრემი თქვენთვისაა – წაისვით ნოტიო თმაზე და დაელოდეთ გაშრობას, ისეთ ბუნებრივ ვარცხნილობას მიიღებთ, რომელიც შესწორებას არ საჭიროებს.
28₾

amazon.com

MOROCCANOIL STYLING GEL – ძლიერმოქმედი გელი ფიქსაციისა და ხანგრძლივი ეფექტისათვის. წაისვით ნოტიო ან მშრალ თმაზე და გაიკეთეთ ჩვეული ვარცხნილობა – მდგრადი სტრუქტურის გამო თქვენი თმა დიდხანს შეინარჩუნებს სასურველ ფორმას.
46₾

moroccanoil.com

MOROCCANOIL BEACH WAVE MOUSSE – ეს თმის ჯადოსნური მუსი აუცილებლად უნდა იყოს თქვენი საბაფხულო Must Have! ნაზი სტრუქტურის წყალობით, თქვენი თმა ფორმას არ შეიცვლის და არც ჩამოგეშლებათ. კარგად შეიზილეთ სველ თმაზე და და ფენის ან დიფუზორით დახმარებით გაიშრეთ.
65₾

moroccanoil.com

გიორგი ხიდიროვი

სტილისტი

სილამაზის სალონთა ქსელი NATALI

სტილისტის რჩევები

1. სველი თმა ფენით მსუბუქად შევიშროთ;
2. ნოტიო თმაზე წავისვათ შერჩეული პროდუქცია და თანაბრად გადავინაწილოთ;
3. მთავარია არ გადავაჭარბოთ – გამოვიყენოთ პროდუქცია დოზირებულად;
4. სწრაფი ეფექტისთვის თმა დიფუზორით დავაფიქსიროთ;
5. უმჯობესია ფიქსატორი არ გამოიყენოს მან, ვისაც ბუნებრივად ხვეული თმა აქვს – ასე უფრო ბუნებრივი ეფექტი მიიღება.

ტექსტი: თამარ ლაბაური. ფოტო: GETTY IMAGES

შეიძინეთ პრემიუმკლასის
მზისგან დამცავი და რუჯის შემდგომი
ფრანგული საშუალებები

20%-დან 50%-მდე

ფასდაკლებით და მიიღეთ საჩუქრები

ექსკლუზიურად
მხოლოდ **ჯი პი სი**-ს
სააფთიაქო ქსელში

ჯიპისი GPC

FITNESS

ვარსკვლავური FIGHT Club

ჟურნალ HELLO!-ს მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი, რომელიც წლებია ჯანსაღი ცხოვრების წესითაა დაკავებული, ამჯერად კიკბოქსინგითაც დაინტერესედა

ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალური ფიტნეს ტრენდი კიკბოქსინგი ბევრი ვარსკვლავის რჩეული ფიზიკური აქტივობაა. ორთაბრძოლის ილეთების სავარჯიშო პროგრამად გადაქცევა მთელ მსოფლიოში საკმაოდ პოპულარულია. ეს საყვარელი ვარჯიშია ისეთი ცნობილი ვარსკვლავებისთვისაც, როგორებიც **ევა მენდესი** და **ადრიანა ლიმა** არიან.

რატომ კიკბოქსინგი? პირველ რიგში, იმიტომ, რომ პროცესი საკმაოდ სახალისოა და უარყოფითი ენერგიისგან დაცლაში გეხმარებათ. თანაც ვარჯიშების თანმიმდევრობა ისეა შედგენილი, რომ დაღლას ვერ გრძნობთ. ჯგუფის ინსტრუქტორი, რომელიც გკარნახობთ, რა თანმიმდევრობით უნდა დატვირთოთ სხეულის სხვადასხვა ნაწილი, შუალედში სხვა ფიზიკური აქტივობების გაკეთებისკენაც მოგიწოდებთ – ბუქნები, აზიდვები, ლახტით ხტუნაობა. იშვიათია სპორტი ან ფიზიკური დატვირთვა, რომლის დროსაც სხეულის ყველა ნაწილი აქტიურდება და, შესაბამისად, წონაში კლებაც საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს.

მწვრთნელები გვირჩევენ კიკბოქსინგით დღეგამოშვებით დავკავდეთ და ნახევარი საათი ვივარჯიშოთ.

თბილისში კიკბოქსინგის საუკეთესო ინსტრუქტორები და პროგრამა ფიტნეს კლუბ **OKTOPUS**-ში დაგხვდებათ.

ტექსტი: თამარ ლაბაური; **ფოტო:** ლევან ჩხარტიშვილი.

ოკტოპუს ფიტნეს კლუბი

- კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
- ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
- LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
- მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
- ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი

Be *ok*
Climb to the *top*
Become one of *us*

OPEN: *24/7*

სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/

DECOR

ხე თანამედროვე დეკორში

თქვენი ოცნების ბაღი...

შამპანურის ვედრო
KARE

დოქი
L. A. STUDIO

სასანთლე
KARE

მაგიდა
L. A. STUDIO

შეზლონგი
YOUTOPÍA

ხის ავეჯი და დეკორაციები თავისი ანტიკურობითა და ბუნებრიობით ნებისმიერი გემოვნების ადამიანს ხიბლავს. ის ყველა დროის კლასიკაა და მოდიდან არასოდეს გადადის. გარდა ამისა, ხით გაფორმებული გარემო ეკოლოგიურად სუფთა ატმოსფეროს ქმნის.

სანათი
KA INTERNATIONAL

ხმის გამაძლიერებელი
MAGGI MASSIMO

ხმის გამაძლიერებელი
MAGGI MASSIMO

ავეჯი ტერასისთვის
TALENTI SRL

ბარის სკამი
MAGGI MASSIMO

ეზოს სკამი
DEESAWAT

ავეჯი ტერასისთვის
TALENTI SRL

ქოლგა
LABORATORY MY HOME

დივანი
SLIDE SRL

სკამი
SLIDE SRL

ულტრათანამედროვე დეკორაციები და ავეჯი საშუალებას გაძლევთ, შექმნათ გარემო, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდით. არ აქვს მნიშვნელობა ფერებს, ფასსა და მასალას, მთავარია, გქონდეთ ორიგინალური იდეები და თანამედროვეობის განცდა, რომელიც განსაკუთრებული ინტერიერისა და ექსტერიერის მოწყობაში დაგეხმარებათ.

ბალიშები
ZARA HOME

შეზლონგი
TALENTI SRL

www.facebook.com/loverdegeo

ვერტიკალური ბალი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE

LEISURE

აუზების სეზონი

მაშინ, როდესაც ზაფხული უფრო და უფრო ცხელდება, მაღალი ტემპერატურით ტკბობის ერთადერთ გზად აუზში ნებივრობა და რუჯის მიღება რჩება. სეზონის დადგომასთან ერთად ყველას აინტერესებს, რომელი აუზი აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნებს ყველაზე მეტად და ხარისხიანად. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად HELLO! სამ საუკეთესო აუზს წარმოგიდგენთ...



Lounge VERTIGO

ეს ბათუმის ერთადერთი აუზია შავი ზღვის წყლით! გარდა იმისა, რომ სტუმრები მარილიანი წყლის ყველა უპირატესობით სარგებლობენ, ისინი უგემრიელესი სასმელებით სავსე ბარითაც ტკბებიან. ჰიგიენის წესები და მომსახურების ხარისხი, რაღა თქმა უნდა, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად არის დაცული.

არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ შეგიძლიათ **Vertigo-ს ტერასაზე განლაგებულ ლაუნჯ-ბარს** ეწვიოთ და გემოვნებით შერჩეული მუსიკითა და გემრიელი მენიუთი ისიამოვნოთ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის **ლუქს-კლასის რესტორანიც**, რომელიც ევკალიპტების ხეივანშია ჩაფლული და სტუმრებს საოცარი კერძებით მასპინძლობს.

მოკლედ, ბათუმში ყოფნისას **ს. ჟღენტის N1**-ში მდებარე სამოთხეს გულგრილად არასოდეს ჩაუაროთ!

Chateau MERE

თუ თბილისის ხმაურმაც დაგღალათ და გაგრილება და დასვენება ქალაქგარეთ გსურთ, სულ რაღაც ერთი საათის სავალ გზაზე მდებარე „**შატო მერეს**“ უნდა ეწვიოთ. ყველასთვის ცნობილი და საყვარელი კომპლექსი ღვინის კომპანიას, სასტუმროსა და რესტორანს მოიცავს. შატო მწვანე ბუნებაშია ჩაფლული და საოცარი ხედებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კლიმატის წყალობით, **აუზის სეზონი აქ მაისის დასაწყისიდან ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება**. რაღა თქმა უნდა, გაგრილებასთან ერთად, შეგიძლიათ, უგემრიელესი კერძებით დატკბეთ და „**ვინივერიას**“ ღვინოც დააგემოვნოთ.

მოკლედ, „**შატო მერე**“ თავისი აუზითურთ იმაზე უფრო ზღაპრულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ასე რომ, თუ გაგრილება ჯადოსნურ გარემოში გსურთ, გეზი აუცილებლად კახეთისკენ აიღეთ.

RADISSON BLU IVERIA Hotel

თბილისში ყველაზე „გემრიელად“ „**რედისონის**“ აუზი რომ აგრილებს, მისი განუმეორებელი ლოზუნგიდანაც ჩანს: **Life Is Cool by the Pool**. ღია აუზი სტუმრებს სწორედ ისე მასპინძლობს, როგორც უმაღლესი კლასის სასტუმროს შეეფერება. გაგრილებასა და რელაქსაციაში, კამკამა წყლის გარდა, უგემრიელესი კოქტეილებით სავსე ბარიც გეხმარებათ. რაც მთავარია, მომხმარებელთა მოთხოვნები და მომსახურების ხარისხი სრულ თანხვედრაშია.

მოკლედ, მაშინ, როდესაც თბილისის სიცხეებით, სამსახურითა და ერთფეროვანი საღამოებით დაიღლებით, გეზი **ყველაზე ფერადი და გრილი** ადგილისკენ აიღეთ და „**რედისონ ბლუ ივერიას**“ ეწვიეთ. არ დაგავიწყდეთ, თვალი ადევნოთ სასტუმროს Facebook-ის გვერდს, რომელიც მომხმარებლებს მუდმივად ანებივრებს სხვადასხვა აქციითა და სიახლეებით.



La Taniere

ფრანგული ოაზისი
სრულყოფილი დასვენებისთვის

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08

TRAVEL

ვარსკვლავების სპა-ოაზისი

ახლავე დაიწყეთ ბარგის ჩალაგება, Hello! მსოფლიოს ყველაზე მდიდრულ სპა-სასტუმროებს წარმოგიდგენთ!

1. **Ila Day Cream for Glowing Radiance** – დღის კრემი კანის მბზინვარებითვის; **2. Ila Body Scrub For A Blissful Experience** – ტანის სკრაბი ღრმა დატენიანების ეფექტით; **3. Ila Rainforest Renew Eye Serum** – თვალის გარშემო წასასმელი შრატი დამცავი ფუნქციით.

საუკეთესო მიმართულება რომანტიკული დასვენებისთვის

JUMEIRAH DHEVANAFUSHI

მალდივის კუნძულები

კურორტი

Jumeirah Dhevanafushi გულის ფორმის კუნძულზე მდებარეობს. ინდოეთის ოკეანეში ჩაკარგული ეს სამოთხე მარჯნის რიფების სანაპი-როთია ცნობილი. კუნძული, სადაც დედაქალაქ მალედან 55 წუთში აღმოჩნდებით, რომანტიკული და ეგზოტიკური დასვენების მოყვარულთა ნავსაყუდელია. სასტუმრო კომპლექსში 38 განსხვავებული ტიპის ნომერია. საღამოს, პლაჟზე ფეხშიშველი სეირნობის შემდგომ, დამსვენებელს შეუძლია **Jumeirah Dhevanafushi**-ს რესტორანში განიტვირთოს ან იოგას პირადი ინსტრუქტორი ინდივიდუალური გაკვეთილისთვის საკუთარ ნომერში გამოიძახოს.

სპა

Talise Spa შუა ოკეანეშია განთავსებული. შუშის იატაკის გამო პაციენტებს პროცედურების ჩატარებისას ზღვის სამყაროს ეგზოტიკითაც შეუძლიათ დატკბნენ. სპა ცენტრის სავიზიტო ბარათი კუნძულის ქვიშისა და ქოქოსის ზეთის პროცედურაა. **Dhevanafushi Sunset Bliss** კანის სიღრმისეული დატენიანებისთვის საუკეთესო საშუალებაა. თუ გარუჯვა ზომაზე მეტი მოგვიდათ, ვარდის წყლის, ალოე ვერასა და ბანანის შეფუთვებს გირჩევთ. ორსაათიანი პროცედურა ეტაპობრივად აგრილებს თქვენს სხეულსა და ატენიანებს კანს.

ვარსკვლავები

არც ისე დიდი ხნის წინ **Jumeirah Dhevanafushi**-ს ნიკოლ შერზინგერი, ტომ კრუზი და უმა თურმანი სტუმრობდნენ.

საუკეთესო მიმართულება ძალების აღსადგენად

BANYAN TREE CABO MARQUES

აკაპულკო, მექსიკა

კურორტი

ადგილს, რომელიც აქამდე გიჟურ მექსიკურ წვეულებებსა და აქტიურ დასვენებასთან ასოცირდებოდა, ამჯერად სულ სხვა სტატუსით გაგაცნობთ. ქალაქიდან 20 წუთის სავალზე დაგხვდებათ ადგილი, სადაც ხმაურსა და ქაოსს მთლიანად დაივიწყებთ. **Banyan Tree Cabo Marqués** ულამაზეს კლდოვან სანაპიროზე მდებარეობს. კომპლექსი ლუქს კლასის პრივატული ვილებისაგან შედგება, ინდივიდუალური აუზითა და ტერასით ოკეანის ხედით. აქ ერთადერთი, რამაც შეიძლება სიმყუდროვე დაგირღვიოთ – ტალღების ხმაა.

სპა

გამაჯანსაღებელი კომპლექსი 5 ვილას იკავებს. პროცედურები მრავალფეროვანია – სამკურნალო, თერაპიული თუ სარელაქსაციო. აუცილებლად გირჩევთ სხეულის ეგზოტიკური პილინგი და სახის კანის რევიტალიზაცია ჩაიტაროთ, რომელიც მომენტალურად გამოაცოცხლებს და გაამკვრივებს კანს. პროცედურა 90 წუთს გრძელდება და მის გარეშე **BanyanTree Cabo Marqués**-ში სტუმრობა უბრალოდ წარმოუდგენელია.

ვარსკვლავები

სასტუმროს ხშირი სტუმრები სილვესტერ სტალონე და ჰოლი ბერი არიან.

1. Natura Bissé C+C Vitamin Scrub – ტანის სკრაბი C ვიტამინის ექსტრაქტით; **2. Natura Bissé Oxygen Cream** – სახის კრემი გამომშრალი კანისათვის; **3. Natura Bissé Diamond Mist** – ტანის დამატენიანებელი სპრეი ლავანდის ექსტრაქტით.

საუკეთესო მიმართულება
მშვიდი დასვენებისთვის

LINTHWAITE HOUSE

ტბების ოლქი, დიდი ბრიტანეთი

სასტუმრო
უინდერმირის ტბის ნაპირას მდებარე კომპლექსი ბრიტანული არისტოკრატულობისა და კომფორტის ნაზავია. დახვეწილი ინტერიერი, სრული იზოლირება გარემო სამყაროსგან და ჰარმონია საკუთარ თავთან. ცხელი აბაზანები და საღამოობით ჩაი ტერასაზე – აქ ყველაფერი კლასიკური ინგლისური სცენარით ვითარდება.

სპა
სასტუმროს დამსვენებელს კომპლექსით სარგებლობა უსასყიდლოდ შეუძლია. ძველი ბრიტანული სპა ვინტაჟის სტილში სასტუმროდან ცოტა მოშორებით მდებარეობს, თუმცა ნებისმიერი სახის პროცედურის ჩასატარებლად სპეციალისტი ნომერში შეგიძლიათ გამოიძახოთ. ეს ადგილი განსაკუთრებით მომავალ დედებს მოხიბლავს – ორსულებისთვის სპეციალური სარელაქსაციო და გამაჯანსაღებელი მასაჟების კურსია შედგენილი. 70 წუთიანი პროცედურა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიძინებულ, დაღლილ კუნთებსაც აცოცხლებს.

ვარსკვლავები
სპასასტუმროს ხშირი სტუმრები ვიქტორია ვუდი, სტივ ქუგანი და ჯონათან ედვარდსი არიან.

1. Thémaé Paris Baume des Quatre Thés Body Massage Balm – ტანის სკრაბი ძლიერი ექფოლიაციის ფუნქციით; **2. Germaine de Capuccini Hydracure Facial Mask** – სახის ნიღაბი, რომელიც აცოცხლებს გადაღლილ კანს; **3. Germaine de Capuccini Perfect Forms Elastific body firming treatment** – სხეულის კონტურების გამომკვეთი ანტიცელულიტური კრემი.



საუკეთესო მიმართულება
ეგზოტიკური დასვენებისთვის

CHROMATA UP STYLE HOTEL

სანტორინი, საბერძნეთი

კურორტი
ბუტიკის ტიპის ექსკლუზიურ სასტუმროში 22 ნომერია და მთელ კუნძულზე ერთ-ერთი ყველაზე ელიტარული ლოკაციაა. კლდის კიდეზე მდებარე აუზი თითქოს ზღვაში იჭრება და დამსვენებელს უსასრულობის შთაბეჭდილებას უქმნის. სასტუმროს ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებს მაღალი კლასის Fusion რესტორანი. სასტუმროს ვერანდებიდან კი საბერძნეთის ულამაზესი კუნძულის იდეალური ხედი იშლება.

სპა
A.SPA დამსვენებელს სარელაქსაციო პროცედურების სრულ კურსს სთავაზობს. სახისა და სხეულის პროცედურების ფართო არჩევანი, სხვადასხვა ტიპის სარეკრეაციო თერაპიები და არომა-აბაზანები თუ პილინგები. აღსანიშნავია ისიც, რომ სპა ცენტრი სასტუმროსდან ოდნავ მოშორებით, ტრადიციულ ბერძნულ სოფელში მდებარეობს, ამ ადგილას სტუმრობა ცალკე თავგადასავალია დამსვენებლისთვის.

ვარსკვლავები
ქართველი დიზაინერი თამუნა ინგოროყვა სულ ცოტა ხნის წინ სანტორინის განსატვირთად ესტუმრა.

1. Ligne St. Barth banana hand cream – ბანანის ბაზაზე დამზადებული ხელის კრემი; **2. L igne St. Barth aloe vera gel with mint** – მენთოლისა და ალოე ვერას ექსტრაქტზე დამზადებული დამატენიანებელი ლოსიონი; **3. Ligne St. Barth Cleansing Milk** – მაკიაჟის მოსაშორებელი რძე ყვავილების სურნელით.

ფოტო: DAVID FISHER, GETTY IMAGES, CHROMATA UP STYLE HOTEL

ოფიციალური წარმომადგენელი

„ნატალი ჯგუფი“

www.nataligroup.ge

TRAVEL

ვარსკვლავური არდადეგები

საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპიროდან ბარბადოსამდე – HELLO! მსოფლიოს ყველაზე ელიტარული კურორტების გარშემო გამოგზაურებთ და გაგაცნობთ ადგილებს, სადაც A-list ვარსკვლავები ისვენებენ

ჯოან კოლინზი, კარლა ბრუნი, კარლ ლაგერფელდი და **ელტონ ჯონი** რეგულარულად სტუმრობენ საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროს.

საფრანგეთი

პროვანსი და ფრანგული რივიერა

სამხრეთ საფრანგეთში წითელი ხალიჩა მხოლოდ კანის კინოფესტივალის დროს არ იშლება – რივიერა ვარსკვლავების საყვარელი დასასვენებელი ადგილიცაა. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული კანი, ნიცა და მონტე-კარლო ყველაზე ელიტარული საკურორტო ადგილებია, სადაც ყოველწლიურად ჰოლივუდის ელიტარული საზოგადოება იყრის თავს, მათ უმეტესობას იქ საკუთარი სახლი აქვს, ზოგს კი, ჯორჯო არმანის მსგავსად – იახტა.



ჯორჯო არმანის ცნობილი იახტა სენ-ტროპეში

შატო MIRAVAL

ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი წყვილი — ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი, ფრანგულ რივიერაზე ულამაზეს შატოს ფლობენ. სწორედ აქ გაიმართა მათი ქორწილის ცერემონიალი, რომელსაც წყვილის 6 შვილთან ერთად, ცხადია, HELLO!-ც დაესწრო.

იტალია

ტოსკანა, კომოს ტბა, პორტოფინო

ტოსკანა **სტინგის** საყვარელი ადგილია; **დენზელ ვაშინგტონი** პორტოფინოში ისვენებს ხოლმე, იქ, სადაც **როდ სტიუარტმა** იქორწინა.

ევროპის ყველაზე სტუმართმოყვარე ქვეყანა ტურისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს, ვარსკვლავებს კი განსაკუთრებით იტალიის ჩრდილოეთი ხიბლავთ. ძველი მეთევზეების სოფელი პორტოფინო რომანტიკული დასვენების მოყვარულებისთვის უფრო საინტერესოა – აქ ხომ თავის დროზე გრეის კელი და პრინცი რენე ისვენებდნენ. რაც შეეხება კომოს ტბას, ეს ადგილი ყოველთვის ყველაზე ვარსკვლავურ წვეულებებს მასპინძლობს – სწორედ აქ იქორწინა ცოტა ხნის წინ მსახიობმა ემილი ბლანტმა, რამდენიმე წლის წინ კი – მომღერალმა ჯონ ლეჯენდმა.

პორტოფინოსა და კომოსგან განსხვავებით, ტოსკანა უფრო მშვიდი დასვენების მოყვარულებს იზიდავს – სხვა ვარსკვლავებთან ერთად აქ საოჯახო აგარაკი აქვს სტინგსაც.

CASA CLOONEY

ჯორჯ კლუნიმ კომოს ტბის პირას სახლი ჯერ კიდევ დაოჯახებამდე შეიძინა, წლების წინ ხშირად მართავდა წვეულებებს, ახლა კი მეუღლესთან — ამალ კლუნისთან ერთად წყნარ დასვენებას ამჯობინებს.

ბრიტნი სპირსი, ბარაკ ობამა და **ჯულია რობერტსი** ჰავაის ირჩევენ

ჰავაი

მაუი, კაუაი

ჰავაის კუნძულებიდან სიდიდით მეორე, მაუი, ტელეწამყვან ოპრა უინფრის საყვარელი ადგილია. 62 წლის ტელევარსკვლავი აქ უზარმაზარ ვილას ფლობს. ოპრა ვარსკვლავურ კომფორტს ჯანსაღ და სასარგებლო საქმესაც სიამოვნებით უთავსებს და თავის ეზოში ხილსა და ბოსტნეულს თავადვე უვლის.

ALOHA!

ოპრას ახლო მეგობარი, ამერიკის პირველი ლედი მიშელ ობამა, ჰავაის ხშირი სტუმარია. მასთან ერთად კუნძულებზე დასვენების მოყვარულთა სიაში ოუენ უილსონი, ვუდი ჰარელსონი და ჯულია რობერტსიც შედიან. ამ უკანასკნელმა სწორედ კაუაიში შეიძინა ზღვისპირა სახლი.

ენი ლენოქსი მალიორკაზე ისვენებს, **ანტონიო ბანდერასი** ხშირად სტუმრობს თავის მშობლიურ მალაგას, **ჯეიდ ჯაგერს** იბიცაზე გართობა ურჩევნია.

JULIO'S DREAM HOME

ესპანელი ვარსკვლავი ხულიო იგლესიასი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს, თავს შინ მხოლოდ კოსტა დელ სოლში გრძნობს. ზღვისპირა სახლში, რომელსაც მომღერალმა HELLO!-სთან საუბარში „თავისი განხორციელებული ოცნება უწოდა“ ხულიო მეუღლესთან, მირანდასთან და 5 შვილთან ერთად ცხოვრობს.

ესპანეთი

კოსტა და სოლი, ბალეარის კუნძულები

ვარსკვლავებმა, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან მარბეაში, ესპანეთის ამ ულამაზეს ქალაქში, სახლის ყიდვა სწორედ იქ გადაწყვიტეს. ჰოლივუდის ოქროს ხანის მსახიობების კოლორიტული დასასვენებელი ადგილი Marbella Club თავის დროზე ავა გარდნერს, ოდრი ჰეპბერნსა და კერი გრანტს მასპინძლობდა. რაც შეეხება ბალეარის კუნძულებს, ყველაზე მეტ ცნობილ სახეს მაინც მალიორკა იტევს. მაიკლ დუგლასი, კლაუდია შიფერი, ენი ლენოქსი ზაფხულის ცხელ დღეებს საკუთარ ვილებში, სწორედ, მალიორკაზე ატარებენ.

კარდაშიანების კლანის
კუთვნილი აგარაკი

ლონგ აილენდი

ჰემპტონი

ალეკ ბოლდუინი და მეუღლე
ჰილარია თავიანთ ვილაში
ოჯახთან ერთად ისვენებენ

გამორიცხულია ეს სახელი ფილმებიდან და სერიალებიდან არ გეცნობოდეთ! სარა ჯესიკა პარკერი, გვინეტ პელტროუ, სკარლეტ იოჰანსონი – აქ ზაფხულობით ჰოლივუდის ყველა თაობის ვარსკვლავი და სრულიად ამერიკული ელიტა იყრის თავს. რა თქმა უნდა, კარდაშიანების კლანიც მათ რიცხვში შედის, კორტნიმ და ქლოიმ რამდენიმე წლის წინ თავიანთი რეალითი შოუს ეპიზოდებიც აქ გადაიღეს. თუ ღამის გართობა გიყვართ, აუცილებლად ესტუმრეთ OAK-ს, სადაც ჯენიფერ ლოპესმა იუბილე აღნიშნა. ზღვის პროდუქტების მოყვარულებს კი რესტორანი Tutto il Giorno გელით.

ბრუკ შილდსიც
ჰემპტონის
ხშირი
სტუმარია

STEVEN'S SPREAD

სტივენ სპილბერგს ნამდვილად გავლენიანი რეჟისორის შესაფერისი სახლი აქვს — იდეალური ადგილი ოჯახური დასვენებისთვის.

MAYAN MAGIC

სინდი კროუფორდი და რენდი გარბერი მექსიკის სანაპიროზე, იქ, სადაც მათი აგარაკი მდებარეობს.

გვინეტ პელტროუ, ლეონარდო დიკაპრიო და **ჯენიფერ ანისტონი** თვლიან , რომ მექსიკა ჰოლივუდისაგან დასვენების საუკეთესო საშუალებაა

მექსიკა

მაიას რივიერა

ლოს კაბოსი ის ადგილია, სადაც სუპერმოდელი სინდი კროუფორდი მეუღლესა და შვილებთან ერთად უკვე 10 წელზე მეტია ისვენებს. ზღვისპირა სახლს, რომელსაც ოჯახი ფლობს, მათი ახლო მეგობრის, ჯორჯ კლუნის, აგარაკი ესაზღვრება. მეგობრების ერთად დასვენების ტრადიციას ახლა ჯორჯის მეუღლე — ამალიც შეუერთდა.

საბერძნეთი

სკოპელოსი, სკიატოსი, სანტორინი

როდესაც ვარსკვლავურ კურორტებზე ვსაუბრობთ, საბერძნეთიც არ უნდა დაგვავიწყდეს - აქაური ეგზოტიკური კუნძულების ხშირი სტუმრები კეიტ ჰადსონი, კაილი მინოუგი, ტომ ჰენკსი და სუპერმოდელი ალესანდრა ამბროსიო არიან. სწორედ სკოპელოსსა და სკიატოსზეა გადაღებული ცნობილი მიუზილკი Mamma Mia, მერილ სტრიპისა და პირს ბროსნანის მონაწილეობით.

კაილი საბერძნეთში რომანტიკული დასვენების მოყვარულია. აქ **ტომ ჰენკსა** და **გოლდი ჰოუნსაც** ხშირად შეხვდებით.

My Classic Automobile

Jaguar XK 150 3.4L

MGA Le Mans

Jaguar Type E S1 4.2L

კლასიკური მოგზაურობა დროში

www.myclassicautomobile.com

ესპანეთის სამეფო ოჯახი

მალიორკა

პრესტიჟული კუნძულის დასავლეთ ნაწილში ესპანეთის სამეფო ოჯახის რჩეული საზაფხულო რეზიდენცია მდებარეობს. მარივენტის სასახლეში პრინცი ფილიპე და დედოფალი ლეტიცია თავიანთ ქალიშვილებთან ერთად ატარებენ ზაფხულს.

ბელგიის სამეფო ოჯახი

ფრანგული რივიერა

Les Romarins ბელგიის სამეფო ოჯახის კუთვნილი რეზიდენციაა, რომელიც კანის ყურეს გადმოჰყურებს. ფილიპი და მატილდა 4 შვილთან ერთად აქ, ზაფხულის გარდა, საშობაო არდადეგებზეც ჩამოდიან.

დანიის სამეფო ოჯახი

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთი

დედოფალ მარგარეტის ფრანგმა მეუღლემ, პრინცმა ჰენრიკმა, შუა საუკუნეების სასახლე 1974 წელს შეიძინა. მას შემდეგ კაორში მდებარე Chateau de Cayx-ი ოჯახურ აგარაკად იქცა და დღემდე ინარჩუნებს ამ სტატუსს. ზაფხულობით დანიის სამეფო ოჯახი ფრანგი გლეხების ცხოვრების სტილს უწყობს ფეხს. დედოფალს ხშირად შეხვდებით ადგილობრივ ბაზარში მაშინ, როდესაც პრინცი ვენახებს უვლის.

პარიბის კუნძულები

ბარბადოსი, კერძო კუნძულები

ბევრ ვარსკვლავს ფეშენებელური სასტუმროები აღარ აკმაყოფილებს და თავს კერძო კუნძულებით ანებივრებს. კარიბის ზღვაში პერსონალური სამოთხე აქვთ ჯონი დეპს, რიჩარდ ბრენსონსა და ტომი ჰილფიგერს.

რიჩარდ ბრენსონი
Necker Island

დევიდ კოპერფილდი
Musha Cay

ტომი ჰილფიგერი
Mustique

ჯონი დეპი
Little Hall's Pond Cay

ჯოდი კიდი
Barbados

CARIBBEAN FEVER

კერძო კუნძულების გარდა, ვარსკვლავები პოპულარულ კურორტ მუსტიქსაც სტუმრობენ. რიანას, მოდელ ჯოდი კიდსა და სხვა A-list სელებრითებს კარიბის კუნძლებზე ხშირად შეხვდებით.

HELLO!-ს ცხელი რეცეპტები

COOKERY

ვენეროვანი ზაფხული

არომატული, ტკბილი და წვნიანი მარწყვი პირდაპირ ასოცირდება ზაფხულსა და იმ უგემრიელეს რეცეპტებთან, რომლებსაც HELLO!-ს მკითხველს მსოფლიოში ცნობილი შეფმზარეული ალექსი ჰოლივუდი გაანდობს...

მარწყვის, ვარდის ფურცლებისა და ფსტას პუდინგი

ეს შუა აღმოსავლური დესერტი გურმანების ერთ-ერთი ფავორიტია. ვარდის არომატით გაჯერებულ კრემს, რომელიც დიდი და მრგვალი ფორმის ბეზეზეა განაწილებული, შერეული აქვს ახლადმოკრეფილი ტკბილი მარწყვი. ამ სილამაზეს კი დაფქვილი ფსტა და სურნელოვანი ვარდის ფურცლები აგვირგვინებს. ასეთია სეზონური დესერტი, რომელსაც შეგვიძლია „ზაფხული თეფშზე“ ვუწოდოთ.

რეცეპტი 8 ადამიანისთვის
მომზადებისათვის საჭირო დრო 25 წუთი
ცხობისა და გაგრილებისათვის საჭირო დრო 75 წუთი

ინგრედიენტები

- მოზრდილი ზომის კვერცხის ცილა
- 50 გრ შაქარი
- 1 ს/კ ვარდის წყლის ექსტრაქტი
- 1 ს/კ თეთრი ღვინის ძმარი
- 1 ს/კ სიმინდის ფქვილი
- 100 გრ დაფქვილი ან წვრილად დაჭრილი ფსტა
- 475 მლ კრემი
- 1 ს/კ შაქრის ფხვნილი
- 450 გრ შუაზე დაჭრილი მარწყვი
- ერთი მუჭი ღია ფერის ვარდის ფურცლები

მომზადების წესი

1. გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსზე. საცხობ სინზე კი სპეციალური ფოლგა დაფინეთ.
2. კვერცხის ცილა დიდ თასში გადაიტანეთ და კარგად ათქვიფეთ.
3. ნელ-ნელა შეურიეთ შაქარი, ვარდის წყლის ექსტრაქტი, ძმარი და სიმინდის ფქვილი. თქვიფეთ მანამ, სანამ მასა სქელი და ერთიანი არ გახდება.
4. მიღებულ მასას შეურიეთ დაფქვილი/დაჭრილი ფსტის ნახევარი და საცხობ სინზე გადაიტანეთ. ეცადეთ, ცომმა მრგვალი ფორმა მიიღოს.
5. ტემპერატურა 150 გრადუსზე გადართეთ, სინი ღუმელში მოათავსეთ და ერთი საათით გააჩერეთ.
6. გამორთეთ ღუმელი და მოიცადეთ მანამ, სანამ პუდინგი არ გაცივდება. შემდეგ კი, ნამცხვარი ლამაზ თეფშზე გადაიტანეთ.
7. კრემი და შაქრის ფხვნილი ერთმანეთში აურიეთ და პუდინგის ზედაპირზე თანაბრად გადაანაწილეთ.
8. ზედაპირი დაჭრილი მარწყვით დაფარეთ და ზემოდან დარჩენილი ფსტა და ვარდის ფურცლები მოაყარეთ, შემდეგ კი გემრიელად მიირთვით.

მარწყვისა და ჯანჯაფილის სალათი მოთუშული ასპარაგუსით

სალათი, რომელსაც შეფმზარეული წარმოგიდგენთ, საინტერესო გემოსა და ტექსტურის მატარებელია. მოთუშული ასპარაგუსი, წვნიანი და ტკბილი მარწყვი, წვრილად დაჭრილი სალა, მოხალული ნუში და მკვეთრი გემოს მქონე თხის ყველი – ასეთია შემადგენლობა, რომელსაც ჯანჯაფილის სოუსი აგვირგვინებს.

რეცეპტი 6 ადამიანისთვის
მომზადებისათვის საჭირო დრო 5 წუთი
ცხობისათვის საჭირო დრო 10 წუთი

ინგრედიენტები
- 4 ს/კ ზეითუნის ზეთი
- 100 გრ შებოლილი და თხლად დაჭრილი სალა
- 500 გრ ასპარაგუსი
- 400 გრ შუაზე დაჭრილი მარწყვი
- 100 გრ დანამცეცებული თხის ყველი
- 50 გრ მოხალული ნუში
- 1 ს/კ ჯანჯაფილის ექსტრაქტი
- 1 ც ლიმონის წვენი
- მარილი
- შავი პილპილი

მომზადების წესი
1. ტაფაზე მოასხით 1 ს/კ ზეითუნის ზეთი და შეწვით სალის ნაჭრები მანამ, სანამ ყავისფრად არ შეიბრაწება, შემდეგ კი თეფშზე გადაიტანეთ.
2. ცხელ ტაფაზე მოათავსეთ ასპარაგუსი და 3-4 წუთის განმავლობაში მოთუშეთ.
3. ერთმანეთში კარგად აურიეთ ჯანჯაფილის ექსტრაქტი, ლიმონის წვენი, მარილი, შავი პილპილი და 3 ს/კ ზეითუნის ზეთი.
4. სასალათე ჯამში მოათავსეთ ჯერ სალა, შემდეგ კი – ასპარაგუსი, მარწყვი და თხის ყველი. სალათს ზემოდან მოაყარეთ მოხალული ნუში და მოასხით ჯანჯაფილის სოუსი.
5. გემოვნებისამებრ, მოაყარეთ მარილი და პილპილი და დააგემოვნეთ.

CLAFOUTIS MONIQUE მარწყვისა და მაყვლის ტარტი

CLAFOUTIS MONIQUE – მარწყვისა და მაყვლის ტარტი. მზარეულმა ამ დესერტს სახელი ბებიას პატივსაცემად დაარქვა: „ბებიაჩემს მონიკა ერქვა და იდეალურ ტარტს აცხობდა. შეუდარებელი შეგრძნებაა, როდესაც მსუბუქი ტექსტურის ბისკვიტში გახვეულ მთლიან ხილს უყურებ და აგემოვნებ. ამ ყველაფერს კიდევ უფრო ზღაპრულს ხდის ჰაეროვანი ფრანგული კრემი.“

რეცეპტი 6 ადამიანისთვის
მომზადებისათვის საჭირო დრო 15 წუთი
ცხობისათვის საჭირო დრო 35 წუთი

ინგრედიენტები
- კარაქი
- 150 გრ ტკბილი, შუაზე დაჭრილი მარწყვი
- 150 გრ მაყვალი
- 1 ს/კ კონიაკი
- 60 გრ ფქვილი
- ½ ს/კ სოდა
- 100 გრ შაქარი
- ½ ს/კ მარილი
- 3 დიდი ზომის კვერცხი
- ½ ს/კ ვანილის ფხვნილი
- 250 მლ კრემი
- 1 ს/კ შაქრის ფხვნილი

მომზადების წესი
1. გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსზე და მოამზადეთ მრგვალი ფორმის საცხობი სინი.
2. ერთ თასში ჩაყარეთ მარწყვი და მაყვალი, მოასხით კონიაკი და აურიეთ.
3. მეორე თასში ჩაყარეთ ფქვილი, სოდა, შაქარი და მარილი.
4. სხვა თასში შეურიეთ ერთმანეთს კვერცხი, ვანილი და კრემი. როდესაც კარგად აურევთ, მიღებული მასა ნელ-ნელა გადაიტანეთ ფქვილიან თასში და ურიეთ მანამ, სანამ ერთიან ტექსტურას არ მიიღებთ.
5. საცხობ სინზე ჯერ მარწყვი და მაყვალი მოათავსეთ. შემდეგ კი თასში არსებული მასა ზემოდან მოასხით ისე, რომ ფორმა არ დაიკარგოს.
6. დატოვეთ ღუმელში მანამ, სანამ ცომი არ გაფუვდება, შეიფერება და ამოიბერება.
7. გამომცხვარ ტარტს ზემოდან შაქრის ფხვნილი მოაყარეთ. გააცივეთ და მიირთვით.

ტკბილი მარწყვი და რევანდი დაფხვნილი ორცხობილით

წვრილად დაჭრილი ხილი, ჯანჯაფილის ღვინის არომატითა და დაფხვნილი ორცხობილით, ქმნის დესერტს, რომელსაც ზაფხულის გემო აქვს.

რეცეპტი 6 ადამიანისთვის
მომზადებისათვის საჭირო დრო 15 წუთი
ცხობისათვის საჭირო დრო 40 წუთი

ინგრედიენტები
- 500 გრ წვრილად დაჭრილი რევანდი
- 100 მლ წყალი
- 100 გრ შაქარი
- 1 ს/კ ჯანჯაფილის ღვინო
- 250 გრ შუაზე დაჭრილი მარწყვი
- 75 გრ კუბიკებად დაჭრილი კარაქი
- 175 გრ ფქვილი საფუარით
- 60 გრ ყავისფერი შაქარი
- 1 ს/კ დაფქვილი ჯანჯაფილი
- 1 შეკვრა ორცხობილა (*დაფხვნილი*)

მომზადების წესი
1. გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსზე.
2. გაზქურაზე მოთავსებულ ქვაბში ჩაყარეთ დაჭრილი რევანდის ნახევარი და დაასხით წყალი და ჯანჯაფილის ღვინო. მოაყარეთ შაქარი და კარგად მოურიეთ.
3. გამორთეთ ცეცხლი და მიღებულ წვნიანში ჩაყარეთ მარწყვი და დარჩენილი რევანდი. მასა გადაიტანეთ საცხობ ჭურჭელში და გაამზადეთ ღუმელში შესადგმელად.
4. პარალელურად თასში მოზილეთ კარაქი და საფუარიანი ფქვილი. ნელ-ნელა დაუმატეთ ყავისფერი შაქარი, დაფქვილი ჯანჯაფილი და დაფხვნილი ორცხობილა. მიღებული მასა გაანაწილეთ საცხობ ჭურჭელში მოთავსებულ ხილზე და შედგით ღუმელში.
5. ღუმელში დატოვეთ მანამ, სანამ ოქროსფრად არ შეიფერება (*30 წუთი*). შემდეგ კი გაცივებამდე მიირთვით.

მარწყვისა და ფორთოხლის პუდინგი

მარწყვის, კრემის, ბერძნული იოგურტისა და ფორთოხლის წვენის ნაზავი ქმნის ნამდვილ საზაფხულო დესერტს, რომელიც ცხელ სეზონს ყველაზე გემრიელად აგრილებს.

რეცეპტი 6 ადამიანისთვის
მომზადებისათვის საჭირო დრო 15 წუთი

ინგრედიენტები
- 400 გრ წვრილად დაჭრილი მარწყვი
- 1 ც ფორთოხლის დაწურული წვენი
- 1-2 წვეთი ფორთოხლის ესენცია
- 100 გრ შაქრის ფხვნილი
- 300 მლ კრემი, 1 ს/კ შაქარი
- 300 მლ სქელი ბერძნული იოგურტი

მომზადების წესი
1. თასში დაჭყლიტეთ წვრილად დაჭრილი მარწყვი და მას ფორთოხლის წვენი, ფორთოხლის ესენცია და შაქრის ფხვნილი შეურიეთ.
2. მეორე თასში ათქვიფეთ კრემი და ნელ-ნელა დაუმატეთ იოგურტი და მარწყვიანი მასა.
3. გაანაწილეთ დესერტი 6 ჭიქაში და გააცივეთ ერთი საათის განმავლობაში.
4. შეგიძლიათ, პუდინგი დაჭრილი მარწყვებითა და ფორთოხლით გააფორმოთ.

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი **ფოტოგრაფიისავტორი:** SARAH HAMILTON-WALKER **ფოტო:** HELLO!-ს არქივი

№1 IN SWEDEN
100% PREMIUM QUALITY

Semper®

ნატურალური და პრემიალური
ბავშვთა კვება
შვედეთიდან

კომპანია GPC საქართველოში ექსკლუზიურად წარმოგიდგენთ ბავშვთა კვების პრემიალურ შვედურ ბრენდს — „სემპერი“. მისი ისტორია 70 წელზე მეტს ითვლის. ლათინურიდან თარგმანში „სემპერი“ ნიშნავს „ყოველთვის“, რაც ზუსტად ასახავს და ხაზს უსვამს ბრენდის წინაშე დასმულ მთავარ ამოცანას — ყოველთვის შექმნას და მიაწოდოს მოსახლეობას მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი კვების პროდუქტები. ბრენდი „სემპერი“ აკმაყოფილებს ყველაზე პრეტენზიული ბავშვების მოთხოვნასაც კი. „სემპერი“-ს ასორტიმენტი მოიცავს 80- მდე დასახელების პროდუქტს: ადაპტირებული რძიანი ნარევები,ხილის წვენები, რძიანი და ურძეო ფაფები, ველინგები ხილისა და ფაფის ნარევები, ხორცისა და თევზის სადილები, სხვადასხვა ხილის ჩაი და ორცხობილები.

„სემპერი“
დედისათვის **სანდო**
ბავშვისათვის **სასურველი**

მწარმოებელი: SEMPER AB, Lidkopingsvagen 28, 533 82, Gotene, Sweden
ოფიციალური დისტრიბუტორი: სს „ჯი-ჰი-სი“, სანაპიროს ქუჩა 6
0108 თბილისი, საქართველო

ჯიჰისი GPC

HALF HOUR...

ემილია კლარკი

„სამეფო კარის თამაშების“ ვარსკვლავი, რომელიც ჰოლივუდური ცხოვრებითაა დაკავებული, HELLO!-ს მკითხველს გაუმხელს, რას ნიშნავს, იყო დრაკონების დედა და გინდოდეს, გამოცადო ყველაფერი, რაც მსახიობის პროფესიას უკავშირდება...

ახალი სეზონით დაუბრუნდა „სამეფო კარის თამაშები“ ტელეეკრანებს. სერიალთან ერთად ჰოლივუდური საზოგადოების ყურადღება კვლავ მიიპყრო ემილია კლარკმა – დრაკონების დედად წოდებულმა დენერის ტარგარიენმა. ემილია ამბობს, რომ მისი კარიერა რომანტიკულ ურთიერთობებს, ფაქტობრივად, გამორიცხავს. „მე საკმაოდ სენტიმენტალური ადამიანი ვარ და მწამს, რომ როდესაც ის ერთადერთი გამოჩნდება, მაშინ ყველაფერი თავისთავად გამოვა“ – აღნიშნავს კლარკი ერთ-ერთ ინტერვიუში – „აშკარაა, რომ სხვები ამას ახერხებენ“. მაშ ასე, 29 წლის მსახიობი HELLO!-ს თავის წარმატებულ კარიერაზე, პოპულარობაზე, შერჩეულ როლებსა და სხვა გატაცებებზე ესაუბრება...

ემილია, ასეთი პოპულარობისთვის მზად იყავით?

ე.კ. არა. გამომდინარე იქიდან, რომ სერიალში ქერათმიანი ვარ და პარიკს ვხმარობ, ყოველდღიურობაში ნაკლებად მცნობენ, რაც ნორმალურად ცხოვრების საშუალებას მაძლევს. ამ მხრივ, ძალიან გამიმართლა იმიტომ, რომ საშუალება მომეცა, მიწაზე მყარად დავრჩენილიყავი და ახალგაზრდა მსახიობებისათვის ჩვეული პოპულარობის სენი არ შემყროდა.

ალბათ, თქვენი მშობლები ძალიან ამაყობენ...

ე.კ. მამაჩემი თეატრში მუშაობს და იცის, რას ნიშნავს ამ ინდუსტრიის ნაწილად ყოფნა. ჩემი მშობლები საოცარი გულშემატკივრები არიან და ყველაფერს აკეთებენ ჩემს გასამხნევებლად. ასევე მოიქცეოდნენ, მებაღეობა რომ გადამეწყვიტა.

შეგიძლიათ, გაიხსენოთ, როდის გადაწყვიტეთ მსახიობობა?

ე.კ. სამსახიობო გაკვეთილებზე სიარული არ დამიწყია მანამ, სანამ 18 წელი არ შემისრულდა. მინდოდა, მაქსიმალურად ბევრი მესწავლა და დავრწმუნებულიყავი, რომ სხვა რაღაცებიც შემეძლო.

რაც შეეხება მუსიკას... როგორც ვიცით, გიტარაზე უკრავთ.

ე.კ. სიგიჟემდე მიყვარს სიმღერა, მაგრამ სახალხოდ არასოდეს ვმღერი. თავისუფალ დროს სიმღერებსაც ვწერ ხოლმე. თუ ეს ყველაფერი ოდესმე სერიოზულ სახეს მიიღებს, ძალიან გამიხარდება.

ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც მთელი დღის განმავლობაში, დენერისის მსგავსად, ვალირიულ ენაზე გისაუბრიათ?

ე.კ. ახლახან ზუსტი ლიტერატურული თარგმანიც გამომიგზავნეს, რაც ძალიან ჰგავს შექსპირისეულ ინგლისურს. ვცდილობ ხოლმე, ეს ტექსტები ერთმანეთს დავუკავშირო და სიტყვები ზედმიწევნით ვთარგმნო. ზოგჯერ თითოეულ წინადადებას დღეების განმავლობაში ვიზეპირებ.

გარდა სამსახიობო საქმიანობისა, რა განიჭებთ ყველაზე დიდ სიამოვნებას?

ე.კ. სიმღერა, წერა, მუსიკა და საყვარელ მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან ყოფნა.

გადაღებების პერიოდში დიდი ხნით გიწევთ ხოლმე საყვარელი ადამიანებისგან შორს ყოფნა...

ე.კ. სასტუმროს ნომრიდან გადაღებებზე სიარული ვაკუუმში ყოფნას ჰგავს. თანაც, ეს ყველაფერი საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანობის დასრულების შემდეგ სახლში წახვიდე, მიწაზე დაეშვა, რეალობასთან კავშირი აღადგინო და ურთიერთობა ნამდვილ „პერსონაჟებთან“ განაგრძო.

Google-ში თქვენზე არსებულ ინფორმაციას ეცნობით ხოლმე?

ე.კ. არა. ამას მაშინ ვაკეთებდი, როდესაც „სამეფო კარის თამაშების“ პირველი სეზონი გამოვიდა. მაინტერესებდა, რას წერდნენ. ახლა აღარ ვკითხულობ იმიტომ, რომ ათას დადებით კომენტართან ერთად, შესაძლოა, ერთ ისეთ კომენტარს გადაეყარო, რომელიც ყველაფრის სურვილს გაგიქრობს. გადავწყვიტე, ასეთი შეგრძნებები თავიდან ავიცილო.

როგორ აპირებთ სამსახიობო კარიერის გაგრძელებას?

ე.კ. ვაპირებ, ყველა შანსი გამოვიყენო და რაც შეიძლება ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟი განვასახიერო. მინდა, როგორც მსახიობი, მაქსიმალურად დავიხარჯო.

ინტერვიუ: ERNST REINHART/IFA . ფოტო: GETTY IMAGES

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნანკა კიკალია

რედაქცია ელენე მარგალიტაშვილი, ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, ანი კოკაია, მაკო მჭედლიშვილი, ხატია გელოვანი, ნინუცა მაისურაძე
სტილის რედაქტორი ნონა ქეცბაია
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
ფოტო ბარი ტაბატაძე, ლევან ჩხატარაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი მარიამ ზაქარეიშვილი
სარეკლამო გაყიდვები რედაქცია #3

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!
INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სპეციალური ლიცენზიით "ომეგა" ტექ. სასტამბოში, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEC" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 032 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; **www.hellomagazine.ge**
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ELECTRIFY YOUR SENSES

360° CASCADE
CONSTRUCTION
განსხვავებული და თანამედროვე სტანდარტების
შესაბამისი საცხოვრებელი კომპლექსი
ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ
+995 551 702 702